

საქართველოს არქიტექტურა

თანამედროვე
ქართული
არქიტექტურები



2009

Georgian Architecture

**CONTEMPORARY
GEORGIAN
ARCHITECTS**

ნინო ლაღიძე

Nino Laghidze

საქართველოს არქიტექტურა

& თანამედროვე ქართველი არქიტექტორები

Georgian Architecture

& Modern Georgian Architects

თბილისი 2009

Tbilisi 2009

UDC(უაკ) 72(479.22)+72(479.22)(092)
ლ-302
L - 16

UDC(უაკ) 72(051.2)
ს-842

ფოტო მასალა მოპოვებულია: გია ჯაველიძის, ზაქარია ქურდიანის, მანანა ოდიშელის, გიორგი კალანდიას, ნანა მეფარიშვილის, თამთა კაციტაძის, ნატალია კურტიანიძის ფოტო არქივებიდან, ქ. ბოხუში არსებული გერმანიის სამთო მრეწველობის მუზეუმისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მიერ 2001 წელს ერთობლივად ორგანიზებული გამოფენა "საქართველო – განძეულობა ოქროს საწმისის ქვეყნიდან" კატალოგიდან (მონოდებულია სულხან ხარაბაძის მიერ)

Photos have been taken from Gia Javelidze's, Zakaria Kurdiani's, Manana Odisheli's, Giorgi Kalandia's, Nana Meparishvili's, Tamta Katsitadzes and Natalie Kurtanidze's photo archives, from the catalogue of exhibition "Georgia – Treasure from the Land of Golden Fleece", jointly organized by German Mining Museum and Archaeological Research Center at the Georgian Academy of Sciences in 2001 (photos supplied by Sul Khan Kharabadze)

ავტორი - ნინო ლაღიძე

ბარომსახური - დიმიტრი მოსულიშვილი, კომპანია "ახიტექსოთა ჯეზი" და ჟურნალი "სტილი"

კომპიუტერული დიზაინი - თამაზ ჩხაიძე

თარგმანი - ნატა კურტიანიძე

წიგნის მეორე ნაწილის "თანამედროვე ქართველი არქიტექტორები" ინდივიდუალური საავტორო გვერდების დიზაინი შექმნილია თავად არქიტექტორების მიერ. გამომცემლობა ჰასებს ახ აგებს ავტორების მიერ მონოდებული ტექსტის შინაარსზე.

AUTHOR - Nino Laghidze

PUBLISHER - Dimitri Mosulishvili, Company "ARCHITECTURAL CLUB" & Magazine "STYLE"

COMPUTER GRAPHIC - Tamaz Chkhaidze

TRANSLATION - Nata Kurtanidze

Auteur pages in the second part of the publication "Modern Georgian Architects" have been designed by architects individually.

The publishing house is not responsible for the contents of text supplied by the authors

ჟურნალი **სტილი** Magazine



გამოყენებული ლიტერატურა:

- ბერიძე ვ. ქართული ხუროთმოძღვრება უძველესი დროიდან XX ს-ის დასაწყისამდე, თბ., 1967 (რუს).
ჯანბერიძე ო., ჯავახიშვილი ა. უძველესი დასახლებების კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე. თბ. 1971. (რუს)
ზაქარაია პ. საქართველოს უძველესი ციხე-სიმაგრეები. თბ. 1969. (რუს)
აბრამიშვილი გ., ზაქარაია პ., ციციშვილი ი., ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბ., 2000.
ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია, თბ. 1961.
აფაქიძე ა. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ თბილისში, თბ., 1963.
ბერიძე ვ. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1955.
ბერიძე ვ. თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წწ., ტ. I, თბ., 1960. ტ. II, 1963.
ბერიძე ვ. XVI-XVIII სს. ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1963 წ.
ზაქარაია პ. ქართული ხუროთმოძღვრება XI- XVIII სს., თბ., 1990.
სუმბაძე ლ., ქართული დარბაზი, თბ., 1960.
ჩუბინაშვილი გ. სევეროვი ნ. ქართული არქიტექტურის გზები., თბ., 1936.

References:

- V. Beridze, "Georgian Architecture from the Ancient Times until the 20th Century", Tbilisi, 1967 (Rus)
O. Janberidze, A. Javakhashvili, "Culture of the Ancient Tribes Populating the Territory of Georgia", Tbilisi, 1971 (Rus)
P. Zakaraia, "Ancient Georgian Fortresses", Tbilisi, 1969 (Rus)
G. Abramishvili, P. Zakaraia, I. Tsitsishvili, "History of Georgian Architecture", Tbilisi, 2000
Sh. Amiranashvili, "History of Georgian Art", Tbilisi, 1961
A. Apakidze, "Georgian Cities and Urban Background of Old Tbilisi", Tbilisi, 1963
V. Beridze, "Old Georgian Architecture", Tbilisi, 1955
V. Geridze, "Architecture of Tbilisi in 1801-1917", vol. 1, 1960; vol. 2, 1963
V. Beridze, "Georgian Architecture in the 16th-18th Centuries", Tbilisi, 1963
P. Zakaraia, "Georgian Architecture in the 11th-18th Centuries", Tbilisi, 1990
L. Sumbadze, "Georgian Darbazi", Tbilisi, 1960
G. Chubinishvili, Severov N., "The Ways of Georgian Architecture", Tbilisi, 1936

ISBN 978-9941-0-0938-9
ISSN 1987-8311

საქართველოს არქიტექტურა & თანამედროვე ქართველი არქიტექტორები

Georgian Architecture & Modern Georgian Architects

შესავალი

დღეს, მშენებლობისა და არქიტექტურის სფეროში მიმდინარე რადიკალური ცვლილებებისა და მშენებლობის დაჩქარებული ტემპებიდან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მშენებლობისა და არქიტექტურის ხარისხს.

ეკონომიკური სირთულეების მიუხედავად, მნიშვნელოვანი მასშტაბების მშენებლობები მიმდინარეობს.

არქიტექტორის როლი თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში განუხრელად იზრდება. მშენებლობა, ინტერიერების მოწყობა, ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის ინტერესთა ფართო სპექტრს მოიცავს.

არქიტექტორების შემოქმედების პოპულარიზაციისათვის და საუკეთესო არქიტექტურული ნამუშევრების წარმოსაჩენად, ჟურნალი "სტილის" და „არქიტექტორთა კლუბის“ ეგიდით გამოიცა წიგნი, სახელწოდებით „საქართველოს არქიტექტურა & თანამედროვე ქართველი არქიტექტორები“ ქართულ-ინგლისურ ენებზე. გამოცემა გათვალისწინებულია, როგორც პროფესიონალებისათვის, ასევე მკითხველთა ფართო აუდიტორიისათვის.

წიგნის შესავალი ნაწილი ეძღვნება საქართველოს არქიტექტურის განვითარების ისტორიის ზოგად მიმოხილვას; საქართველოს ისტორიულ-არქიტექტურული პროცესში არსებულ ცალკეულ ძირეულ მომენტებს და გარდამავალ მდგომარეობებს, რომლებსაც ეპოქალური, ან კერძო, ადგილობრივი მნიშვნელობა გააჩნია. ძირითადად, განიხილება, საქართველოს მსხვილი ქალაქების არქიტექტურულ-ქალაქგეგმარებითი გარდასახვის ისტორიული თავისებურებები და არქიტექტურულ-სივრცობრივი გარემოს სპეციფიკა.

წიგნში ვრცელადაა წარმოდგენილი საქართველოს წამყვანი არქიტექტორების და დიზაინერების შემოქმედებითი ფრაგმენტები - ქალაქგეგმარებითი პროცესების ახლებურად გააზრება-განვრცობა, ქალაქის არქიტექტურულ ქარგაში წარმოქმნილი მნიშვნელოვანი ცვლილებები, ახალი ინტერიერული სივრცეები.

წიგნის - „საქართველოს არქიტექტურა & თანამედროვე ქართველი არქიტექტორები“ - გამოცემა, პროექტის პირველი ეტაპია. სამომავლოდ, დაგეგმილი გვაქვს, იგი, კვლავ საინტერესოდ განვაგრძოთ, მითუმეტეს, რომ ინტერესი პროფესიონალების მხრიდან უკვე მზარდია.

ჟურნალი "სტილის" და „არქიტექტორთა კლუბის“ სახელით დიდ მადლობას ვუხდით გამოცემის მონაწილე ყველა პროფესიონალს, ჩვენს პარტნიორებს - კომპანიებს - „კაპაროლ ჯორჯიას“, „კნაუფს“, „ინსტას“, „ჰერბოვიტალს“, რადგან, სწორედ მათი ძალისხმევით შედგა პროექტი - გამოიცა წიგნი „საქართველოს არქიტექტურა & თანამედროვე ქართველი არქიტექტორები“.

INTRODUCTION

In the present-day architectural reality with its accelerated heartbeat and constant changes the issue of quality becomes more and more important.

The role of architecture in Georgian society increases dramatically. Large constructions go on even in spite of the current economic crisis; construction and interior design attract the interest of an important part of the local public.

Considering the above and with the goal of promoting the architects' activities and highlighting architectural works STYLE Magazine and the Architects' Club published this Georgian and English language book - "Georgian Architecture & Modern Georgian Architects". The publication is intended for professionals as well as a wider range of amateur readers. Introductory part of the book reviews development of Georgian architecture, singling out particular historical and architectural milestones and transitional stages of global or local importance. However, the review is mostly focused on the architectural and urban development and specificity of architectural environment in large Georgian cities.

The rest of the book covers the activity of leading Georgian architects and designers - innovative approach toward urban development, significant changes in urban architectural background, new interior spaces.

"Georgian Architecture & Modern Georgian Architects" is just the first stage of our project. We plan to continue and diversify our activity in the future, especially that the interest on the part of professionals is considerably large.

STYLE Magazine and the Architects' Club would like to express their gratitude to all the professionals who took part in this publication, because it is due to their efforts that the book "Georgian Architecture & Modern Georgian Architects" got published.

Special thanks to our partners: companies "Knauff", "CAPAROL GEORGIA", "Insta", "Herbovital2" for successful implementation of the project.

კნაუფის პროდუქტები და სისტემები



knauf
საშენობლო მასალები

შ.პ.ს. ინსტა



ელექტრო, გალვანოქიმიკა,
ხანკარსანიანადმუშო სისტემები,
პროექტირება, მონტაჟი

ოფისი: თბილისი, ზაქარიაძის ქ. №8.
ტელ.: 20 20 2021, ფაქსი: 20 20 22.
e-mail: sales@insta.ge

მარაგის: თბილისი,
პანა-ფანაშელის №64
ტელ.: 20 20 23, 39 90 98
e-mail: shop@insta.ge

www.insta.ge

Contents სარჩევი

Abuladze Guram	72	აბულაძე გურამ
Architects.ge	76	არქიტექტორები.ჯი
Architectural & Design Group	90	არქიტექტურულ-დიზაინერული ჯგუფი
Architectural Group A+1	96	არქიტექტურული ჯგუფი ა+1
ArtExclusive Creative Group	104	შემოქმედებითი ჯგუფი "არტექსკლუზივი"
ARTSTUDIO project	108	არტსტუდიო პროექტი
Atrium Studio	110	სტუდია ატრიუმი
Axis	114	აქსისი
Bakhtadze Ina	128	ბახტაძე ინა
Baliashvili Misha	130	ბალიაშვილი მიშა
Beridze Giorgi	134	ბერიძე გიორგი
Chkhaidze Mamuka	150	ჩხაიძე მამუკა
Chkhetia Goga	160	ჩხეთია გოგა
Collegium company	164	კომპანია კოლეგიუმი
Creative Studio "Kobulebi and Partners"	172	შემოქმედებითი სტუდია "ქობულიები და პარტნიორები"
Creative Studio David Makharoblishvili	180	შემოქმედებითი სტუდია დავით მახარობლიშვილი
Dekari Architectural Studio	194	არქიტექტურული სტუდია დეკარი
Designbureau	196	დიზაინ ბიურო
Dmark Architectural Company	202	არქიტექტურული კომპანია "დემარკი"
Gagnidze Merab	208	გაგნიძე მერაბ
Gamkrelidze Irakli	220	გამყრელიძე ირაკლი
Gia & Archil Kurdiani's Studio "Dynasty"	222	გია და არჩილ ქურდიანების სტუდია "დინასტია"
Gujejian Merab	226	გუჯეჯიანი მერაბ
I Studio	228	XXI არქიტექტურულ-დიზაინერული ხელოვნების სტუდია



ბრლი, გერმანია



ბრლი, გერმანია



ბრლი, გერმანია

Khmaladze Giorgi	232	ხმალაძე გიორგი
Khmaladze Lado	234	ხმალაძე ლადო
Khurtsilava Davit	238	ხურცილავა დავით
Korkia Dato	244	ქორქია დათო
Korkotashvili Aleko	256	კორკოტაშვილი ალექო
Maisaia Lado	258	მაისაია ლადო
M-G Studio	270	ემ-ჯი სტუდო
Mosulishvili Dimitri	276	მოსულიშვილი დიმიტრი
Mosulishvili Giorgi	280	მოსულიშვილი გიორგი
Omanadze Emma	282	ომანაძე ემა
Petviashvili Andro, Golodze Sandro	284	ფეტვიაშვილი ანდრო, ღოღოძე სანდრო
Piramida Studio	288	სტუდია პირამიდა
Pirtskhalava Khatuna	296	ფირცხალავა ხათუნა
Shashiashvili Laliko	300	შაშიაშვილი ლალიკო
StudiA	302	სტუდია ა
Studia 2	306	სტუდია 2
studio Gils	320	სტუდია გილსი
Svimonishvili Irakli	326	სვიმონიშვილი ირაკლი
Topuridze Dimitri	328	თოფურიძე დიმიტრი
Tsitsishvili Elene	332	ციციშვილი ელენე
Tsitsishvili Zaza	338	ციციშვილი ზაზა
Tsutsikiridze David	346	ცუცქირიძე დავით
Vepkhvadze Otari, Kartozia Gia, Devdariani Gogi	350	ვეფხვაძე ოთარ, კარტოზია გია, დევდარიანი გოგი
Workroom of Nikolaishvili brothers	354	ძმები ნიკოლაიშვილების სახელსწრე




www.gessi.com



www.antoniolupi.it



www.antoniolupi.it



www.jacuzzi.eu



www.sicis.com

HERBOVITAL2

THE FANTASTIC WAY WE LIVE



www.jacuzzi.eu



www.devon-devon.com

22 Metekhi str.
0103 Tbilisi Georgia
Tel.: +995 32 273300
Fax.: +995 32 747121
www.herbovital2.eu
e-mail: info@herbovital2.com.ge




www.antoniolupi.it




www.devon-devon.com




www.gessi.com



www.jacuzzi.eu



www.sicis.com



კახეთი, სოფ. გიორგიწმინდა. დარბაზი.
დედაბოძი (1850-1853 წწ.)
ფოტო: ნანა მეფარიშვილი.
პროექტი: „ქართული სახლი“. კომპანია არსი

Kakheti, Giorgitsminda. Darbazi. Pillar (1850-1853)
Photo by Nana Meparishvili;
project "Georgian House", Company ARCI

საქართველოს არქიტექტურა
Georgian Architecture



საქართველოს ტერიტორია კავკასიის ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარეს მოიცავს. აღმოსავლეთ და დასავლეთ კულტურებს შორის მოქცეულმა ტერიტორიამ, განაპირობა მისი არქიტექტურის გარკვეული სახით ჩამოყალიბება. ამას ხელი შეუწყო რელიეფმა, კლიმატმა და სამშენებლო მასალის მრავალფეროვნებამ. საქართველო კულტურის ძეგლების სიმრავლითაა გამორჩეული. აქ, პალეოლითის ადრეული საფეხურიდან დაწყებული, კაცობრიობის განვითარების უკლებლივ ყველა ეტაპია წარმოდგენილი. უკანასკნელი წლების გამოკვლევებმა (დმანისის გათხრები) გვიჩვენა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრება ერთი მილიონ 800 ათასი წლის წინათ დაწყებულა.

ასეა, ვინაიდან პირველყოფილი ადამიანის ფართო განსახლება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად დადგინდა **ქვის ხანის** სტადიების ადგილობრივი საფუძველი და განვითარების უწყვეტი პროცესი. ამასთანავე კავკასიის პალეოლითის ძეგლები გარკვეულ სიახლოვეს იჩენენ მახლობელი აღმოსავლეთის (სირია, ერაყი, პალესტინა) გვიანპალეოლითურ ძეგლებთან. საქართველოში არქიტექტურის აღმოცენებას, ცხადია, ვერ დავუკავშირებთ პირველყოფილი ადამიანის მიერ მღვიმეთა თუ სხვა ბუნებრივ თავშესაფართა გამოყენებას. იგი დაკავშირებულია ადამიანის შეგნებულ მოღვაწეობასთან და შრომის იარაღების შემწეობით შექმნილ პირველ ნაგებობებთან. მხოლოდ ხელოვნურ ნაგებობებში ხდება ადამიანის მიერ მასალის თვისებების და ნაგებობის ცალკეული ნაწილების კონსტრუქციული არსის გააზრება.

განვითარების შემდეგი სტადია - ნეოლითის ეპოქა (ძვ. წ. X - VI ათასწლეულები) საქართველოს ტერიტორიაზე წარმოდგენილია მრავალი სადგომით - ანასუღში, ოდიშში, მაცისხეში, მამათში, სამელეკლდეში და სხვა. ნეოლითური ძეგლები ხასიათდება თავისუფალი, სტიქიურად აღმოცენებული განაშენიანებით. თვით საცხოვრებელი წარმოადგენდა თიხით შელესილ ნაგებობას, რომლის შიგნით ცხოვრობდა საერთო კერის მქონე გვაროვნული ჯგუფი. აღმოჩენილ ნამოსახლარებზე გამოვლენილია მრავალსაკნინი საცხოვრებლების ნაშთები. აქვე მიკვლეულია ოვალურად განლაგებული რამდენიმე ნასახლარის ნაშთი.

ნეოლითის ეპოქაში ყალიბდება ძირითადი არქიტექტურული სქემები ნაგებობის ნაწილების ფუნქციითა მკვეთრი გრადაციით. იქმნება დამოუკიდებელი ნაგებობა გადახურვით, რომელიც განსაზღვრავს საცხოვრებლის ფორმას და ზომებს.

საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებული ტომების კულტურა განსაკუთრებით ინტენსიურად ვითარდება **ბრინჯაოს ხანაში**. საქართველოს სამხრეთ აღმოსავლეთის ველებზე, მდ. ხრამის ნაპირზე გამოვლენილია ძვ. წ. V-IV ათასწლეულების ათეული ნასოფლარი - საცხოვრებელი ბორცვები. მიკვლეული ნასოფლარების (შულავერის გორა, იმირის გორა) შესწავლისას შეიძლება დავასკვნათ, რომ იმდროინდელი საცხოვრებელი კომპლექსი შეიცავდა საცხოვრებელ ოთახს, ასევე წრიული ფორმის სამეურნეო ნაგებობას საკვების მარაგის შესანახად და თიხატყეპნილი ორმოებს, უმთავრესად წყლის მარაგისთვის.

სამხრეთ საქართველოს ენეოლითური ხანის ნასოფლარებში დამონებულ საცხოვრებელ სახლებს ბევრი საერთო ნიშანი აქვთ ამავე პერიოდის აზერბაიჯანის ტერიტორიის, სომხეთის, აღმოსავლეთ სბელთაშუა ზღვის, წინა აზიის, ჩრდილო მესოპოტამიის ნასოფლარებთან, სადაც აგრეთვე გვხვდება წრიული და ოვალური ფორმის გუმბათური შენობები. ამგვარად, სამხრეთ საქართველოს ტერიტორია ენეოლითსა და მომდევნო პერიოდში შედიოდა წინა აზიის კულტურის არეალში.

The territory of Georgia covers the north-western part of Caucasian mountains. Apart from such factors as relief, climate and diversity of available construction materials, the fact that this country was located between the areas of western and eastern cultural influence exerted considerable impact on development of local architecture.

Georgia is renowned for the quantity of cultural monuments. In this country you can visualize all the stages of human development starting with early Paleolith. Archaeological research recently conducted in Dmanisi evidenced that Georgia was inhabited as many as 1800000 years ago.

Wide dissemination of primeval tribes on the territory of Georgia is a proven fact. Archaeologists have found traces of stably developing local culture dating back to the **Stone Age**. It is noteworthy that paleolithic monuments found in Georgia bear certain semblance to the late Stone Age monuments located in Middle East (Syria, Iraq, and Palestina). Naturally we cannot associate development of Georgian architecture with how primeval men used caves and other natural shelters; architecture takes its source in purposeful attempts to create constructions with the help of tools. It was creation of artificial shelters that urged the mankind to analyze importance and qualities of different construction materials and parts.

Next stage of human development – Neolith (10th-6th millennia B.C.) is represented on the territory of Georgia by numerous camp sites (as found in Anaseuli, Odishi, Matsitsikhe, Mamati, Samelekelde, etc.). Neolithic monuments are distinguished for free, spontaneous, desultory development. A Neolithic house was wattle and daub hut sheltering a clan of people using a single hearth. Neolithic sites found by archaeologists on the territory of Georgia contain traces of multiple-cell dwellings; several sites represent clusters of huts built around an oval clearing.

In the Neolithic epoch there starts development of major architectural patterns with sharp functional distinction of different parts of the construction. Standalone roofed constructions are created, defining shape and proportions of a future house.

Tribes populating the territory of Georgia develop with special intensity in the **Bronze Age**. The plains in the south-eastern part of Georgia, the banks of Khrami River contain dozens of settlement sites dating back to the 5th-4th millennia B.C. The sites already studied by archaeologists, such as Shulaveri and Imiri Hills, show that Bronze Age houses contained a common room, a circular storage facility and clay pits, mainly used for storing water.

Traces of Eneolithic settlements in southern Georgia constructions have strong associations with the settlements of the same period located in Azerbaijan, Armenia, eastern Mediterranean Sea coast, west Asia and northern Mesopotamia, where domed circular and oval constructions are also common. A logical conclusion to this is that in Eneolithis and the subsequent period southern Georgia still belonged to west-Asian culture.

There are numerous 3rd millennium B.C. (**early Bronze Age**) settlements in Shida Kartli: Khizanaantgora, Kvatskhelebi, Gudabertkia. Judging by ruins of these constructions one can suggest that they had flat roofs with underlying structures of beams and crossbars supported by deda-bodzi ("mother-pillar") and forming an oculus in the center.

Such constructions were the prototypes of darbazi-type houses, which became widespread all over Georgia later on.

In the middle of the Bronze Age (end of the 3rd and beginning of the 2nd millennium B.C.) there forms the so-called "Trialeti Culture". This period is represented by large burial mounds, evidencing existence of complex burial rituals and rich selection of tools.

Settlements found in Kolkheti Lowlands date back to the end of Middle Bronze Age. Under the settlement sites there were wooden log foundations, on which stood spherical or polygonal wattle constructions.

In Dighomi, on the north-western outskirts of Tbilisi, there are some sites dating back to the **Late Bronze Age and Iron Age**. These houses are built with cobble stone, have flat roofing and appended bakeries and platforms with altars.

One interesting detail distinguishes 13th-6th cc. B.C. houses found on a hill near Khovle Village. Houses found here are rectangular, not circular. Their roofs with centrally positioned smoke vents are supported by columns and free supports. A distinctly creative approach is noticeable in decoration of altars.

Apart from village-type settlement sites, the territory of Georgia contains almost all types of **megalithic constructions**. In Tsalka, Tetri Tskaro and some



„საქართველოს რუკა“. ავტორი: მხატვარი, ნიკოლოზ (კოკა) იგნატოვი. 1990 - იანი წლები, პარიზი.
 "Map of Georgia". Author: Artist Nikoloz (Koka) Ignatov (The 1990'ies, Paris).

ადრეული ბრინჯაოს ხანის ძვ.წ. III ათასწლეულის ნასოფლარები მრავლადაა შემონახული შიდა ქართლში (ხიზანაანთგორა, ქვაცხელები, გუდაბერტყია) შენობის ნაშთებიდან დგინდება, რომ, იგი გადახურული ყოფილა ბანურად - დედაბოძა და თავზე ზე დამყარებული კოჭების და ლასტის სისტემით, რომელიც ცენტრში ქმნიდა სარკმელს - ერდოს.

სწორედ ასეთი შენობები წარმოადგენდნენ საქართველოში, შემდგომში ფართოდ გავრცელებული "დარბაზული" ტიპის სახლების პროტოტიპს.

ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოს და II ათასწლეულის დასაწყისში, **შუა ბრინჯაოს** ხანაში იქმნება ე.წ. "თრიალეთის კულტურა". ეს პერიოდი წარმოდგენილია დიდი სამარხი ყორღანებით - რთული დამარხვის რიტუალით და მდიდარი ინვენტარით.

შუა ბრინჯაოს ბოლო პერიოდს მიეკუთვნება კოლხეთის დაბლობის ნასოფლარები. ნასოფლარის ქვეშ შექმნილია ხის მორები-სგან შედგენილი საფუძველი, რომელზეც შემდეგ აგებულია ჯარგვალის ტიპის ნაშლის წრიული ან მრავალწახნაგა ფორმის შენობები.

გვიან ბრინჯაოს და რკინის ხანას მიეკუთვნება ნასახლარები თბილისის ჩრდილო-დასავლეთის განაპირას - დიღმის ნასოფლარებში. სახლები აგებულია რიყის და ფლეთილი ქვით. აქვთ ბრტყელი გადახურვა, თან ახლავთ პურის საცხობი და ბაქანი სამსხვერპლითი და საკურთხეველებით.

საგულისხმოა სოფელ ხოვლესთან გორაზე აღმოჩენილი ნასახლარები დათარიღებული ძვ.წ. XIII-VI საუკუნეებით. ერდოიანი საცხოვრებელი სახლები აქ სწორკუთხა ფორმისაა. გადახურვა ეყრდნობა კედლის სვეტებსა და თავისუფლად მდგომ საყრდენებს. გარკვეული დეკორატიული გადანყვეტა ინიშნება სალოცავი კუთხის მოწყობისას.

ნასოფლარებთან ერთად, საქართველოში აღრიცხულია **მეგალითურ ნაგებობათა** თითქმის ყველა სახე. წალკის, თეთრი წყაროს და სამხრეთის სხვა რაიონებში შემორჩენილია მენჰირები - შვეულად დაყენებული მონოლითები, რომლებიც თითქმის სახე-შეუცვლელია. დოლმენები გვხვდება ძირითადად აფხაზეთში. იგი შედგება ხუთი დიდი ფილისგან, რომლებიც კარგადაა მორგებუ-

ლი ერთმანეთთან. დოლმენების სამარხი ინვენტარი და დამუშავების ტექნიკა გვიჩვენებს, რომ მათი მშენებლობა ხორციელდებოდა ბრინჯაოს ეპოქაში ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულის დასაწყისში.

საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მის სამხრეთ რაიონებში შემორჩენილია მრგვალი, ე.წ. "ციკლოპური ციხე". სწორედ ამ ციხეზეა საუბარი ურარტუელი მეფეების - არგიშტი I-ისა და სარდურ II-ის დიაოხის ტერიტორიაზე ლაშქრობებთან დაკავშირებულ წარწერებში. ამ მონაცემებით ყოველ 5-6 სოფელზე მოდიოდა თითო გამაგრებული ციხე-ქალაქი მოსახლეობის და მათი ქონების დასაცავად. აღსანიშნავია, რომ ციკლოპური ციხეების სამშენებლო მასალა და მშენებლობის ტექნიკაც განსაკუთრებით კონსერვატიულია და ვრცელდება **ენეოლითიდან** ვიდრე **ფეოდალურ ეპოქამდე**.

ძველი ნამოსახლარების ნაშთები გარე კახეთში, გარეჯის უდაბნოს ზონაშიცაა გამოვლენილი. ისინი ჯგუფებადაა განლაგებული. მოზრდილი დასახლების ირგვლივ შეიმჩნევა შედარებით მცირე დასახლებები (ნაომარი გორა). ჩანს რომ ნაგებობათა უმეტესობა ერთდროულად, წინასწარ შედგენილი გეგმითაა ნაშენი. მას II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და I ათასწლეულის შუა პერიოდს მიაკუთვნებენ.

ცხადია, რომ პირველყოფილი საზოგადოების პერიოდში საუბარი საკუთრივ ქართულ ხუროთმოძღვრებაზე არ იქნებოდა სწორი, მაგრამ საქმე გვაქვს უშუალო წინაპრების, ქართველი ტომების ხუროთმოძღვრებასთან, მათ კულტურასთან, სადაც ძირითადი არქიტექტურული ტიპები, კონსტრუქციული ხერხები და მხატვრული ფორმები გამომუშავდა, რომელმაც შემდგომი განვითარება ჰპოვა ხუროთმოძღვრებაში.

უცილობლად, პირველყოფილი საზოგადოების ეპოქაში უკვე **მენჰირში** ვლინდება ადამიანის მისწრაფება შექმნას მხატვრული სახე. ვერტიკალურად დაყენებული მონოლითი, ბოძი ან სვეტი თავისი მარტივი და მეტყველი ფორმით შეადგენს არქიტექტურის ერთ-ერთ საფუძველს. **დოლმენებში**, პირველად მონუმენტურ არქიტექტურაში იფარგლება შიგა სივრცე და გამოიყოფა ნაგებობის გარე მოცულობა. მალის გადიდების მიზნით ნახშირი ცრუ თალის და კამარის კონსტრუქცია ბრინჯაოს ხანის ნასახლარებში ქმნის საფუძველს მომავალი კამარების და გუმბათების შესაქმნელად.

დმანისის ნაქალაქარი
Dmanisi Site

როგორც აღინიშნა, ენეოლითის ეპოქის ძეგლები, გარკვეულ თავისებურებათა მიუხედავად ავლენენ მსგავსებას მთელი ამიერკავკასიის, ირანის, ანატოლიის, წინა აზიის ქვეყნების მიმდებარე ოლქების კულტურასთან.

ბრინჯაოს ხანაში ე.წ. მტკვარ-არაქსის კულტურა, ასევე ავღონის ურთიერთობას წინა აზიის, მცირე აზიის და ეგეოსის ზღვის ცივილიზაციებთან.

იბერია და კოლხეთის სამეფომ ძვ.წ. III - II საუკუნეში დიდ სიძლიერეს მიაღწია, რაც ბერძენი და რომაელი ისტორიკოსების (ჰეროდოტე, ქსენოფონტე, პლინიუსი, სტრაბონი, დონ კასიოსი) წერილობით წყაროებშია ასახული. ეს ცნობები შეივსო არქეოლოგიური გათხრების უტყუარი მასალით, რომლის მიხედვითაც საქართველოში უკვე ელინისტურ პერიოდში არსებობდა მნიშვნელოვანი ქალაქები: მცხეთა-არმაზციხე, ვანი, შორაპანი, გორი, კასპი, სარკინე, უფლისციხე და სხვა. საქართველოს საქალაქო ცხოვრების მაღალ დონეს ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლოს და ახ. წ. პირველ საუკუნეებში გვიხატავენ ბაგინეთის, არმაზისხევის, ვანის, კლდეეთის, ბორის, სამთავროს გათხრის შედეგად გამოვლენილი საგნები და სამკაულები. ეს გარემოებაც უცილობლად მოწმობს იმ დროის საზოგადოების მაღალ დონეს, რომელსაც უნდა ჰქონოდა სათანადო სასახლეები, ტაძრები - აგებული არქიტექტურული ხელოვნების წესების შესაბამისად.

ანტიკური ეპოქის მნიშვნელოვანი ძეგლები აღმოჩენილია მცხეთაში და ძველი ნელთარნიცხვით უკანასკნელ ასწლეულებს და ახალი ერის პირველ საუკუნეს მიეკუთვნება.

მცხეთაში სამთავრო სამაროვანზე აღმოჩენილი ახ. წ. IV საუკუნის საფლავის ქვის ეპიტაფიის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ანტიკურ მცხეთაში, ყოველ შემთხვევაში ახ. წ. პირველ საუკუნეებში არსებობდა სპეციალური თანამდებობის პირი, რომელიც ხელმძღვანელობდა ქალაქის მშენებლობას და არქიტექტურას, მის კეთილმოწყობას და მხატვრულ სრულყოფას. მსხვილი ქალაქების აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა შიდა ციხე (აკროპოლისი). მისი ერთი ან ორი მხარე ემხრობოდა კლდოვან ფლატეს, ხოლო დანარჩენი მხარეები მიმართული იყო ქალაქისკენ. ასეთი მდებარეობა დამონმებულია არმაზციხეში, ნოქალაქევი, შორაპანში, გორში, დმანისში. აქ საერო და სხვა დანიშნულების შენობების გარდა გამოვლენილია საფორტიფიკაციო ნაგებობათა მთელი სისტემა.

other districts of southern Georgia you can find menhirs – upright monoliths, which remain almost unchanged until the present day. Dolmens are more common in Abkhazia. Most of them consist of five large slabs, carefully fitted to each other. Judging by burial inventory and processing techniques applied, these dolmens should have been erected in the Bronze Age, in the end of the 3rd – beginning of the 2nd millennium BC.

Another type of prehistoric construction found in Georgia, especially its southern regions, is circular, so-called cyclopean fortress. It is such fortresses that are mentioned in the texts describing Diakokhi campaigns of Urartu kings Argishti I and Sardur II. According to this data, each 5-6 villages were protected by one fortified castle, where local dwellers could shelter themselves and store their belongings during invasions. It should be noted that materials and techniques used for construction of cyclopean fortresses remained in use from **Eneolith** until the **Middle Ages** (Nordevan, Pantiani, Santa, Gumbati, Shaori, Koroghlo, Chkhikvta).

Aerial photography also revealed traces of ancient dwellings in outer Kakheti, in the Gareji desert area. The settlements are located in groups: around larger sites there are traces of comparatively small settlements (Naomari Hill). Apparently, the majority of constructions were built at the same time, in accordance with a preliminarily developed plan. This site is dated the second part of the 2nd – middle of the 1st millennia BC.

Obviously it would not be right to presume existence of architecture as such in the prehistoric epoch; however, studies of prehistoric culture give us information on its immediate antecedent – architectural customs of Kartvelian tribes, their culture, within which the major architectural types, construction techniques and artistic forms got conceived and later developed into Georgian architecture.

Undoubtedly, the wish to engage in creative activity was present in prehistoric society – even **menhirs** look like attempts to make an artistic statement. Vertically placed monoliths or columns with their simple but eloquent form represent one of the cornerstones of architecture. **Dolmens** are the first samples of monumental architecture enclosing an interior space and outlining construction exterior. Bronze Age houses with false domes used to enlarge interior spaces are the prototypes of vaulted and domed constructions.

As we already said, in spite of certain peculiarities eneolithic monuments found in Georgia show certain likeness with the general Caucasian culture and that of Iran, Anatolia and other West-Asian regions.

Kura-Araxes culture developed during the Bronze Age also revealed connection with Western Asia (Iran, Mesopotamia), Asia Minor and Aegean Sea civilizations.

Iberia and the Kingdom of Colchis reached considerable strength in the 3rd-2nd centuries B.C. This period is well covered in the historical sources. Greek and Roman historians (such as Herodotus, Xenophon, Pliny, Strabo and Dio Cassius) mention Iberia in their notes as a country with developed metallurgy and advanced architecture. Ancient historical documents have been complemented by practical results of archaeological excavations, confirming existence

ქვევრი (III ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე)
Pithos (first half of the 3rd century B.C.)

ვანის კარიბჭე. სურათზე ჩანს გაცრეცილი საფეხურებით და ქანდაკების პედესტალი (II-I სს ჩვენს წელთაღრიცხვამდე)
Vani city gateway, showing worn steps and a statue base (2nd-1st century B.C.)

ტაძრის შესასვლელი - პროპილეა (II-I სს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე)
Entrance to the Temple-Propylaea (2nd-1st century B.C.)

დაახლოებით ამავე პერიოდში, კლდეში ნაკვეთი კომპლექსების მშენებლობა იწყება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ძეგლია უფლისციხე, იგი კლდეში ნაკვეთი ქალაქია. სწორედ ამიტომ, საქართველოს სხვა ქალაქებს შორის, მან ყველაზე მკაფიოდ და სისრულით შემოგვინახა, გეგმარების სისტემა, თავდაცვითი ნაგებობების სახეები, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების სახეები ძვ.წ. III-I საუკუნეებში უფლისციხე ტიპური ელინისტური ქალაქია. მისი რამდენიმე დარბაზი, ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებით თარიღდება. ქალაქი ძლიერ განვითარებული იყო. ამას მოწმობს იქ აღმოჩენილი სხვადასხვა სათავსოები, ოთახის ტიპის გამოქვაბულები და გზის ნაწილი. უფლისციხეს საუკუნეების მანძილზე სამხედრო დანიშნულებაც ჰქონდა. ნაქალაქარის ტერიტორიაზე აგებულია წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, რომელიც სამ ეკლესიას აერთიანებს.

უფლისციხეს ერთი მხრიდან კლდეები იცავდა, სხვა მხრიდან კი კლდეში გაჭრილი თხრილები. ქალაქიდან, მტკვრის ნაპირთან ჩადიოდა საიდუმლო გვირაბიც.

უფლისციხემ, როგორც ქალაქმა, არსებობა მეცამეტე საუკუნეში შეწყვიტა, მონღოლთა შემოსევების დროს. დღეს ნაქალაქარი ღია ცის ქვეშ არსებულ მუზეუმს წარმოადგენს.

ძვ. წ. III-I საუკუნეებში ვანი სატაძრო ქალაქად ითვლება. ანტიკურ ხანაში, იგი ძველი კოლხეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქია. ვანი, სადაც 1947 წლიდან მიმდინარეობდა სისტემატური გათხრები, ქალაქური ტიპის დასახლებად განვითარდა, იმ უძველეს დასახლებათა საფუძველზე, რომელთა ნაშთები ახლა მრავლადაა ფიქსირებული მის და ირგვლივ მდებარე ტერიტორიაზე. ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული, ჯერჯერობით უძველესი არქეოლოგიური მასალა ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებით თარიღდება. გათხრების შედეგად აღმოჩენილია ძვ. წ. III საუკუნის გალავნის კედელი, კარიბჭის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, კონტრაფორსებიანი ნაგებობა, მრგვალი ტაძარი, შვიდსაფეხურიანი საკურთხეველი და სხვა საკულტო და საზოგადოებრივი შენობები. ძველი ქალაქი განადგურდა ძვ. წ. I საუკუნის შუა წლებში.

უძველესი ცნობა გონიოს ციხის შესახებ ეკუთვნის რომაელ ავტორს პლინიუს სეკუნდუსს (ახ. წ. I ს.). II საუკუნეში იგი კარგად გამაგრებული და კეთილმოწყობილი (იპოდრომი და სხვა ნაგებობანი) ციხე-ქალაქი ყოფილა. გონიოს ციხე ქვითაა ნაგები. შეინიშნება რამდენიმე სამშენებლო ფენა. პირველი ფენა (III-V სს.) გამოირჩევა კარგი დამუშავებითა და წყობით, მეორე ფენის კოშკებიანი კედლები (VI-VII სს.) შედარებით ნაკლები ხარისხისაა, მესამე ფენა კი იმ პერიოდს განეკუთვნება, როდესაც ციხე ოსმალებს ეჭირათ (XVI ს.).

II ნახევრისა და I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში. ბიჭვინთა პირველად მოხსენიებულია სტრაბონის "გეოგრაფიაში". ირკვევა, რომ ქალაქი აქ უკვე ელინისტურ ხანაში არსებობდა. შემდგომში, იგი ერთ-ერთი უძველესი და ძლიერი კერა იყო. IV საუკუნის I მეოთხედში აქ საეპისკოპოსო კათედრა ყოფილა. ბიჭვინთა დიდ საეკლესიო ცენტრად დარჩა შუა საუკუნეებშიც.

თუმცა მიეყვით ქრონოლოგიას. ქართლში აქემენიდების ირანის გავლენით ვრცელდება ცეცხლის ტაძრები (სამადლო, ციხი-აგორა, დედოფლის მინდორი). საგულისხმოა, რომ ელინიზმის გავრცელების მიუხედავად, ქრისტიანულ საქართველოში არსადა ჩანს ბერძნული ტიპის ტაძარი. საქმე გვაქვს, მხოლოდ ცალკეულ ანტიკურ ფორმათა დასესხებასა და მათ გააზრებულ გამოყენებასთან. ეს კი არსებითად ანსხვავებს ქართული არქიტექტურის განვითარებას სხვა რეგიონების არქიტექტურასთან. თუ კოლხეთში აშკარად შეიმჩნევა ელინისტური მხატვრული მოტივების და ელემენტების გამოყენება, იბერიაში ყურადღებას იმყ-





ფიჭვნარის სამაროვანი ძვ.წ. V -IV სს.
ამფორა.
სამკაულები

Pichvnari burial ground (5th-4th centuries B.C.)
Amphora
Ornaments



რობს კრამიტის ფართო გამოყენება და აქედან, ორქანობიანი სახურავის გავრცელებაც. მეტად მნიშვნელოვანია ამ ორქანობიანი სახურავის გუმბათთან შეთავსების საკითხი. გუმბათი, ან მისი საწყისი ცრუგუმბათი ერთი, საქართველოში უძველეს დროიდანვე წარმოიშვა და მან უწყვეტი განვითარების გზა განვლო (გვირგვინიანი დარბაზი).

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე საქართველოში წარმართულ ტაძართა თითქმის ყოველთვის სამხრეთ-ჩრდილოეთის ორიენტაცია. ალბათ ამით აიხსნება სამხრეთის კარის უპირატესობა ქართულ ქრისტიანულ ტაძრებში, რაც განპირობებული იყო ქართული წარმართული პანთეონის მოთხოვნით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია: ციხიაგორა - სოფელ კავთისხევის ჩრდილოეთით აღმოჩენილი ნაგებობათა კომპლექსი; დედოფლის მინდორი, ქარელის რაიონის მდინარე ფრონეს აუზში გრანდიოზული სატაძრო კომპლექსი; უფლისციხის ოთხსვეტიანი ტაძარი; ვანის "დიდი ტაძარი" და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის საერო ნაგებობების უმრავლესობა მთლიანად დანგრეულია, მაინც არქეოლოგიური გათხრების წყალობით, აღმოჩენილია მრავალი საცხოვრებელი სახლის, სასახლის, სახელოსნოს, ადმინისტრაციული შენობის ნანგრევები, აგრეთვე აბანოები, წყალსადენები, საცურაო აუზები და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია აბანოების სიმრავლე, რაც იმდროინდელი კომფორტის თუ ჰიგიენური მოთხოვნილებების მაღალი ხარისხის მაჩვენებელია. საქართველოში გავრცელებული აბანოები ე.წ. ჰიპოკაუსტების სისტემის - რომაული ტიპისაა.

არმაზისხევის კომპლექსი წარმოადგენდა ქართლის ერისთავთა (პიტიახშთა) რეზიდენციას. მიკვლევულ შენობათა სწორკუთხა ფორმის გეგმა, შენობათა ხარისხი, სვეტისთავი და ძირი, მარმარილოს ქანდაკებათა ფრაგმენტები მოწმობენ, რომ საქმე გვაქვს წარჩინებულთა წრის სასახლის ნანგრევებთან. სასახლის შენობის ჩრდილოეთით აღმოჩნდა გვიანანტიკური დროის აბანო. ერისთავთა რეზიდენციასთან გათხრილია ნეკროპოლი ერისთავთა და მათი ოჯახის წევრების საფლავებით. სამარხთა მდიდარი და მოხდენილი ჭურჭელი და ეპიტაფიები გვიჩვენებენ იბერიის დანინაურებული ნაწილის ცხოვრების მაღალ დონეს და საერთო კულტურას.

სამთავროს ველის ჩრდილო-დასავლეთით გაითხარა ნამოსახლარი, რომელიც ძვ.წ. პირველ საუკუნეებს ეკუთვნის. სახლები ერთიანი ორიენტაციისაა, ერთიანი გეგმისა და გადახურვის. აღსანიშნავია რომ ეს არის ადრეული რკინის ხანის გლეხის სახლის ტიპი. მათი განლაგება ერთმანეთთან ახლოს, მოწმობს უკარმიდამო სახლების მაშინდელ მდგომარეობას. ანალოგიური სახლები, სახლის ნაშთები, რომლებიც თარიღდება ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით, აღმოჩენილია ნარეკვავში.

ყურადღებას იმსახურებს ბერძენ-რომაელი ისტორიკოსების ცნობებიც ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ხის საცხოვრებელი კოშკების შესახებ. ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე აგვინერს ქართული ტომების კოშკურა სოფლებს. მნიშვნელოვანია მისი ცნობები რელიეფის გამოყენებაზე, გამაგრებული სოფლების მშენებლობისას. ასევე, მრავალრიცხოვან კოშკებზე, რომელთაგან ზოგი დაცვითი დანიშნულებისაა, უმრავლესობა კი საცხოვრებელი. კოშკურა სახლების გარდა, ქსენოფონტე (ძვ.წ. 401 წ.) აგვინერს მინისქვეშა დარბაზს ზედა სინათლით. დარბაზის გადახურვა პირამიდული ყოფილა, რაც მიგვანიშნებს ქართული დარბაზის გადახურვაზე უკვე ძვ.წ. V-IV საუკუნეთა მიჯნაზე. რომელი არქიტექტორი ვიტრუვიუსი აგვინერს კოლხეთის ხის ძეგურა, კოშკურ სახლებს და დასძენს, რომ კოლხური კოშკები, რომლებსაც პირამიდული გადახურვა ჰქონდათ, საცხოვრებლის უძველეს ტიპებს მიეკუთვნებიან.





ქალაქებს ჩვეულებრივად აკრავს სამაროვნები. დედაქალაქობის პერიოდის მცხეთაში ექვსი ტიპის სამარხი გვხვდება: ორმოსამარხი, ქვის სამარხი, ქვევრსამარხი, კრამიტსამარხი, აგურისა და თიხის ფილებით ნაგები სამარხი. ყველაზე მეტი რაოდენობით აღმოჩენილია ქვის სამარხები. ეს ბუნებრივია, რადგან ასეთი სამარხები უმთავრესად ახ. წ. I საუკუნიდან ვრცელდება.

მცხეთის აკლდამა - გვიანდელი ანტიკური ხანის არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლი, ერთსაკნიანი, სწორკუთხა ნაგებობაა. აგებულია ქვანაგობით. იგი მსგავსებას აკლენს ხმელთაშუა ზღვის აღმ. და ჩრდ. შავი ზღვისპირეთის საკულტო ძეგლებთან.

ანტიკური პერიოდის ქართული არქიტექტურა ხასიათდება სისადავით და ორიგინალობით. მასების განაწილების და საერთო ორგანიზაციის საფუძველს წარმოადგენს სწორკუთხედი, რომელიც ხშირად უახლოვდება კვადრატს. შენობებს ახასიათებთ მარტივი პროპორციები. ადვილად შესამჩნევია, თუ ანტიკური პერიოდის არქიტექტორები და მშენებლები როგორ სრულყოფენ ხის და ქვის დამუშავების მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს და გამოცდილებას. ცრუთალოვანი გადახურვის სისტემის განვითარების შედეგად იქმნება დარბაზული გვირგვინის სახეები და შემდეგ ნახევარწრიული თალები, კამარები და გუმბათები. პირველყოფილ საზოგადოებაში გაჩენილი პრიმიტიული საყრდენები ამ პერიოდში გარდაიქმნება უკვე ბაზისების და კამიტელების შემცველ სვეტებად. საცხოვრებლის პრიმიტიული უჯრედიდან, თანდათანობით იქმნება განსაზღვრული კომპოზიციური სისტემისადმი დაქვემდებარებული სადა, მკაცრი სასახლები. ციკლოპური ციხეების უხეში კედლების ტრადიციებზე განვითარდა წყობის ახალი ტიპი - თლილი ქვების მშრალი წყობა შერწყმული ალიზთან, მოგვიანებით კი წყობა კირის დუღაბზე. ადგილობრივი ტრადიციების სიმტკიცეს ადასტურებენ ხის ხურობის ფორმები და ხერხები გადმოტანილი უფლისციხის დარბაზებში და მცხეთის აკლდამაზე.

IV საუკუნის 30-იან წლებში ქართლში ოფიციალურ სარწმუნოებად ქრისტიანობა გამოცხადდა. ამ ისტორიულმა მოვლენამ განსაზღვრა ამ დროის ქართლის პოლიტიკური ორიენტაცია, კულტურის და ხელოვნების განვითარების სრულიად ახლებური გეზი და მიმართულება. მოიშალა წარმართული პანთეონის, როგორც ოფიციალური, სახელმწიფო კულტები (არმაზი, ზადენი, გაცი, გა, აინი, დაინა), ისე ცალკეულ ტომთა საგვარეულო ხატ-საოცავები. ქრისტიანობის დამკვიდრების პროცესში დიდ საეკლესიო მშენებლობებს ეყრება საფუძველი. საქართველო იმთავითვე ამყარებს მჭიდრო კონტაქტებს უძველეს ქრისტიანულ ქვეყნებთან - ბიზანტიასთან, რომთან, ქრისტიანული აღმოსავლეთის მოწინავე ქვეყნებთან.

საეკლესიო სფეროში ჩატარებულ ამ რეფორმას ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირებენ. მანვე შექმნა საქართველოს ცენტრალიზებული სახელმწიფო აპარატი და ვახტანგის ანდერძით, მისმა ძემ დაჩიბ საქართველოს დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში გადამოიტანა. ცხადია ამ მოვლენას მსხვილი და ხანგრძლივი სამშენებლო პროცესები მოჰყვებოდა. ადრეულ შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება ორ ძირითად სახედ იყოფა - **საკულტოდ და საეროდ**. საქართველოს უძველესი საკულტო ხუროთმოძღვრებიდან მხოლოდ მცირეოდენი რამ შემოგვრჩა. ქართლის მოქცევის ქრონიკის ცნობით, მცხეთაში, სვეტიცხოვლად წოდებული პირველი ოფიციალური ქრისტიანული ეკლესია ხისგან აუშენებიათ. ხითხურობა საქართველოში ერთ-ერთი უძველესი დარგია. საყურადღებოა, რომ ტერმინი "ხუროთმოძღვრება", რაც არქიტექტურის ქართული შესატყვისია, ხითხურობასთან არის დაკავშირებული და ამ უძველესი დარგიდან მომდინარეა.

საქართველოს მჭიდრო კულტურულმა კონტაქტებმა ბიზანტიასთან და ქრისტიანული აღმოსავლეთის მოწინავე ქვეყნებთან განაპირობა აქ, ახალი ხუროთმოძღვრული თემების შემოსვლა და დამკვიდრება, რომელსაც უძველესი ქართული ტრადიციების ქმედითობა ედო საფუძველად.

საქართველოში, ადრეული შუა საუკუნეების არქიტექტურაში, უმრავლესად საკულტო ძეგლებია შემორჩენილი, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს საერო ხუროთმოძღვრების არარსებობას ან თუნდაც შეზღუდვას. საცხოვრებელი სახლების, დარბაზების, საფორტიფიკაციო ნაგებობების, ხიდების, ქსენონების, ქულბაქების, და სხვა კომუნალური ნაგებობების სიმცირე გამოწვეულია ერთის მხრივ, ომისა და შემოსევების დროს ასეთ ობიექტებზე თავდასხმით და ნგრევით, ხოლო მეორეს მხრივ, ცხოვრების მოთხოვნილებათა შესაფერისი ახალი ხუროთმოძღვრული ტიპების შენებით და ძველის ახლით შეცვლით.



ნოკალაქევი, სენაკის რაიონი
 ნოკალაქევის ტერიტორიაზე ცხოვრების კვალი ჩანს ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან. ცხოვრება ინტენსიური გახდა ძვ. წ. V-IV
 Nokalakevi, Senaki District
 First traces of human population in Nokalakevi area date back to the 1st millennium B.C.;
 Nokalakevi develops into a settlement in the 5th-4th centuries B.C.

of important cities like Mtskheta-Armaztsikhe, Vani, Shorapani, Gori, Kaspi, Sarkine, Uplistsikhe and others in Georgia already during the Hellenistic period. High level of development of urban culture in Georgia in the end of the 1st millennium B.C. – first centuries A.D. is corroborated by household articles and ornaments, uncovered during archaeological excavations in Bagineti, Armaztsikhevi, Vani, Kldeeti, Bori, Samtavro, etc. This circumstance undoubtedly confirms the advanced level of the society, which should have used relevant public constructions, e.g. palaces or temples, built in accordance with the canons of architectural art.

Important monuments of the classical period dating back to the last centuries B.C. and first centuries A.D. have been discovered in Mtskheta.

Judging by epitaph, inscribed on a 4th century B.C. aristocrat's tomb, discovered in Mtskheta, we can suggest that in ancient Mtskheta (at least in the first centuries of the 1st millennium A.D.) there was a special official, charged with development and maintenance of its architectural image and infrastructure. An indispensable attribute of larger populated areas was a central citadel (an acropolis). Its one or two sides rested on steep mountain slopes, and other sides faced the city. Similar positioning is proved to have existed in Armaztsikhe, Nokalakevi, Shorapani, Gori, Dmanisi, where together with public and private constructions researchers found complex fortification systems.

In about the same period there started construction of cave complexes. The most important of such monuments is Uplistsikhe. This city has been cut in rock; this is why its planning, fortifications and public and private constructions are in a much better condition than in other Georgian cities. In the 3rd-1st centuries B.C. Uplistsikhe was a typical Hellenic city. Its several public halls date back to the beginning of the 1st millennium A.D. Uplistsikhe, one of the oldest Caucasian settlements and urban centers, is first mentioned in the historical sources in the 7th century. The city was extremely well developed; this is corroborated by a range of constructions / interior spaces discovered there: wine-presses, halls, room-type caves, section of a road. During many centuries Uplistsikhe also performed military functions. On the territory of the former city was built St. George Church.

Uplistsikhe was fortified by rocky mountain slopes on one side and ditches cut in rock – on other sides. There was a secret underground passage leading from the city to the bank of Mtkvari. The city of Uplistsikhe ceased to exist in the 13th century, during the Mongol invasion. At present Uplistsikhe is an open-air museum.

In ancient Georgia there was a considerable variety of pagan shrines and temples. In the 3rd-1st centuries B.C. Vani was considered a templar city. In the classical period Vani was one of the most important Colchic cities, which reached the peak of its development in the 3rd-1st centuries B.C. Systematic excavations at this site started in 1947. Urban population in Vani developed in place of ancient settlements, traces of which are still amply found in this town and its immediate surroundings. The oldest archaeological materials found in and around Vani belong to the 8th-6th centuries B.C. Archaeologists found here a 3rd century B.C. fortification wall, city gate, a construction with abutments, a circular temple, an altar with seven steps and other religious and public constructions. This ancient city was destroyed in the middle of the 1st century B.C.

The oldest reference to Gonio, historical fortress located in Ajara, at the Black Sea coast, belongs to Pliny the Elder (1st century A.D.). In the 2nd century A.D. this was a well-fortified and developed city containing a hippodrome and other public constructions. Gonio Fortress is built of stone. Its walls comprise

ქართული სტოუნჰენჯი
Georgian Stonehenge

ეს პროცესი საკულტო არქიტექტურაში სხვაგვარად გამოიხატა. რამდენადაც ეკლესია ზეციური იერარქიის მინიერ ტაძრად შენდებოდა, იმდენად, მასში იმთავითვე იყო ჩადებული საკრალური იდეალები. ეს კონცეპცია განსაკუთრებულად მკაფიოდ გამოიხატა შიდა სივრცის ორგანიზაციაში, გუმბათის, ჭერის, საკურთხევის აფსიდის აზრობრივ დატვირთვაში. ინტერიერის მოსართავი ელემენტების იმგვარად გააზრებაში და მხატვრულ-არქიტექტურულად გადაწყვეტაში, რაც ამაღლებულ განცდას შეუქმნიდა მლოცველს.

საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრებაში ორი ძირითადი ტიპი გამოიყოფა - **დარბაზული და გუმბათიანი**. პირველ ტიპში ერთიანდებოდა დარბაზული ტიპის ეკლესიები, სამნავიანი, სამეკლესიანი ბაზილიკები, რომლებიც ორფერდა სახურავის ქვეშ არიან მოქცეულნი. მეორე ტიპში ექცევა ცენტრალურ-გუმბათოვანი თემის ყველაზე მკაფიოდ გამომსახველი ტეტრაკონქები, მათი გართულებული ტიპები, რომლებიც პირველად ნინოწმინდასა და მცხეთაში განხორციელდა, "თავისუფალი ჯვრის" ტიპის არქიტექტურული ნაგებობანი, ორქანობიანი სახურავის ქვეშ მოქცეული გუმბათიანი დარბაზები, "კუპელ ჰალე", ორგუმბათიანი ეკლესიის ერთადერთი მაგალითი, მრავალაფსიდიანი გუმბათიანი ეკლესიები.

ეკლესიათა ეს ტიპები და სახეები დროთა განმავლობაში კარგავენ თავის თავდაპირველ ფუნქციურ დანიშნულებას და ახალ არქიტექტურულ თემებს უთმობენ ადგილს, მაგრამ ყველაზე გამძლე მაინც ცალნავიანი დარბაზული ტიპის ეკლესიები აღმოჩნდნენ, რომლებმაც ბოლომდე იარსებეს.

წინარეკრისტიანული ხანის ტექნიკურ საშუალებათა გათვალისწინების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითად გამოდგებოდა ატენის სიონის უძველესი ბაზილიკის (V ს.) "საფუძვლის დადება", რაც ელინისტური გვიანანტიკური ხანის ქართულ ხუროთმოძღვრებაში ფართოდ გამოიყენებოდა რიყის ქვებით შექმნილი საძირკვლის სახით, უმეტეს ნილად კი ალიზით ნაგები არქიტექტურისათვის. ამ პერიოდის ქართული ხუროთმოძღვრების მაღალი სამშენებლო დონე გვიჩვენებს, რომ იგი წინა ეპოქის სამშენებლო ტექნიკის საფუძველზე აღმოცენდა, რაც ითვალისწინებდა უდუღაბო ქვის წყობაზე ზუსტად მორგებული ქვების უძველეს ტრადიციებს.

ქრისტიანულ სამყაროში და მათ შორის საქართველოში სამნავიანი ბაზილიკები დომინირებდნენ და მათ ენიჭებოდათ უპირატესობა ადრეული შუასაუკუნეების სანაყისი პერიოდის ხუროთმოძღვრებაში. ამ თემასთან თანაარსებობენ დარბაზული ეკლე-

construction strata. The first layer (3rd-4th centuries) is distinguished by careful finishing and good craftsmanship; fortification walls with towers, belonging to the second layer (6th-7th centuries), are inferior in quality, and the third layer (around the 16th century) was added in the period when the city was controlled by Ottomans.

Between the second half of the 2nd millennium and first centuries of the 1st millennium B.C. on Pitsunda Cape there were Colchic settlements, first mentioned in Strabo's "Geography". It appears that there existed a city in this area since the Hellenic epoch. Later on, Pitsunda became one of the most powerful centers of Christian culture. In the 1st quarter of the 4th century there used to be a bishop's residence here. Pitsunda retained its status of a large religious center all through the Middle Ages.

But let us follow the timeline. Under the influence of Achaemenids, Zoroastrian temples began to be built in Kartli (Samadlo, Tsikhiagora, Dedoplis Mindori). It is strange, but in spite of distribution of Hellenic culture, there is no trace of Hellenic or Greek-style temples in Christian Georgia. We only find evidence of various ancient architectural forms being copied and purposefully applied, which means that the direction in which the Georgian architecture developed was totally different from other regions. If in Colchis we can clearly see application of Hellenic decorative motives and elements, in Iberia the most notable is utilization of tile and gable roofing. Importantly enough, raftered roofing is combined with dome, or with its rudiment: feigned dome with oculus, which originated in Georgia in the ancient times and underwent a long process of development (crowned hall / darbazhi).

It is noteworthy that Georgian pagan temples were almost always aligned to the south-north axis. Probably this is why in the majority of Georgian Christian temples the southern gate is distinguished in comparison to others – this tradition should have survived from the times of pagan worship. Important from this point of view is Tsikhiagora – architectural complex discovered to the north from Kavtiskhevi village, Dedoplis Mindori – magnificent religious complex located in the basin of Frone River, in Kareli district, Makvliani – a pagan temple with complex planning, located in the central part of Uplistsikhe, temple with four support columns in Uplistsikhe, large temple in Vani and others.

Though the overwhelming majority of **secular constructions** belonging to the period concerned are fully destroyed, archaeological excavations have nonetheless succeeded in discovering ruins and remnants of many houses, palaces, workshops, administrative constructions, baths, aqueducts, swimming pools, etc. It should be noted that the construction means applied to secular buildings were almost the same as those of defensive constructions. Especially notable is the abundance of baths, which indicates high degree of comfort and hygienic requirements of that epoch. Ancient Georgian baths are Roman-type, equipped with so-called hypocaust heating systems.

Armaziskhevi Complex (located near Mtskheta railway station) was a residence of Kartli satraps (pitiakhshs). Rectangular planning of the buildings dis-



სიებიც. მაგრამ წამყვანი ადგილი გარედან შემოტანილ და ქრიტიანული სამყაროს მონინავე ქვეყნებში შექმნილ ბაზილიკას ენიჭება. ამ ტიპის ძეგლთა შორის უძველესია IV საუკუნით განსაზღვრული ნეკრესის ბაზილიკა.

საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენამდე მოღწეულ ქრისტიანულ საკულტო ნაგებობებს შორის ერთ-ერთი უძველესი სამნავიანი ბაზილიკაა ბოლნისის სიონი (VI ს.). ნოქალაქევის სამნავიანი ბაზილიკათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ეგრისის უძველესი დედაქალაქის არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი, პირობითად, პირველ ბაზილიკად სახელდებული ეკლესია, რომელიც IV საუკუნის მეორე ნახევრის დარბაზული ტიპის ეკლესიის ნანგრევებზე აუგიათ. ურბნისის წმ.სტეფანეს სახელობის დიდი ზომის ბაზილიკა ისტორიულ შიდა ქართლში, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ნაქალაქარის - ურბნისის ტერიტორიაზე მდებარეობს (იგი მურვან-ყრუს შემოსევამდე - VIII საუკუნემდე - ქალაქობდა, ხოლო შემდეგ დაეცა და აღარ აღმდგარა).

კანარეთის (ხაშვის) სამება V-VI საუკუნეთა მიჯნის სამნავიანი ბაზილიკაა. იგი გარშემორტყმულია გალავნით, რომელშიც ჩართულია ეპისკოპოსის საცხოვრებელი გვიანი ხანის კოშკი და სხვა სამეურნეო ნაგებობები.

V საუკუნით დათარიღებული უძველესი - ძველი შუამთის ბაზილიკა იმით არის საყურადღებო, რომ მასში მკაფიოდ გამოიხატა ამ არქიტექტურული თემის განვითარების შემდგომი საფეხურები.

ბიჭვინთის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრების შედეგად, სხვა არაერთ ნაგებობათა შორის, გამოვლინდა ძველი ტაძრის - ბიჭვინთის სამნავიანი ბაზილიკის (VI ს.) ნაშთები.

ანჩისხატის, VI საუკუნის დამდეგის მარიამმინდის სახელობის ბაზილიკა თბილისის ძველ უბანში, კალაში მდებარეობს. სამნავიანი ბაზილიკა ვახტანგ გორგასლის ვაჟიშვილის დაჩი უჯარმელის ზეობის პერიოდშია აგებული.

ადრეული შუასაუკუნეების ქართულ საკულტო ხუროთმოძღვრებაში სამნავიანი ბაზილიკის გვერდით, შეიქმნა სრულიად ორ-

covered to date, the quality of their construction, foundations of the columns, fragments of marble statues suggest that the complex represented an aristocratic residence. To the north from the palace were found ruins of a bath, which could be appropriated to the end of classical period. Near the residence of pitakhshs archaeologists found a necropolis with the tombs of eristavis and their family members. Rich and exquisite decoration of burials and epitaphs found there attest the high level of life of Iberian aristocracy and identify general level of cultural development.

In the north-western part of Samtavro Valley archaeologists discovered a site dating back to the first centuries B.C. Houses found in this are have the similar orientation, uniform planning and roofing; their design is typical for early Iron Age peasant houses. They are densely positioned on the hillside; there is no homestead land attached to them. Similar houses, dating back to the first half of the 1st millennium B.C. have been discovered in Narekvavi.

It is interesting to study notes of Greek and Roman historians on wooden tower houses widespread in Caucasus. Greek historian Xenophont (401 B.C.) describes tower villages of Kartvelian tribes. Also important are his comments on adaptation to the specificity of terrain during construction of fortified villages with numerous towers, some of which had a defensive and others – residential function. Besides tower houses, Xenophont describes an underground hall with skylights he had seen in the same region. Ceiling of this hall was pyramid-shaped, which means that Georgian darbazi-type roofing already existed in the 5th-4th centuries B.C. Roman architect Vitruvius describes Colchic houses, adding that Colchic towers with their pyramidal roofing belong to the oldest kind of dwellings.

As a rule, where there is a city site there are grave fields. From the time when Mtskheta was a capital city there survived burials of six different types: pit graves, sepulchers, sarcophagi, graves built with brick and clay slabs. The majority of graves discovered there are built of stone; this is natural, because such graves became increasingly popular in the 1st century A.D.

Mtskheta tomb is an outstanding architectural and archaeological monument of late antique epoch. It is located in the vicinity of Mtskheta Railway Station. The tomb is a one-cell rectangular construction, built with splintered stone and showing likenes to the cultic monuments of the eastern Mediterranean and northern Black Sea coast regions.

Ancient Georgian architecture is markedly simple and original. Key shape determining distribution of masses and general organization is a rectangle, often

უფლისციხე (ძვ.წ. III-I ს.)
Uplistsikhe (3rd-1st century B.C.)





მცხეთის პანორამა
View of Mtskheta

იგინალური საკულტო ნაგებობის ახალი ტიპი, რაც **სამეკლესიანი ბაზილიკის** სახელით არის ცნობილი. ასეთი სახის არქიტექტურული ტიპის წარმოშობის მიზეზად მიჩნეულია სასულიერო კულტურის - ლიტურგიის ის აუცილებლობა, რაც დღის განმავლობაში ერთსა და იმავე ეკლესიაში წირვის რამდენჯერმე გადახდას ითვალისწინებდა. ამისთვის კი ცხადი, ცალკე საკურთხეველი იყო საჭირო. კულტურისა და ხელოვნების ასეთმა წესმა განაპირობა სამეკლესიანი ბაზილიკის გაჩენა ქართულ ხუროთმოძღვრებაში. თემის არქიტექტურულად გადანაცვების სიახლე ძირითადად შიგა სივრცის ორგანიზებაში გამოიხატა, სადაც სამი ნაწილი ერთმანეთისგან კედლებით გაიმიჯნა და არა სვეტებზე დამყარებული თაღები. სამეკლესიანი ბაზილიკებში, ნაგებობის და ეკლესიების მკავეშირებლად გამოდის გრძივ კედლებში გაჭრილი კარის ღიობები. მსოფლიოს ხალხთა ქრისტიანულ არქიტექტურაში სამეკლესიანი ბაზილიკებს პარალელი ვერ დაეძებნება და როგორც ირკვევა, ეს არქიტექტურული ტიპი საქართველოშია შექმნილი. ჩვენამდე მოღწეულ, ამ ტიპის ბაზილიკებს მიეკუთვნება: ქვემო ბოლნისის VI საუკუნის სამეკლესიანი ბაზილიკა; VII საუკუნის დამდეგისთვის აგებული ნეკრესის სამეკლესიანი ბაზილიკა; VI საუკუნის გაგრის სამეკლესიანი ბაზილიკა და სხვა.

ქართული ხუროთმოძღვრების ადრეულ ეტაპზე, VI საუკუნის შუა წლებიდან გუმბათოვან ხუროთმოძღვრებაში ყველაზე მკაფიოდ გამოიხატა ეროვნული ნიშნით აღბეჭდილი ახალი თემების და ტიპების წარმოშობა-დამკვიდრების პროცესი. ასეთი ახალი, ეროვნულად გამომეტყველი ხუროთმოძღვრული ტიპების საფუძველს ძირითადად ტეტრაკონქი შეადგენდა, რაც ფართოდ იყო გავრცელებული ქრისტიანულ აღმოსავლეთ სამყაროში. მასთან ერთად ვხვდებით ე. წ. "თავისუფალი ჯვრის" და "ჩახაზული ჯვრის" ტიპებს. მაგრამ ქართველ ხუროთმოძღვართა მიერ სრულიად თავისუფალი, შემოქმედებითი მიდგომა, რომელშიც მხოლოდ ეროვნული ხუროთმოძღვრებისთვის სახასიათო ფორმები და მხატვრულ-კონსტრუქციული გადანაცვების სრულიად ახლებური ამოცანები განხორციელდა, ნინოწმინდა და მცხეთის ჯვარი იყო. ამ ახალი ხუროთმოძღვრული ტიპების საფუძველს შეადგენდა ტეტრაკონქი, რაც საქართველოში უკვე VI საუკუნის შუა წლებიდან დასტურდება. ამ თემის საფუძველზე აღმოცენებულმა ახალმა ტიპმა

rather nearing to a square. Buildings have simple proportions. It is easy to distinguish how ancient architects and builders developed wood and stone processing techniques. Feigned dome transforms into darbazi-type crowned roofing and, later on, semicircular vaults, domes and arches. In this period, primitive support posts first used by primeval builders develop into columns with foundations and capitels. Dwellings grow from primitive huts into architectural constructions with simple but clear and refined compositional systems. Rough walls of cyclopean fortresses evolve into dry walling with carefully hewn and fitted stones, combined with adobe brick and, later on, limestone mortar binding. The strength of local traditions is confirmed by application of carpentry techniques in Uplistsikhe and Mtskheta tomb.

In the beginning of the 4th century Christianity was recognized as the official religion in Georgia. This historical event defined political orientation of contemporary Kartli and totally changed the direction of its cultural development. Both official pagan pantheon (Armazi, Zadeni, Gatsi and Gaim, Ainina, Danina) and tribal / clannish shrines lost their importance; introduction of Christianity instigated large-scale ecclesiastic construction. Georgia established close contacts with the Byzantine Empire, Rome and eastern Christian countries, which naturally caused introduction and assimilation of new themes into Georgian architecture.

The most substantial contribution to this ecclesiastical reform has been made by Vakhtang Gorgasali, the king who also managed to form a centralized government and made a will to his son Dachi to transfer the capital of Georgia from Mtskheta to Tbilisi. Naturally, these crucial changes were followed by lengthy construction activities.

Early medieval Georgian architecture can be divided into two main categories – **religious and secular**. There is but little remaining from the oldest samples of Georgian religious architecture. According to the chronicles narrating about conversion of Kartli into Christianity, the first official Christian church built in Mtskheta – Svetitskhoveli – was wooden. Carpentry is one of the oldest construction techniques known in Georgia. It is noteworthy that the Georgian term for architecture – "khurotmodzgvreba" – is associated with carpentry and takes source from this ancient trade.

Most of surviving samples of early medieval Georgian architecture are religious constructions, but this does not mean that secular architecture did not exist or was underdeveloped or limited in that period. The lack of houses, palaces, fortifications, bridges, xenons, and other public constructions can be rather explained by frequent invasions, during which they were usually destroyed, and redecorations caused by changes in life requirements, introduction of new architectural types and replacing of old with new.

This process developed in a different way in religious architecture. Since churches were built as earthly connection to the heavenly world, they had to



არმაზის ციხე
Armazi Fortress

არმაზი მცხეთისა, სამრეკლო, XVI-XVII სს.
Armazi of Mtskheta; belfry; 16th-17th CC

საფუძველი დაუდო კლასიკურად განონასწორებული ახალი ხუროთმოძღვრული ტიპის ჩასახვა -განვითარებას ადრეული შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში.

ნინოწმინდის საეპისკოპო ტაძარი (ყოფილი საკათედრო საეპისკოპო ეკლესია სამთავისში) VI საუკუნის შუა წლებშია აგებული. ასეთი არქიტექტურული ტიპი საქართველოში აღარ განმეორებულა. ტაძარმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ხუროთმოძღვრების განვითარებაში. მან საფუძველი დაუდო მცხეთის დიდი ჯვრის ტაძრის წარმოშობას და ამ ტიპის ძეგლთა განვითარებას.

VI- VII სს. ში საკულტო ხუროთმოძღვრებამ მნიშვნელოვან აღმავლობას მიაღწია. მცხეთის ჯვრის ტაძრის სახით შეიქმნა კლასიკურად განონასწორებული, სრულიად განსაკუთრებული ხუროთმოძღვრული ტიპი, რომელიც ადრეული შუა საუკუნეების ქართული საკულტო გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების ძიებათა რთული პროცესის კულმინაციას წარმოადგენს. ტაძარმა საფუძველი დაუდო კლასიკური სტილის დამკვიდრებას ქართული ხუროთმოძღვრების ერთ გარკვეულ ეტაპზე - VI-VII საუკუნეთა მიჯნაზე და ამ არქიტექტურული ტიპის გავრცელებას საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. მცხეთის ჯვარი, ლანდშაფტთან ერთიანობაში, მასთან შეზრდილი ტაძრის ერთ საერთო სილუეტად აღიქმება. იგი 586/87- 604 წლებით თარიღდება.



ამ პერიოდის ძეგლებს მიეკუთვნება: V საუკუნის მეორე ნახევრის ტაძარი - ატენის სიონი (ისტორიულ შიდა ქართლში); მარტვილის ტაძარი; წრომის ტაძარი; იშხნის კათედრალური ტაძარი - მდებარეობს საქართველოს უძველეს ისტორიულ პროვინციაში - ტაოში (VII ს. 30-იან წწ.); ბანა - ტაოს ისტორიულ პროვინციაში; სამწევრისის ეკლესია შიდა ქართლში და ა.შ..

ქრისტიანობის ადრეულ საფეხურზე ახალი - დარბაზული ტიპის ეკლესიები შეიქმნა. ცალნავიანი ეკლესიების მარტივი ფორმები მათი სწრაფი აშენების საშუალებას იძლეოდა. ამ ტიპმა ყველაზე დიდხანს გასძლო და XVIII საუკუნემდე იარსება. დარბაზული ტიპის ეკლესიები: ნოქალაქევის მისარონის მცირე ზომის დარბაზული ეკლესია, რომელიც თავისი არქაული არქიტექტურული სტრუქტურით, V საუკუნის მიწურულის ან VI საუკუნის დამდეგის ძეგლად არის მიჩნეული; ოლთისის დარბაზული ტიპის ეკლესია (VI- VIII ს.); აკვანების ეკლესია, რომელიც VI საუკუნით თარიღდება.

VI-VII საუკუნეთა მიჯნაზე და შემდგომ ეტაპზე ქართულ ხუროთმოძღვრებაში წარმოიშვა ახალი მიმართულება, რომლის წარმოშობის ისტორიულ საფუძველს ძირითადად კლასიკური ხუროთმოძღვრების ახლებური გააზრება შეადგენდა. ახალ სტილისტურ მიმართულებაში ხაზგასმულად გამოჩნდა საკმაოდ გაბედული და ორიგინალური ფორმების შექმნისადმი მიზანსწრაფული ტენდენციები - გაჩნდა ნაირ-ნაირი არქიტექტურული თემები. ახალი მიმართულების წიაღში ჩაისახა არქიტექტურული ფორმებისადმი ერთგვარი დეკორატიული მიდგომა, რაც ცხოველსაბუნების გარკვეულ ტენდენციებში ვლინდება. "გარდამავალი ხანის არქიტექტურის" ბევრმა თემამ დროის გამოცდას ვერ გაუძლო და დავინწყებას მიეცა. ამ ახალი ორიგინალური არქიტექტურული თემების ძიებათა პროცესში ცალკეულმა ნაწარმოებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა. ასეთ ნაშევან ნაწარმოებთა რიგში იკავებენ ადგილს ატენის და სამშვილდის სიონები. პირველი, "გარდამავალი ხანის" სანყის პერიოდს განეკუთვნება. სამშვილდის სიონი კი ამ მხრივ სრულიად ჩამოყალიბებული ნაწარმოებია (759-777 წწ.), რომელშიც მთელი სიცხადით გამოიხატა ე.წ. "გარდამავალი ხანის" ხუროთმოძღვრების ყველა ძირითადი სტილისტური ნიშანი.

გურჯაანის "ყველანმინდა" "გარდამავალი ხანის" საკულტო ხუროთმოძღვრების VIII საუკუნის სანიმუშო ძეგლია. იგი ერთადერთი ორგუმბათიანი ეკლესიაა, რომელსაც გუმბათოვან ბაზილიკად მიიჩნევენ.

ვაჩნაძიანის "ყველანმინდა" "კუპელ ჰალეს", ანუ გუმბათიანი





დარბაზის არქიტექტურულ ტიპს მიეკუთვნება, რომლის გადანაცვებით ქართული ხელოვნების ისტორიაში ახალ არქიტექტურულ ტიპს დაედო საფუძველი (VIII-IX სს). ოთხთა ეკლესია დღეს ისტორიულ ტაოს ტერიტორიაზეა, თურქეთში. X საუკუნეში აგებულ სამნავიან ბაზილიკათა შორის ეს ძეგლი მეტად საყურადღებოა, მისი მხატვრულ-არქიტექტურული თვალსაზრისით.

პარხლის ბაზილიკა სამხრეთ საქართველოს ისტორიულ პროვინციაში ტაოში მდებარეობს. პარხალი დიდ მსგავსებას ავლენს ოთხთა ეკლესიასთან, როგორც შიგა სივრცის ორგანიზაციით, ისე გარე მასების არქიტექტონიკით.

ქართული კულტურის მთელი ფრონტის აღმავლობა X საუკუნის შუა ხანებიდან აშკარაა და მალე აღწევს თავის ზენიტს. მეორე აღორძინების ხანაში, წარმოიქმნა ახალი სტილი, რომელიც ცხოველბატული, ანუ ბაროკოს სახელითაა დამკვიდრებული. მისი აღმავლობის პერიოდი X საუკუნის მეორე ნახევარი და XI საუკუნე, მაგრამ მან სიცოცხლე გააგრძელა მომდევნო საუკუნეებში და საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა. ეს მეორე აღმავლობის პერიოდი, ზემოთჩამოთვლილის გარდა, ეხება ქალაქებსაც. ესაა ახალი ქალაქების წარმოშობის ეპოქა, როდესაც აგრეთვე არსებობს განაგრძობს ადრე წარმოშობილი ქალაქების დიდი უმრავლესობა. X საუკუნიდან დაწყებული, ფეოდალური ხანის საკულტო ხუროთმოძღვრებაში თვისობრივი გარდატეხა ხდება.

X-XI საუკუნეების პერიოდის ხუროთმოძღვრების ამ სახეთა მრავალფეროვნებაში ქართველის უშრეტეი ფანტაზია ჩანს. აქაა ერთის მხრივ, გრძივი, ჯვრული გეგმის მქონე კომპოზიციები, ხოლო მეორეს მხრივ, წრეს მიახლოებული, მრავალაფსიდიანი. პირველი სახეობა იწყება ოშკით, ხოლო მეორე კუმურდოთი. ორივე აგებულია X საუკუნის 60-იან წლებში, რაც შემთხვევითობა არ არის. მთელი მომდევნო 50-60 წლის განმავლობაში ხდება ამ ფორმათა ვარიანტი. პირველმა - გრძივ ღერძზე აგებულმა კომპოზიციამ დიდხანს იარსება, ხოლო მეორემ - მრავალაფსიდიანმა კომპოზიციამ - სულ რაღაც 6-7 ათეული წელიწადი.

შუა ფეოდალური ხანის პირველ მონაკვეთში არსებულ საკულტო ნაგებობათა სახეობიდან მნიშვნელოვანია ოთხი დიდი კათედრალი, რომლებიც ამშვენებენ არა მარტო ამ ეპოქას, არამედ შუა საუკუნეების საქართველოს მთლიანად. ესენია: ოშკი, ქუთაისის ბაგრატის ტაძარი (X ს. ბოლო - 1003 წ.), სვეტიცხოველი (1010-1029 წწ.) და ალავერდი (XI ს. I მეოთხედი). მათში ჩანს არა მარტო ეპოქის სიდიადე, არამედ საქართველოს საკმაოდ დაშო-

personify sacral ideals. This conception was especially clearly expressed in organizing the interior of Christian temples, the significance attributed to the dome, the ceiling, the apse of the altar, architectural/design solution, helping create an elevated atmosphere in the holy place.

Georgian religious architecture of early Middle Ages one can distinguish two key types of constructions: **darbazi-type and domed**. The former unites darbazi-type churches, three-nave and three-church basilicas with double-pitched roofing, while the latter comprises cross-shaped constructions with centrally positioned dome and their elaborated versions, which were first built in Ninotsminda and Mtskheta, free cross type architectural constructions, double-domed churches (there is only one surviving sample) and domed churches with multiple apses.

In the course of time these architectural types and categories underwent crucial changes, lost their primary functional differences and gave way to new architectural themes. However, there were certain architectural types which remained almost unchanged in spite of this tendency and survived until the present day – one of these was single-nave darbazi-type church.

One of the most notable examples of how pre-Christian technical means were used in church construction is the 5th century basilica of Ateni Sioni, which sits on a cobblestone foundation, typical for adobe constructions built in Kartli in the end of classical era. Highly artistic level of medieval Georgian architecture shows us that it evolved from the previous experience, which implied the ancient tradition of precise matching of stones in dry walling.

In the whole Christian world – including Georgia – three-nave basilicas were most popular and prevalent in the early medieval religious architecture. Though they coexisted with darbazi-type churches, the leading role was attributed to basilicas, taken over from advanced Orthodox Christian countries. The best sample of this type is the 4th century Nekresi Basilica.

One of the oldest surviving Christian constructions in Georgia is Bolnisi Sioni, the 6th century three-nave basilica. The temple has massive, sturdy architectural forms, archaic relief sculptures and oldest Georgian asomtavruli inscriptions known to date. Another such construction – basilica built on the ruins of a 4th century darbazi-type church, has been discovered in Nokalakevi site. Large St. Stephan Basilica is located in Urbnisi, Shida Kartli, on the territory of the ancient city, destroyed in the 8th century during the invasion of Marwan the Deaf.

Katsareti (Khashmi) Trinity is a three-nave basilica dating back to the 5th-6th centuries. It is protected by a fortification wall, also encompassing the bishop's residence, a tower and several other facilities.

The oldest of 5th century churches – Old Shuamta Basilica is remarkable because it shows further development of this architectural theme.

Excavations conducted in Pitsunda helped discover numerous constructions, including ruins of a 6th century three-nave basilica.

In Kala, one of the oldest districts of Tbilisi, is located 6th century St. Mary Basilica (Anchiskhati). This three-nave basilica was built during the reign of Dachi Ujarmeli, Vakhtang Gorgasali's son.

In Georgian religious architecture of early Middle Ages, apart from three-nave basilicas, there emerged a totally new type of religious construction,



მცხეთის აკლდამა გვიანდელი ანტიკური ხანა
Mtskheta Tomb (late antiquity)




რიშორებული რეგიონების იდეური ერთიანობა, რაც მეტად საინტერესოა ახლად გაერთიანებული ქვეყნის მთლიანობის წარმოსადგენად. პირველი მათგანი - ოშკი, დგას სამხრეთ საქართველოს განაპირას (963-973 წწ.), ტაოში, მეორე - მაშინდელ ცენტრში, ქუთაისში, მესამე - კულტის მსახურობის ცენტრში, კათალიკოსის რეზიდენციაში - მცხეთაში, ხოლო მეოთხე - აღმოსავლეთის განაპირას, კახეთში, ალაზნის ველზე. მიუხედავად ეკლესიების ასეთი დაშორიშორებისა, მათში აშკარად ჩანს ერთი სტილის მრავალფეროვნება.

სვეტიცხოველი კარდინალური გადაკეთების გამო, შუასაუკუნეების ეკლესიათა არც ერთ ტიპს არ მიეკუთვნება. ტაძრის ფასადის მორთულობა ცხოველხატულობის უმაღლესი დონის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

საინტერესოა ხახულის მონასტერი, რომელიც ისტორიულ ტაოში მდებარეობს. მისი მთავარი ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი დავით კურაპალატის მეფობის პერიოდში აშენდა - 978-1001 წლებში. ტაძარი ორიგინალური გეგმისა და არც ერთ ტიპს არ მიეკუთვნება.

სუროთმოდგრებაში მეორე აღმავლობის პერიოდში არაჩვეულებრივი შემოქმედებითი პოტენციაა გამოჩვენებული. ასეთი შემოქმედებითი ნვა, მართალია X საუკუნის დასაწყისიდან ჩანს, მაგრამ მისი კულმინაცია მოდის ამავე საუკუნის შუა ხანებზე და XI საუკუნის პირველ ნახევარზე. ნაგებობები ჯერ სხვადასხვაგვარად ვითარდებოდა, ხოლო ბოლოს არენაზე დარჩა სამი სახე. ესენია: ტრიკონქები, მრავალაფსიდური და ცენტრალურ-გუმბათოვანი ეკლესიები. მათში მრავალფეროვნებით გამოირჩევა მრავალაფსიდური. რაღაც არასრული ასი წლის განმავლობაში, ამ მიმართულებამ კულმინაციამდე აიყვანა ნაგებობების განვითარების ვარიაციები. ჩვენამდე მოღწეული ტაძარ-ნაგებობების გეგმების, კომპოზიციების, დეკორის აღქმისას აშკარად იკვეთება ქართველის მიერ ახლის შექმნის დაუსრულებელი სურვილი. ყველაფერთან ერთად, განსაცვიფრებელია, თუ რა ხერხით, რა გზებით ვრცელდებოდა მთელ საქართველოში ამა თუ იმ სახის ჩასახვის იდეა. კერძოდ, მრავალაფსიდური პირველი ნიმუში თუ 964 წელსაა აგებული, ბოლო აშენებულია 1010-1014 წლებში. ამ წლების ფარგლებში ჩვენამდე მოღწეული ეკლესიები გეოგრაფიულად ასე ლაგდება: კუმურდო - ჯავახეთში; გოგიუბა, ოლთისი, კიალმის-ალთი, ტაოსკარი - ტაო-კლარჯეთში; ბოჭორმა - კახეთში; კაცხი - იმერეთში; ნოჯიხევი - სამეგრელოში და ვინ იცის კიდევ რამდენმა ვერ მოაღწია ჩვენამდე. თუ წარმოვიდგინოთ მაშინდელ გადაადგილების ტემპებს, შეუძლებელია, რომ არ გაგვანცვიფროს არქიტექტურული იდეების გავრცელების ტემპებმა და მასშტაბებმა. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ მრავალაფსიდური ეკლესიები ყველა დეტალით მხოლოდ ცხოველხატული სტილის პირმშოა. თავისთავად მრავალაფსიდური ტიპის ეკლესია ქართუ-



არმაზის ციტადელის ნანგრევები
Ruins of Armazi Citadel

known as **three-church basilica**. The reason for forming of such architectural type is probably the necessity to administer the mass several times a day in one and the same church. Naturally, the most efficient solution to this issue would be to use several altars. This peculiarity of religious service motivated introduction of three-church basilicas into Georgian architecture. The innovative architectural solution mainly concerned the organization of interior space, in which the three naves got separated by walls instead of pillars and arches, as in the three-nave basilicas. In three-church basilicas naves and churches are interconnected by door openings, cut in the side walls. There are no parallels to three-church basilicas in Christian architecture of other countries; this architectural type appears to be uniquely Georgian. Surviving basilicas of this type are: 6th century three-church basilica of Kvemo Bolnisi, Nekresi three-church basilica, dating back to early 7th century and 6th century three-church basilica of Gagra.

Forming and dissemination of new "national" architectural types and themes was especially noticeable in Georgian architecture at earlier stages of its development, starting with the middle of the 6th century. Such new ethnic architectural types were mainly based on the four-apse church concept, so widespread in the Eastern Christian world. Parallel to this we encounter so-called free-form cross and cross-in-the-circle types. Two constructions designed with totally independent creative approach, in which only characteristic national forms and architectural solutions were applied, were Ninotsminda and Mtskheta Djvari. These architectural monuments were based on the four-apse concept, introduced in Georgia in the middle of the 6th century. Architectural type evolved on the basis of this theme initiated development of a new style in Georgian architecture.

Episcopal Church of Ninotsminda (former Episcopal cathedral in Samtavisi) was built in the middle of the 6th century. This unique church played an important role in development of Georgian architecture; it inspired creation of Mtskheta Djvari Cathedral and other monuments of this kind.

In the 6th-7th centuries religious architecture reached a considerably high level of development. Djvari Monastery, located in Mtskheta, represents a classically balanced architectural type, independent from outside influences and standing as a culmination of the complex process of creation of domed churches in early Middle Ages. This temple gave a start to introduction of classical style into Georgian architecture at the turn of the 7th century and to dissemination of this architectural style in different regions of Georgia. Mtskheta Djvari Monastery and its immediate natural setting are perceived as one integral silhouette. The temple is dated 586/87 – 604 A.D.

Other monuments of this period are: Ateni Sioni, dating back to the second half of the 5th century, Martvili church, Tsroma church, Ishkhani Cathedral (located in Tao – the oldest historical province of Georgia and built in the 630'ies), Bana (also located in Tao), Samtsverisi church in Shida Kartli, etc.

On the early stages of Christian era new, darbazi-type temples were created. Simplicity of planning made single-nave churches easy and quick to build. This architectural type survived for the longest amount of time – until the 18th century. Darbazi-type churches are: small Misaroni church in Nokalakevi (judging by its archaic architectural structure, this construction should have been built in the end of the 5th-beginning of the 6th century A.D.), Oltisi church (6th-7th CC), Akvanebi church (6th century).

At the turn of the 7th century, when the already clearly shaped classical style rose to the next stage of its development, there appeared in Georgian



აბანოს ნანგრევები გონიოს ციხეში
Ruins of a bath in Gonio Fortress

ლი არქიტექტურის განვითარების გარდამავალი ხანის ბოლოსაა წარმოშობილი და მალე, XI საუკუნის დასაწყისში დაამთავრა სიცოცხლე. ამ პერიოდში აგებული ეკლესიებიდან არც ერთი არ იმეორებს მეორეს, თითოეული მათგანი დამოუკიდებელი ერთეულია, მაგრამ მათი დაჯგუფება საერთო ნიშნებით მაინც შესაძლებელი ხდება. პირობითად ისინი იყოფა შემდეგ ჯგუფებად: პირველ ჯგუფში ექცევა ხუთაფსიდიანები (კუმურდო, ნიკორწმინდა); მეორეში - ექვსაფსიდიანები (გოგიუბა, ოლთისი, ბოჭორმა, კაცხი); მესამეში - რვააფსიდიანები (ნოჯიხევი, ტაოსკარი).

საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი, რომელიც კავკასიონის ქედზე გადის, რამდენიმე ასეულ კილომეტრზეა გადაჭიმული. ქედის მეორე მხარეს სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობდა და ცხოვრობს. მათთან საქართველოს სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვანაირი ურთიერთობა ჰქონდა. მატერიალური კულტურის ძეგლების ნაშთები საკმაოდ ბლომადაა შიდა ქართლის მოსაზღვრე ჩრდილო ოსეთის იმ ტერიტორიაზე, რომელიც დვალეთის სახელითა იყო ცნობილი **ხოზიტა-მარიაშის დარბაზული ეკლესია**, კედლის მხატვრობის ფრაგმენტით არდონის ხეობაში.

ინგუშეთის ტერიტორიაზე ასას ხეობა ამ მხარეში ქრისტიანობის გავრცელების აკვანია. ქრისტიანობის კვალი ჩანს არა მარტო ეკლესიებში, არამედ სხვადასხვა სახის ნაგებობებში და მათ შორის ზოგიერთ კოშკშიც. ეკლესიებიდან აღსანიშნავია **ტყობა-ერდი და ალბი-ერდი**. ამათგან აღსანიშნავია ტყობა-ერდი, სადაც აშკარად ჩანს VII-IX საუკუნეთა ფენა და XV-XVII საუკუნეთა რესტავრაცია.

საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთის მეზობელ **დაღესტანშიც** ქრისტიანობის კვალი ჩანს VII საუკუნიდან ვიდრე XV საუკუნემდე. ეკლესიებიდან გამოირჩევა ყოისუს ხეობაში მდებარე **დათუნას ეკლესია**. იგი X-XI საუკუნეთა მიჯნის დარბაზული ნაგებობაა.

ქართული არქიტექტურის მეორე აღმავლობის პერიოდში მრავალი ახალი სახე და ტიპი იქმნება. ამ ტიპებიდან ბოლოა **ცენტრალურ-გუმბათოვან ეკლესიათა** ტიპი, რომლებიც სამთავისისა

architecture a new direction apparently based on innovative interpretation of classical architectural tradition. This new stylistic trend was marked with a tendency of creating original and daring architectural forms, increasing diversity of architectural themes. Within this new trend the approach toward architectural forms became more decorative, more natural and pictorial. Many architectural themes, which appeared during this **“transition period”** did not pass the time test and quickly left the scene. On the other hand, some monuments, created during this search for new original architectural themes, occupied an important place in the history of Georgian art. Among these outstanding monuments we can mention Ateni and Samshilde Sioni churches. The former belongs to the beginning of the abovementioned transition period, and the latter (759-777) is a more coherent construction, clearly outlining all the stylistic signs of “transitional” architecture.

Gurjaani Kvelatsminda (All Hallows) temple, built in Kakhtubani Canyon (Gurjaani district), is one of the notable samples of “transitional” religious architecture, dating back to the 8th century. In religious architecture of medieval Georgia Gurjaani Kvelatsminda is the only sample of two-domed church, which is considered to be a domed basilica.

Vachnadziani Kvelatsminda (All Hallows) Church, also located in Kakheti, can be classified as a domed darbazi, which gave origin to a new type in Georgian architecture. This construction dates back to the 8th-9th centuries. 10th century Otkhta Church, located in the historical Tao region (present-day Turkey), is one of the most important samples of three-nave basilica.

Parkhali basilica, also located in historical Tao, shows considerable likeness to Otkhta Church, both in terms of its interior planning and exterior architectonics.

Georgian culture started to develop very intensively from **the middle of the 10th century** onwards and soon reached its zenith. This period marks birth of a totally new style – Georgian baroque, which flourished in the 10th-11th centuries, but lasted through the next centuries as well. Apart from boosting religious architecture, this cultural rise enhanced urban development. This is the time when new cities emerge parallel to those already existing and flourishing. 10th century is the point of crucial transformation in Georgian religious architecture.

Religious constructions built in the 10th-11th centuries reveal inexhaustible fantasy of Georgian architects. There appear, on the one hand, elongated cruciform compositions, and, on the other hand, rounded constructions with multiple apses. The earliest sample of the former is Oshki, and that of the latter – Kumurdo. Both these churches were built in the 960's, and next 50-60 years were dedicated to diversification of these two forms. Elongated cruciform com-



და სამთავროს ხუროთმოძღვრებმა დაამკვიდრეს. სამთავისი, ისტორიული წარწერით - 1030 წლით თარიღდება, ხოლო სამთავროს ზუსტი თარიღი არა აქვს, მაგრამ სტილიტიკური მონაცემებით, იმავე პერიოდშია აგებული. ასე, რომ ახალი ტიპის შექმნელად ორივე ავტორი უნდა მივიჩნიოთ.

მომდევნო რვა საუკუნის განმავლობაში გუმბათოვანი ეკლესიის სხვა ტიპი საქართველოში არ შექმნილა. ტიპის ასეთი გამძლეობა, რომელმაც რვაასი წელი იარსება, უპირველეს ყოვლისა, უნდა აიხსნას მისი სრულყოფილებით. თავისთავად თვით ტიპი ამ ეპოქაში წარმოშობილი ცხოველხატული სტილის თავისებურებების შედეგია. მასში ამ სტილის ყველა ნიუანსია გამოხატული.

XI საუკუნის დასაწყისიდან XII საუკუნის 70-იან წლებამდე აგებულია ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპის სუთი ტაძარი: სამთავისი შუა ქართლში; სამთავრო - მცხეთაში; გელათი - ქუთაისის ახლოს; თიღა - სამაჩაბლოში და იკორთა - გორთან ახლოს. მათი სტილისტიკური ერთიანობის მიუხედავად, თითოეულ მათგანს საკუთარი სახე, ინდივიდუალობა ახლავს.

ქართული კულტურის ისტორიაში XII საუკუნის ბოლოს და XIII საუკუნის დასაწყისს, ჩვეულებრივ ოქროს ხანას ეძახიან და ეს გასაგებია. ქართული მწერლობა სწორედ ამ ეპოქაში ადის იმ სიმაღლეზე, რომელსაც ბადალი არ ჰყავს. ეს ის პერიოდია, როცა ბრწყინავს შოთა რუსთაველის პოეზია და მის თანამედროვეთა შემოქმედება. ამ ეპოქაში აღმავლობას განიცდის კულტურის ყველა სფერო. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ იმ ეპოქის მსოფლიო მხატვრობაში ყინვისის ანგელოზი ერთ-ერთი უშესანიშნავესი ძეგლია. ეს მრავლისმეტყველი ნახატი ბევრად უსწრებს რენესანსის ფუმედებლების შემოქმედებას. საერთო აღმავლობა ქართულ არქიტექტურაშიც აშკარად ჩანს. ესაა ერთი მთლიანი ეტაპი, ახალი საფეხური, რომელსაც საკუთარი სახე, განსაკუთრებული სტილი აქვს.

ეკლესიათა ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპიდან ამ ეპოქაში

აგებულია ცხრა: თბილისის "ლურჯი მონასტერი", ბეთანია, ქვათახევი, ყინვისი, ტიმოთესუბანი, ფიტარეთი, წულრულაშენი, კაბენი (1904 წ. დაანგრის) და ახტალა. ესენი ძალიან მოკლე დროში, რაღაც ოცდაათიოდე წლის განმავლობაშია აგებული. დროის მოკლე მონაკვეთში ასეთი მაღალმხატვრული დიდი ნაგებობების შექმნა ბევრის მთქმელია.

ამ ძეგლებთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღსანიშნავია სამი გარემოება: ცხრავე ძეგლი აგებულია თამარისა (1184-1213) და ლაშას (1213 - 1222) მეფობის ხანაში; თითქმის ყველა განლაგებულია თბილისთან ახლოს; ცხრავე ობიექტი მტკვრის მარჯვენა მხარესაა.

ქართული არქიტექტურის ისტორიის განხილვისას შეუძლებელია არ წარმოვჩინოთ კლდეში ნაკვეთი ნაგებობანი.

ზემოთ უკვე ავლინებთ, რომ საქართველოში, ძვ.წ. პირველ ათასწლეულში, კლდეში კვეთის საკითხი საკმაოდ მაღალ დონეზე ავიდა და ანტიკურ ხანაში მოგვცა ისეთი ბრწყინვალე, მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლი, როგორცაა კლდეში ნაკვეთი ქალაქი უფლისციხე.

შუა საუკუნეების გამოქვაბულების პირველი ეტაპიდან გამოირჩევა დავით გარეჯი, რომლის ანსამბლები ოცზე მეტია და თითქმის სამ ათეულ კილომეტრზეა გადაჭიმული. შუა ფეოდალური ხანის კლდეში ნაკვეთი ძეგლებიდან მკვეთრად გამოირჩევა ვარძიის ანსამბლი.

ვარძია ჯავახეთშია, ასპინძიდან ოცდაათ კილომეტრზე. თამარ მეფემ იგი მონასტრად აქცია. იგი ქართველ ხუროთმოძღვართა მიერ შექმნილი ერთ-ერთი საოცრებაა.

ვარძიის ხუროთმოძღვრება დაფუძნებულია წინასწარ შემუშავებულ კომპოზიციურ იდეაზე - მრავალსართულად გამოკვეთილი ანსამბლი განლაგებულია კლდის უბის სიღრმეში ჩასმული ცენტრის - ტაძრის გარშემო. მთელი მონასტერი სამხრეთ მხარესაა მიმართული და საცხოვრებლები კლდის სიღრმეში სამხრეთიდან

დმანისის ნაქალაქარი
Dmanisi Site





მცხეთის ჯვარი VI ს.
Jvari Monastery, Mtskheta (6th century)

ჩრდილოეთითაა გამოკვეთილი. მონაზონთა საცხოვრებელი და საზოგადოებრივი პალატები 2-3 და 4 ოთახისაგან შედგება და ერთმანეთთან დაკავშირებულია კარიბჭეებთან შექმნილი საგანგებო გასასვლელით. საცხოვრებელი კომპლექსები შედგება ერთ ღერძზე განლაგებული კარიბჭის, საცხოვრებლისა და საკუჭნაოსაგან. კარიბჭე მთავარი არქიტექტურული ელემენტია, რომელიც ვარძიას მის წინამორბედ უდაბნო-მონასტრებისგან განასხვავებს. კარიბჭის ფართო თალი ერთადერთი და მთავარი არქიტექტურულ-ტექნიკური ელემენტია მონასტრის ფასადის გაფორმებაში. ღვთისმშობლის მიძინების ტაძრისა და კარიბჭის მოხატულობა (1184-1186) ქართული მონუმენტური ფერწერის მნიშვნელოვანი ძეგლია.

საქართველოს მტრულად განწყობილი დიდი ქვეყნები არასოდეს დაკლებია, მაგრამ მონგოლთა სიმკაცრემ ყველაფერს გადააჭარბა. აყვავებულ და ძლიერ ქვეყანას **XIII საუკუნის 20-იან წლებში** თავს დაატყდა გაუგონარი უბედურება - აღმოსავლეთიდან მოსული დაუნდობარი მტერი თავის გზაზე მხოლოდ დანგრეულ და გადაშენებულ დასახლებებს ტოვებდა. მონგოლებმა 200 წლის განმავლობაში ძლიერ ქვეყანას არა მარტო მთლიანობა მოუშალეს არამედ ეკონომიკაც შესამჩნევად დასცეს. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ქვეყანა საკულტო ნაგებობებზე ზრუნვას მაინც ახერხებდა. ეს ხდებოდა მაშინაც კი, როცა მტერი სახლში გვყავდა და ქვეყანა ფაქტიურად სამად იყო გაყოფილი: აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო და სამცხეც, ფაქტიურად, ცალკე იყო გამოყოფილი. ამ პერიოდის საკულტო ნაგებობებიდან აღსანიშნავია: თბილისში - მეტეხი (ძველის ნანგრევებზე თითქმის ხელახლა აგებული); სამცხეში - საფარა, ზარზმა, ჭულე, ბიეთი, თისელი; დასავლეთ საქართველოში - ხობი, მღვიმევი, ცაიში, ბეგია (ძველის ნანგრევებზე აშენებული). ხევში - გერგეტის სამება; კახეთში - კარდანახის საბანძინა, საჩინო და სხვა. ამ ეპოქის ძეგლები წინა ეპოქისას რომ შევადაროთ, ვნახავთ, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური დაქვეითება ძლიერ ზემოქმედებს ახდენს ხუროთმოძღვრების განვითარებაზეც, იწყება დაღმასვლა, რომელიც მეტად შესამჩნევი ხდება **XIV საუკუნის ბოლოსკენ**.

XV საუკუნის ბოლოსთვის X საუკუნეში დაწყებულმა ცხოველხატულმა სტილმა თითქოს თავისთავი ამოწურა. ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა ახალ ბიძგს ვერ იძლეოდა.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია დიდი მეფის, ალექსანდრე I-ის (1412-1443წწ) მოღვაწეობა. მან ენერგიულად მოკიდა ხელი დანგრეული ქალაქების, ციხესიმაგრეების, ეკლესია-მონასტრების და აოხრებული სოფლების აღდგენას და ეს დიდი საშვილი-შვილო საქმე სახელმწიფოებრივ დონემდე აიყვანა.

წინა ეპოქისგან განსხვავებით, **XIII საუკუნის მეორე ნახევრი**სა და მომდევნო საუკუნეების ცენტრალურ-გუმბათოვანი ძეგლები განლაგებულია არა თბილისსა და მის სიახლოვეს, არამედ მისგან შორს, ისეთ ისტორიულ პროვინციებში, როგორცაა სამცხე, სამეგრელო, ხევი, შიდა კახეთი და შიდა ქართლის მთიანი ნაწილი. თუმცა ამ პერიოდსავე მიეკუთვნება თბილისის მეტეხი. იგი კაპიტალური გადაკეთების გამო მრავალფეროვანია, ამიტომ არც ერთ ტიპს არ მიეკუთვნება. მეტეხი მათიანების ფურცლებზე პირველად **XII საუკუნეში** გვხვდება. იმ ეპოქაში, როცა ტაძარი ააგეს, გავრცელებული იყო ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპი და თუ ავტორს თავისუფლება ექნებოდა, იგი ამ ტიპს გამოიყენებდა. თავისთავად მეტეხის ტაძარი თბილისის მშვენიერება! იგი ძველი თბილისის კოლორიტია.

XVI-XVIII საუკუნეებში ძირითადად ორი ტიპის ეკლესიები იყო გავრცელებული. პირველი იყო ცენტრალურ-გუმბათოვანი, ხოლო მეორე - დარბაზული. თითოეულ მათგანს განვითარების ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა. საერთოდ, რთული სიტუაციის დროს, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული სახის ეკლესიები ჩნდება. მათში ერთგვარად ჩანს საერთო ორბიტიდან გასვლის სურვილი, მაგრამ ამისთვის შემოქმედებითი ძალა არ ჰყოფნიდათ, ამიტომ ზოგჯერ რემისცენციას ჰქონდა ადგილი.

ამოტივიტივდა "თავისუფალი ჯვრის" თემაც. მისი ნიმუშები დასავლეთ საქართველოშია. ესენია: ტყვირი (სამეგრელო), ქორეისუბანი (გურია), საქარის "გულბანდანი" და სავანის "გიორგი-სულა" (ორივე იმერეთში).

ამ ეპოქაში შექმნილი, მთის წვერზე კომპოზიციის დამაგვირგინებელი, თუ ხეობის ლანდშაფტში მოხდენილად ჩანერილი ძეგლები - **ახალი შუამთა, გრემი, ანანური, ლარგვისი**, ჩვენი ეროვნული სიამაყეა.

მაგალითები შეიძლება მეტიც მოვიტანოთ, მაგრამ ესეც საკმარისია იმის დასტურად, რომ ამ მიმართულებით ახლისა და საინტერესოს შექმნა ვერ მოხერხდა. ესენი რიგითი ძეგლებია, მაგრამ ეპოქის მრავალფეროვნების საჩვენებლად **XVI საუკუნის ძეგ-**



ლები - კოჯრის "ორმოცთა" ეკლესიაც და თბილისის "ჯვარის მამა"-ც საკმარისია.

მას შემდეგ, რაც საქართველოში ლითონის ენიანი ზარი გაჩნდა, სამრეკლოებისთვის ცალკე შენობების აგება დაიწყო. სამრეკლო ევროპაში VIII საუკუნეში გაჩნდა, გავრცელება კი XI საუკუნიდან ჰპოვა. იგივე ითქმის ბიზანტიანულ, საქართველოში კი სამრეკლო XIII საუკუნიდან ჩნდება.

პირველი სამრეკლო, რომელიც 1278 წლით არის დათარიღებული, გუდარეხის მონასტერში დგას. ამის შემდეგ, ცალკე მდგარი ეკლესია იქნებოდა ეს თუ მონასტერი, სამრეკლო აუცილებლად უნდა ხლებოდა.....

მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიას, შედეგად მოჰყვა ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვა. ჩვენი სახელოვანი წინაპრების, თვალსაჩინო სასულიერო და საერო მოღვაწეების, მთელი ქართველი საზოგადოების ძალისხმევით 1917 წელს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღიდგინა ავტოკეფალია.

სულ მალე 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს უკვე დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციასა და ანექსიას მოჰყვა 70-წლიანი აგრესიული ათეიზმის ეპოქა. სარწმუნოებისადმი მტრულად განწყობილი ხელისუფლებისგან აუნაზღაურებელი ვნება და ზიანი მიადგა ქართულ ეკლესიას. ადმინისტრაციული წესით დახურეს ეკლესია-მონასტრების უმრავლესობა, ბევრი კი დაწვეს, დაანგრეს ან არადაინაშნულებისამებრ გამოიყენეს.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ძალისხმევით დაიწყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის აღორძინების რთული პროცესი, რომლის მიზანი იყო არა მხოლოდ საკუთრივ ეკლესიის ორგანიზაციული და მატერიალური საფუძვლების განმტკიცება, არამედ ქართველ ერში ეროვნული თვითცნობის გაღვივება, ქართული ცნობიერების დაბრუნება, ქართველი ერის მოქცევა თავისი ტრადიციული რელიგიური და ზნეობრივი სანყისებისაკენ. საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქართული ეკლესიის როლის გაზრდამ დიდად შეუწყო ხელი ამ წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოღვივებასა და აღმავლობას, რაც 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით დაგვირგვინდა....

1995 წლის 23 ნოემბერს, თბილისში, წმინდა ელიას მთაზე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის კურთხევით დაიწყო საუკუნის მშენებლობად წოდებული - სამების საკათედრო ტაძრის საძირკვლის ამოღება. 2000 წლისთვის პრაქტიკულად დასრულდა მიწისქვეშა სივრცის სამუშაოები, რაც დაახლოებით მთლიანი ტაძრის მოცულობას უტოლდება. სამების ტაძარი შეიქმნა მთავარანგელოზთა, იოანე ნათლისმცემლის, წმიდა ნინოს, წმიდა გიორგის, წმიდა ნიკოლოზის, 12 მოციქულის, და ყოველთა წმიდანთა სახელობის ეკლესიებს. ესოდენ დიდი სიმაღლისა და ფართის ტაძარი საქართველოში ჯერ არ აშენებულა. ტაძრის მოცულობა თავისი სავსებითიულო ნაწილით კი - 137 კუბ.მ. ფართობი - 5000 კვ. მ.-ზე მეტია. სამების საკათედრო ლავრის სიმაღლე მინიდან ჯვრის ძირამდე 77 მ.-ია. საკუთრივ ჯვრის სიმაღლე კი შვიდმეტრნახევარია. ტაძრის გრანდიოზულობა მხოლოდ პარამეტრებით არ განისაზღვრება. მისი ექსტერიერი და ინტერიერი საინტერესოდ არის გადაწყვეტილი. ეს არის ჯვარ-გუმბათოვანი და ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრის სინთეზი. სამების ტაძარი არქიტექტორ არჩილ მინდიაშვილის პროექტით შეიქმნა.

ღვთის მადლით, 2006 წელს იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში სამონასტრო მშენებლობა აღსრულდა - ჩაკიდულ თხემებზე იოანე ნათლისმცემლის შობის დედათა სავანე - მონასტერი აშენდა. სამონასტრო კომპლექსი ქალაქმშენებლობის და ლანდშაფტური არქიტექტურის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს. იგი - მისი ყოვლადუსამღვდელოების ალავერდელი აბბა მიტროპოლიტის მეუფე დავითის ჩანაფიქრით და პროექტით განხორციელდა. პროექტზე ასევე მუშაობდნენ არქიტექტორები, პ. წყუბიძე და დ. სვანიძე. მონასტრის გალავანი რელიეფს მიჰყვება. ტერიტორიაზე (30X30 მ.) განთავსებულია ტერასებად განლაგებული სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები: ტაძარი, დედათა სენაკები, სახელოსნო, სასტუმრო, სატრაპეზო, წინამძღვრის საცხოვრებელი, სენაკი, სარდაფი, ავტოფარეხი. ანსამბლის ერთიანი არქიტექტურული სივრცე ქართულ ტრადიციებზეა დაყრდნობილი. ტრადიციული არქიტექტურა ამ მიმართებაში გამჭოლი ხედების არქიტექტურაა, პერსპექტივების მრავალფეროვნებაა. საშენ მა-



ატენის სიონი V ს. Ateni Sioni (5th century)

position survived for a long time, while circular multi-apse design retained its popularity for as little as 60-70 years.

Among religious constructions, built in the middle of the feudal era, we would like to distinguish four large cathedrals – Oshki, Bagrati Cathedral of Kutaisi, Svetitskhoveli and Alaverdi, which are the most important landmarks not only for this particular period, but for medieval Georgia on the whole. These four constructions reveal the grandeur of the period in question and highlight ideological integrity of remote regions of the country – which clearly demonstrates sustainability of the newly integrated country. The first of the four – Oshki, is located at the southern historical border of Georgia, in Tao Region; the second – in Kutaisi, which was then the heart of Georgia, the third is located in Mtskheta, the religious center and residence of the Patriarch, the fourth – in the Eastern extreme of the country – Alazani Valley, Kakheti. In spite of large distances between these four churches, they clearly represent variations of one and the same style.

Mtskheta Svetitskhoveli Cathedral was built in 1010-1029 by brilliant architect Arsukidze to the order of prominent religious leader Catholicos Melchisedek. Due to later large-scale redecoration, it is impossible to attribute Svetitskhoveli to any particular type of medieval religious constructions, though its magnificent facade decoration can be classified as a perfect sample of pictorial art.

Also interesting is Khakhuli Monastery, located in historical Tao region. Unique element of this complex – cruciform domed church with original and unique planning – was built during the reign of David Kurapatat, in 978-1001.

Still another notable monument of this period is the cruciform domed church of Pitsunda (10th-11th CC). This construction features an interesting architectural solution, rare for the Eastern Georgia of that period, but very popular in the Western Georgia, namely in Abkhazia. Design of this church shows certain associations with Byzantine architecture.

During the period of its cultural rise, Georgian architecture developed with a great deal of creative potential. The surge of creative energy becomes noticeable starting with the early 10th century, but it reaches its culmination in the middle of the 10th and the first half of the 11th century. From the wide range of constructions emerged in this period only three major types proved sustainable: tri-apsed and multi-apsed churches and temples with the centrally positioned dome. Churches with multiple apses offer greatest diversity of design solutions. During incomplete 100 years, this trend reached the peak of its development. Planning, composition, decoration of surviving churches clearly conveys the unsatisfiable wish to create something new and perfect. To put aside all other factors, it is surprising how this or that architectural conception could spread all through Georgia in a very short period of time. E.g. the first church with multiple apses was built in 964, the last – in 1010-1014. Surviving churches of the same type, built within this timeline, are located at considerable distances: Kumurdo



სალად ძირითადად ნიჩბისის თილილი, ნატეხი ქვა, რიყის ქვა და ადგილობრივი კლდის ქვა გამოყენებული. ყურადღებას იპყრობს ქვაში და ხეში ნაკვეთი დეკორატიული ელემენტების მრავალფეროვნება.

ჩვენ თანამედროვეობაში, კვლავ აღსდგა ეკლესია-მონასტრების მშენებლობა. ახალი ეკლესიები ძირითადად ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპისანი არიან. ბევრად ნაკლებია ბაზილიკური ტიპის ნაგებობები. ძნელი წარმოსადგენია დაახლოებით რა რაოდენობის ახალი ეკლესიაა სრულიად საქართველოს ტერიტორიზე, თუმცა ერთი ვიცით ზუსტად, საკმაო რაოდენობასთან გვაქვს საქმე. თანამედროვე ქართულ საეკლესიო არქიტექტურული პროექტების შექმნასა და ხორცშესხვაში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, შეინიშნება, უკვე არსებულის სრული კოპირება, ანდა სხვადასხვა შუასაუკუნოვანი ნიმუშების ეკლექტური ნაზავის შექმნა. დღეს ეს ერთმნიშვნელოვნად მიღებული მიდგომაა, მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეების ნიმუშებიდან ამ ახალაშენებულ, ნაგებობებს მხოლოდ ფორმისეული მსგავსება აკავშირებთ. გასაგებია რომ ასლი, ორიგინალისგან ბევრად განსხვავდება, ამ შემთხვევაში ეს სხვაობა უსიცოცხლოებაში და მხატვრობის სრულ ნიველირებაში ვლინდება. ამ ორი ფაქტორის არარსებობა ეკლესიაში შესულ რიგით ადამიანშიც კი იწვევს რეაქციას - აღქმულისგან გამონეულ უემოციობას, მისდამი უინტერესობას. როცა არ არსებობს მხატვრული შთაბეჭდილება, რთულია რაიმე ფუნქცია იკისროს არქიტექტურამ, რჩება მხოლოდ ერთი - თეოლოგიური ინფორმაცია, ნარატულობა, რომელიც საეკლესიო ნაგებობათა კომპოზიციებს ახასიათებთ. არსებული მდგომარეობა და მასში სასიკეთო გარდატეხის შეტანა სერიოზულ და ნოვატორულ მიდგომას მოითხოვს ჩვენი პროფესიონალებისგან.

საქართველოში, საკულტო ხუროთმოძღვრების პარალელურად, ქალაქმშენებლობის ინტენსიური განვითარება, განსაკუთრებით შეინიშნება ფეოდალიზმის განვითარების ადრეულ ეტაპზე, როდესაც მნიშვნელოვან აღმავლობას აღწევს ვაჭრობა და ხელოსნობა. ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ქალაქები: მცხეთა, უჯარმა, თბილისი, რუსთავი, სამშვილდე, ბოლნისი, ჭე-

ის in Javakheti; Gogiuba, Oltisi, Kiaghmis-Alti, Taoskari – in Tao-Klarjeti; Bochorma – in Kakheti; Katskhi – in Imereti; Nojikhevi in Samegrelo and who knows how many of such churches simply did not reach our time. Considering the contemporary transport and speed of traveling one cannot help marveling at such rapid and efficient distribution of architectural ideas. We should also consider that churches with multiple apses with all their design elements are pure baroque. Multi-apse church as an architectural type emerged in the end of transitional period of development of Georgian architecture, and became obsolete rather soon, in early 11th century. Of the churches built in this period, none replicates the others; each of them is unique, but can be included into one group according to certain characteristics. They can be conventionally classified into the following groups: five-apse (Kumurdo, Nikortsminda), six-apse (Gogiuba, Oltisi, Bochorma, Katskhi) and eight-apse (Nojukhevi, Taoskari).

The northern border of Georgia, running along the Caucasus ridge, stretches over several hundred kilometers. The other side of these mountains used to be and is still populated by other ethnic groups, which had different kinds of relationship with Georgia in different periods of time. Remains of material culture are ample in Dvaleti, the part of North Ossetia bordering on **Shida (Inner) Kartli**. In this land, where Christianity was introduced in the 6th century, there are numerous churches, of which the most notable is the 11th century **Khosita-Mariam darbazi church** with fragments of wall frescoes, located in Ardoni Gorge.

Asa Gorge, located in **Ingusheti**, is said to be the cradle of Christianity in this region. Many monuments found in this area are attributed to the Georgian culture. The influence of Christianity is evident not only in churches, but also in other constructions, including towers. Of churches, the most notable are **Tkoba-Erdi** and **Albi-Erdi**, especially the former, which clearly shows the traces of 7th-9th cc initial construction and 15th-17th cc restoration.

Traces of Christian culture can also be found in Dagestan, bordering on Georgia from north-west. There is a number of churches in this region, most interesting of which is Datuna Church – 10th-11th cc darbazi-type construction, located in Koisu Gorge.

One of the new architectural types and themes created during the period in question is church with centrally positioned dome, introduced by architects of Samtavisi and Samtavro Monasteries. According to historical sources, Samtavisi was built in 1030; as for Samtavro, exact date of its construction is unknown. However, judging by its style, this church should belong to the same period. Consequently, creation of this new, perfect and highly sustainable architectural type can be attributed to authors of both these monasteries.

In the course of the following eight centuries no more new types of domed churches emerged in Georgia. Such sustainability / durability of one particular

ნეკრესის ბაზილიკა IV ს.
Nekresi Basilica (4th century)





ნაქალაქარი სამშვილდე - (ისტორიული ქვემო ქართლი)
იგი იბერიის პირველ ქალაქთა რიცხვს მიეკუთვნება. ძვ. წ.-ის IV ს.

Ruins of Samshvide (historical Kvemo Kartli),
one of the first Iberian cities (4th century B.C.)

რემი. დასავლეთ საქართველოში - ქუთაისი, ნოქალაქევი, შორაპანი და სხვანი. ამ ქალაქების წარმოშობა განაპირობა გეოგრაფიულად ხელსაყრელმა გზებმა და მდებარეობამ. ქალაქებს ჰქონდათ თავდაცვითი ზღუდეები და შიდა ციხე. თვალი გადავავლოთ ქალაქმშენებლობით საკითხებს ფეოდალიზმის განვითარების ადრეულ ეტაპზე ზოგიერთი ქალაქის მაგალითზე.

თბილისის ისტორია (ამჟერად, მხოლოდ მისი გამაგრების საკითხებს ვეხებით, IV საუკუნიდან იწყება. V საუკუნის ბოლოს მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადმოტანის შემდეგ, 1500 წლის განმავლობაში, ქვეყანას ცენტრი არ შეუცვლია. თბილისს დიდი ქარტეხილები დაატყდა თავს. ვინ მოთვლის რამდენჯერ დაუნგრევიათ იგი და აღმდგარა. ბოლო უმაგალითო უბედურება იყო 1795 წ. ალა-მაჰმად-ხანის შემოსევისას, თბილისის განადგურება. ხანძარს გადაურჩა მხოლოდ რამდენიმე ეკლესია და ქალაქის გამაგრების სისტემის ფრაგმენტები. არსებული ფრაგმენტებით ქალაქის დაცვის სისტემის წარმოდგენა შეუძლებელია. ამ ხარვეზების ნაწილობრივ შევსება შეუძლია წერილობით წყაროებს, სხვადასხვა ქვეყნის მოგზაურთა ჩანაწერებსა და ჩანახატებს. ამ მხრივ ყველაზე მეტად გვეხმარება XVIII-XIX საუკუნების გრაფიკული მასალა, ქალაქის გეგმები. პირველი ასეთი გეგმა ვახუშტი ბაგრატიონისაა, რომელიც შედგენილია XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. ამას გარდა არსებობს იმავე საუკუნის 80-იან წლებში და მომდევნო საუკუნის პირველ ნახევარში უცხოელ მოგზაურთა მიერ ჩატარებული ინსტრუმენტული ანაზომები. მცირედენი სხვაობებით ქალაქის გეგმარების ძირითადი სურათი ყველგან ერთია.

ამ გეგმებისა და ვახუშტის მიხედვით, ქალაქი შედგება სამი მონაკვეთისგან: კალა, სეიდაბადი და ისანი.

კალა, ქალაქის მთავარი ნაწილი იყო. მას მოკავებული ჰქონდა მტკვრის მარჯვენა მხარე. იგი მთლიანად შემოზღუდული ყოფილა კოშკებითანი გალავნით. მისი სამხრეთის ხაზი იწყებოდა ნარიყალადან და მიუყვებოდა სოლოლაკის ქედს. გალავანი თავდებოდა კოშკთან (რომელსაც გვიანი სახელი "შაის-ტახტი" შემორჩა). აქედან იგი მკვეთრად უხვევდა და გადიოდა ახლანდელი პუშკინის ქუჩაზე და ისევ მკვეთრი მოხვევით - ე.წ. დიღმის კართან, რომელიც მდებარეობდა პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩების გადაკვეთასთან, მიემართებოდა მტკვრამდე. ამის შემდეგ, მდინარის გაყოლებით, ხაზი მიდიოდა გორგასლის მოედნამდე, აქ კი ნაკვისის ხევზე ჩამოყოლილ გალავანს უერთდებოდა.


კალას ტერიტორიაზე განლაგებული იყო მეფეთა და მეფისწულთა სასახლე, საკათედრო ტაძარი, დიდი და პატარა მოედნები, ეკლესიები, ქარვასლები, სავაჭრო დაწესებულები, საცხოვრებელი სახლები და მრავალი სხვა. მათგან აღსანიშნავია მეფის მოედანი, რომელსაც ახლა ერეკლეს მოედანს უწოდებენ. აქ თავს იყრიდა მთავარი ქუჩები. ქალაქში იყო წყაროები, რაც შუა საუკუნეების ფეოდალური ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი.

ქალაქის მეორე ნაწილი - სეიდაბადი - ახლანდელი აბანოთუბანი, მდებარეობდა კალას გაგრძელებაზე, სამხრეთ აღმოსავლეთით, თაბორის მთასა და მტკვარს შორის. ამ მიდამოებში იყო განლაგებული წალკოტად წარმოსახული თბილისის ბალები.

ქალაქის მესამე ნაწილი - ისანი (შემდეგი დროის ავლაბარი) მტკვრის მეორე მხარეს იყო. კალასა და ისანს შორის ვიწრო კლდოვანი ხიდი იყო გადებული. ისნის გალავნის შიგნით მცირე მონაკვეთი კვლავ გალავნითაა გამოყოფილი, მისი დომინანტი - მეტეხის ტაძრით. მათ გარდა, ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მთაწმინდის მიდამოებში და ავლაბრის აღმოსავლეთითაც იყო საკმაოდ მჭიდრო დასახლება, მაგრამ გამაგრების გარეშე.

კალაში, ქალაქის ძირითად ნაწილში, გამოკვეთილი იყო ციხის უბანი, სასახლის უბანი, აბანოს უბანი, ოქრომჭედლების ქუჩა და სხვა. ქალაქში იყო, აღწერის მიხედვით, ძალიან ლამაზი მეფის სასახლე. იგი მარმარილოთი ყოფილა მოპირკეთებული, შიგნით კი მოხატული, მოოქროვილი და სარკვებით გაწყობილი.

უჯარმა, საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების ერთ-ერთი უძველესი და არქეოლოგიურად კარგად შესწავლილი ნაქალა-





ქარია. ძველი ქართული წყაროების ცნობით, უჯარმა წინარე ქრისტიანული ხანის ქალაქია, რომელიც ჩვენი წ.ა. III საუკუნეში მირდატის ძემ - ასფაგურმა ციხე-ქალაქად ააშენა. უჯარმა მდებარეობს მდ. ივრის შუა წელზე. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ქალაქის ციტადელის ნაშთებმა. იგი ორი ნაწილისგან შედგება - ზედა ციხის და ქვედა ციხისგან. უჯარმის ციხე-ქალაქი მაღალკვალი-ფიციური ხუროთმოძღვრის ჩანაფიქრს შეადგენს და ადრეული შუა საუკუნეების საერო ნაგებობათა მონინავე ძეგლთა შორის იმკვიდრებს ადგილს.

ციხეგოჯი, რომელიც ნოქალაქევის და არქეოპოლისის სახელითაც არის ცნობილი, ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს დედაქალაქი იყო IV-VII საუკუნეებში. ციხეგოჯი სენაკის რაიონში მდებარეობს.

ლეონტი მროველის წყაროს ცნობით, ციხეგოჯის ისტორია იწყება ძველი წ.ა. III საუკუნიდან. ქალაქის ქვედა ტერასაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მეფეთა სასახლის ნანგრევები გამოვლინდა. სამეფო რეზიდენციაში არის მოქცეული ქალაქის მთავარი ეკლესია და სხვა საერო ნაგებობანი. ნოქალაქევის ტერიტორიის უფრო ღრმად შესწავლა, კიდევ ბევრ საყურადღებო საკითხს მოჰფენს შუქს.

ურბნისის ნაქალაქარი არქეოლოგიურად და ისტორიული თვალსაზრისით კარგად შესწავლილი ძეგლია. გათხრების შედეგად აქ სამი ძირითადი ქრონოლოგიური ფენა გამოვლინდა, ესენია: ადრებრინჯაოს, ანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ნაშთები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ადრეული შუა საუკუნეების ქალაქის ზღუდე.

ქართულ წერილობით წყაროებში ქალაქი ურბნისი ანტიკური ხანის უძველეს ქალაქებთან ერთად არის დასახელებული. ქალაქმა ისტორიული წყაროების ცნობით მურვან ყრუს ლაშქრობამდე იარსება. თუმცა არქეოლოგიური მასალების გათვალისწინებით, ქალაქს მერეც გაუგრძელებია ცხოვრება.

საქალაქო მეურნეობის ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტს აბანო შეადგენდა. საქართველოში ადრეული შუასაუკუნეების აბანოებს ვხვდებით უძველეს ნაქალაქარებში. ასეთი ნაგებობები ცხადია თბილისშიც არაერთი იქნებოდა, ამისთვის სრულიად ხელსაყრელი პირობების - თერმული წყლების გამო. სხვა ქალაქებში კი წყლებს აცხელებდნენ და სათავსოებს საგანგებოდ აგებული საქვაბებითა და კალორიფერებით ათბობდნენ.

სანტერესოა ამ მხრივ, ციხეგოჯი - ნოქალაქევის აბანოები, რომელთაგან ერთი, პირობითად "სამეფო", ხოლო მეორე - სამოქალაქოდ იწოდებოდა და IV-V საუკუნეებით თარიღდებოდა. ორივე აბანო გამოვლენილი იქნა არქეოლოგიური გათხრების შედეგად.

architectural type, which survived for as many as eight hundred years, can be accounted for by its efficiency. This type is a natural offspring of Georgian baroque, bearing all its characteristic features. Construction planning, interior and exterior design, decoration, bas-reliefs – everything conforms to this new style.

Five churches with centrally positioned domes were built between the early 11th C and the 1170'ies. These are Samtavisi (Central Kartli), Samtavro (Mtskheta), Gelati (near Kutaisi), Tigheva (Samachablo) and Ikorta (near Gori). In spite of stylistic integrity, each of them has individual traits.

In the history of Georgian culture the period between the end of the 12th and the beginning of the 13th centuries is usually called the Golden Age, and one can easily understand why. It is in this period that the Georgian literature reaches unparalleled heights, giving birth to the poetry of Shota Rustaveli and the art of his contemporaries. In this period, all the spheres of Georgian culture are prosperous. One can easily say that Kintsvisi Angel is one of the finest samples of painting in world culture of this period – this brilliant fresco by far precedes the art of Renaissance founders. General cultural rise did not leave Georgian architecture aside – this is one general surge, new stage of development bringing on its own image, its special style.

In Georgia there are nine central-domed churches dating back to this period: the Blue Monastery of Tbilisi, Betania, Kvatakhevi, Kintsvisi, Timotesubani, Pitareti, Tsugrugasheni, Kabeni (destroyed in 1904) and Akhtala. These nine temples were built in about thirty years. Ability to create highly artistic large constructions in such a short period of time speaks for itself.

There are three factors that should be noted in connection with these monuments: all nine of them have been built during the reign of Queen Tamar (1184-1213) and King Lasha (1213-1222); almost all of them are located in the vicinity of Tbilisi, and all nine are positioned on the right bank of Mtkvari River.


When discussing the history of Georgian architecture it is impossible not to mention the constructions / complexes cut in rock.

As we already mentioned above, construction in rock was at a considerably high level in Georgia back in the first millennium B.C.; from those times we have preserved Uplistsikhe – a magnificent monument of world importance.

The most prominent of the earlier medieval cave complexes is David Gareji, comprising over twenty architectural ensembles and stretching over more than thirty kilometers.

Another outstanding medieval cave complex dating back to the middle of feudal period is Vardzia, located in Javakheti, about 30 kilometers far from Aspindza. This cave complex, founded during the reign of Queen Tamar, is one of the chef d'oeuvres created by the Georgian architects.

Architecture of Vardzia is based on an ingeniously developed compositional idea – several layers of artificial caves clustered around a centrally positioned church, cut deep in a rock. The whole complex faces south, and its apartments are cut inside the rock from south to north. The nuns' apartments and publicly accessible halls and chambers consisted of 2, 3 or 4 rooms, interconnected by special passageways. Main architectural element, differentiating Vardzia from its predecessor hermitage monasteries is its central gateway. Wide arch of the gateway is one and only architectural element used for decoration of monastery



ძველი გავაზის ღვთისმშობლის სახელობის ცენტრალურ-გუმბათოვანი ეკლესია VI ს.
St. Mary of Gavazi - church with centrally-positioned dome (6th century)



წრომის ტაძარი VII ს
Tsroma Church (7th century)

"სამეფო აბანოს" მშენებელს გაუთვალისწინებია სათავსოთა კომპაქტურობა, მათი მოხერხებული ურთიერთკავშირი და აგრეთვე ფასადების მხატვრული ფორმებიც. "სამოქალაქო აბანო" გალავნის გაყოლებაზეა გრძივად განოლილი. მისი თარიღი IV-V საუკუნეებით არის განსაზღვრული. ნოქალაქეის ორივე აბანო ასეთი რიგის ნაგებობათა მშენებლობის კარგ ცოდნაზე მოგვანიშნებს.

საქართველოში არქიტექტურულ ნაგებობათა სახეები მრავალფეროვნებით ხასიათდება, მაგრამ მათი დიდი უმრავლესობა ცუდადაა შემორჩენილი და ხშირად სათანადო დონეზე შესწავლილიც არ არის. განსაკუთრებული ადგილი, მათი აღწერისას უნდა დაეთმოს საცხოვრებელ სახლებს და მეფისა და ფეოდალთა სასახლეებს, თუმცა შემორჩენილი ძეგლების რაოდენობა მეტად მცირეა. ასევე მცირე მონაცემები არსებობს ქალაქებისათვის და მახასიათებელი ისეთი ნაგებობებისთვის, როგორცაა **ბაზრები, ქარვასლები, ქსენონები** და სხვა.

შუა საუკუნეების ყველა ქვეყანაში გარდა საკულტო ნაგებობებისა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დათმობილი, ისეთ შენობებს, სადაც **აკადემიები** იყო განლაგებული. ასეთი დანიშნულების ნაგებობებიდან დღემდე მოაღწია გელათის და იყალთოს აკადემიებმა. მათ გარდა კახეთის დედაქალაქში - გრემში არის კიდევ ერთი XVI საუკუნის შენობის ნაშთი, რომელსაც ტრადიციით აკადემიას ეძახიან.

ქართულმა კულტურამ X- XII საუკუნეებში განვითარების მაღალ დონეს მიაღწია და თანაც მას ბერძნულ-ქრისტიანულ სამყაროსთან ურთიერთობის შედეგად, შესამჩნევი წარმატება ხვდა. დავით აღმაშენებელმა ეს საქმიანობა დააგვირგვინა სამეცნიერო-საღვთისმეტყველო დანესებულების შექმნით. ასეთ დანესებულებას წარმოადგენდა **გელათის აკადემია**. ანსამბლში, აქამდე შემორჩა აკადემიის შენობა. იგი გრძელი მართკუთხა და ორფერდა სახურავით იყო გადახურული. ერთიანი დარბაზის ფართობი 300 მეტრს აღწევს. მის საზეიმო იერს ემსახურება რვა დიდი თაღოვანი სარკმელი. აღსანიშნავია ის თავისებურება, რომ დარბაზს შიგნიდან შემოუყვება ნახევარი მეტრის სიმაღლის ქვის შემალღება - სწავლულთა ჩამოსაჯდომი, რომლის მაგალითი სხვაგან არსად გვაქვს. **ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს გელათის სამონასტრო კომპლექსის რესტავრაცია (არქიტექტორები: ზ. იაშვილი, შ. ჯაფარიძე, გ. სოსანიძე).**

façade. As regards mural painting of Vardzia, the most important are frescoes of Assumption Church (1184-1186), occupying an important place in the history of Georgian monumental painting.

In the course of its history Georgia had to face numerous enemies, though severity of Mogols exceeded all limits. In the 1220's the strong, flourishing country faced an unheard-of doom – pitiless enemy, advancing from the East and leaving only ruins and ashes in its way. The Mogols stayed in Georgia for 200 years, destroying its integrity and weakening its economy. Nonetheless, the country still found enough strength to take care of its religious constructions – even at the time when Georgia was actually occupied by Mogols and its eastern, western and southern parts as well as Samtskhe were disengaged. Among the religious constructions of this period we would like to specially mention Metekhi Church of Tbilisi (rebuilt on the ruins of an earlier temple); Sapara Monastery, Zarzma, Chule, Bieti, Tiseli in Samtskhe; Khobi, Mgvimevi, Tsaishi, Bedia (also rebuilt on the ruins of an earlier construction) in western Georgia; Gergeti Trinity in Khevi; Kardanakhi Sabatsminda and Sachino in Kakheti, etc. By comparing the monuments of this period to those built a century earlier, we can clearly see how dramatically the level of architecture deteriorated in as little as a hundred years. Expressive forms and refined decoration of the earlier times disappeared completely. Political and economic crisis left its trace on development of architecture: there started a decline, which became especially noticeable toward the end of the 14th century.

Obviously, in the end of the 15th century Georgian baroque, which had been flourishing since the 10th century, exhausted itself almost completely. Political and economic situation did not provide any new impulses to art. And it is with special reverence that one ought to acknowledge the activity of King Alexander I (1412-1443) who applied a great deal of energy to restoration of destroyed cities, fortresses, monasteries and villages and turned this effort into a national priority.

As different from the previous period, churches with centrally positioned domes built in the 13th century and later are located at considerable distances from Tbilisi, in such historical provinces as Samtskhe, Samegrelo, Khevi, Inner Kakheti and the highland part of Shida Kartli. However, Tbilisi Metekhi also belongs to this period. Mentions of Metekhi can be found in various annals starting with the 12th century, though it is difficult to distinguish the initial architectural type of this particular church, because it underwent numerous capital redesigns. The only thing that can be taken for an undoubted fact is that in the period when this temple was built churches with centrally positioned domes were popular and the author would surely pick this architectural type if he were to make a choice. As it is, Metekhi Church is a true symbol of old Tbilisi, one of its landmarks.

In the 16th-18th C.C. churches with centrally positioned domes and darbazi-type churches were the most popular architectural types. Both had a con-



ჩამოყალიბების პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს, იბერიის სამეფოს ცენტრი მცხეთაში იყო. დასავლეთ საქართველოს, კოლხეთის სამეფოს ცენტრი დაუდგენელია. შემდგომში, როცა მონათმფლობერული ხანა იცვლება ფეოდალურით, იბერიის სამეფოს ცენტრი მცხეთიდან თბილისში გადადის, ხოლო დასავლეთ საქართველოს, ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს ცენტრი ხდება ციხეგოჯი, ანუ ნოქალაქევი, რომელსაც ბიზანტიელები არქეოპოლისს ეძახდნენ. თბილისს იმ დროის მეფეთა სასახლის ნაშთიც არ შემორჩა, ხოლო ციხეგოჯში IV-VIII საუკუნეების ორი სასახლის ნაშთია გადარჩენილი. თბილისი ცამეტი საუკუნის განმავლობაში ფეოდალური ქვეყნის დედაქალაქი იყო, მეფის რეზიდენციას წარმოადგენდა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენი სასახლე აიგებოდა ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ შემოსევები მათ სპობდა. უკანასკნელი სასახლე თუ სასახლეები ალბათ ალა-მაჰმად-ხანის შემოსევებს შეენირა. ქალაქში მეფის სასახლეების გარდა ფეოდალთა სასახლეებიც იქმნებოდა, მაგრამ არც ისინი გადარჩენილა.

ქუთაისშიც, ცხადია, არაერთი სასახლე იქნებოდა აგებული, მაგრამ დღემდე არც ერთ მათგანს არ მოუღწევია.

ფეოდალური ხანის შუა მონაკვეთიდან მეფეთა ორი სასახლეა შემორჩენილი. ერთი მათგანი გეგუთისაა, მეორე - ნადარბაზევი. ორივე შესამჩნევად დაზიანებული.

გეგუთის სასახლე ქუთაისიდან ხუთიოდე კილომეტრზე, სოფელ გეგუთის მიდამოებშია. მასზე სრული წარმოდგენის შექმნა ძნელად ხდება, თუმცა მაინც ხერხდება. სასახლის ნანგრევებს ეტყობა, რომ მას ცხოვრება გაუგრძელებია ფეოდალური ხანის ბოლომდე. სასახლის გარე მასების თავდაპირველი სახის წარმოდგე-

Communist government with its enmious approach toward the faith freely persecuted Georgian Church. The majority of churches and monasteries were officially closed down; many of them were burnt down, destroyed or used for non-religious purposes.

In the 1970'ies Catholicos-Patriarch of Georgia Iliia II managed to initiate a complex process of restoration of Georgian Church, which aimed not only at reinforcing the organizational and material foundations of the Church, but at evoking the national consciousness of the Georgians, at returning Georgia to its traditional religious and moral principles. Increased role of Church in Georgian public life significantly contributed to development of national liberation movement, which culminated in restoring the state independence of Georgia on April 9 1991.

On November 23 1995, construction of gigantic Holy Trinity Cathedral – the project nicknamed “construction of the century”, started in Elia district of Tbilisi with the blessing of Catholicos-Patriarch of Georgia Iliia II. In 2000, all underground constructions (the volume of which actually equals to the overground part of the cathedral) were finalized. Holy Trinity Cathedral contains Archangels', John the Baptist, St. Nino, St. George, St. Nicholas, the 12 Apostles' and All Hallows Churches (5 of these are located on the underground and 4 – on the overground levels). A temple of such size and height has never been built in Georgia before. Total volume of the cathedral reaches 137 cubic meters; the area exceeds 5000 sq. m.; the height of Holy Trinity Cathedral from the ground to the bottom of the cross is 77 meters; the cross itself is 7.5 meters tall. Depth of the construction underground is 13 meters. However, the grandeur of this temple is not limited to its size and dimensions – Holy Trinity Cathedral is a notable monument of modern architecture, preserving all the surviving traditions of Georgian church construction and combining them with modern details. Holy Trinity, designed by architect Archil Mindiashvili, can be classified as a combination of cruciform and central-domed types.

In 2006 construction of a convent was built in John the Baptist Desert. The new monastic complex represents a notable sample of urban planning and land-



გურჯაანის კველაწმინდა, VIII-IX საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ("გარდამავალი ხანის") უმნიშვნელოვანესი ძეგლი. Gurjaani Kvelatsminda (All Hallows), the most important Georgian architectural monument of the 8th-9th centuries (the so-called "transitional period")



ნა ძნელია. ჩანს, რომ შენობა სამი მეტრის სიმაღლის ცოკოლზე იდგა. იგი გარედან ქვით იყო მოპირკეთებული. ფასადებს აგვირგვინებდა ცისფრად და მუქმწვანედ მოჭიქული კრამიტებით დაფარული სახურავი.

ფეოდალთა სასახლეები გაცილებით მეტია წარმოჩენილი, მაგრამ მათგან უკეთ შესწავლილია, კახეთის. ამ ტერიტორიაზე შემორჩენილი ფეოდალთა ციხე-დარბაზებიდან სასახლის კარგ მაგალითს იძლევა **კვეტერა, ვაჩნაძიანი, ვანთა, ველისციხე** და სხვა. ფეოდალთა ამ სასახლეებიდან არაფრით არ განსხვავდება იმავე პერიოდში ისეთ საეპისკოპო ცენტრში შერჩენილი სასახლეები, როგორცაა ნეკრესი და ჭერემი. ამ სახურავჩამონგრეულ და კედლებჩამოძარცულ სასახლეებში, რომელთა საერთო თარიღი VIII-X საუკუნეებია, პრინციპში ერთნაირი გადაწყვეტაა. ამ საერთო ნიშნებიდან უპირველეს ყოვლისა უნდა შევნიშნოდ ორსართულიანობა. პირველი სართული დამხმარე იყო, მეორე კი საცხოვრებელი და საზეიმო. როგორც წესი, ზედა სართული სიმაღლით შესამჩნევად სჭარბობს ქვედას. საერთო თავისებურებაში ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბუხრები ძალიან განიერი და მაღლებია. ასეთი დიდი ბუხრები გვიან საუკუნეებისთვის დამახასიათებელი არ არის.

იმის გამო, რომ გვიანი საუკუნეების სხვა სასახლეთა ნაშთებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ, თავისთავად მეტად საინტერესოა **გრემის სასახლის** ნაშთები. გრემი 1466 წლიდან 150 წლის განმავლობაში კახეთის სამეფოს დედაქალაქი იყო. იგი შაჰ-აბასმა დაანგრია და შემდეგ ცხოვრება აღარ გაგრძელებულა. სასახლის კომპლექსში მეტად საინტერესო ერთი ნაგებობაა. იგი დიდი ზომის გვერდებლია პავილიონია. გადახურვა სვეტებზე იყო დაყრდნობილი. პავილიონის შუაში მოზრდილი აუზია ექვსყურა ნიშებით. მდინარეს გადაყურე ეს გასართობ-დასავენებელი პავილიონი პალატების ანსამბლში, ზაფხულში ნამდვილად შვების მომგვრელი იქნებოდა. ამ პავილიონში და მეორე სასახლის შიგნით გამართულ აუზში არ შეიძლება ირანის გავლენა არ შეიმჩნეოდეს.

თელავის მეფეთა სასახლე, სასახლეებიდან ყველაზე უკეთაა მოღწეული.

scape architecture. The project of the convent was designed by His Eminence Metropolitan Archbishop David in cooperation with architects A. Nutsubidze and D. Svanidze. The outer wall of the convent follows rises and falls of the terrain, the territory of the complex (30 by 30 meters) contains terraces with different constructions: church, nuns' cells, cellar, garage, etc. Integral architectural space of the ensemble is based on Georgian architectural traditions with open vistas and diversity of perspectives. Main construction materials used are hewn stone, cobblestone and local rock. A noteworthy detail is the diversity of decorative elements carved in stone and wood.

Nowadays construction of churches and monasteries became possible in Georgia once again. Most of new churches feature centrally positioned domes; there are considerably less basilicas. It would be difficult to name the precise quantity of new churches on the whole territory of Georgia, though what we know for sure is that their number exactly matches what is needed. Design and realization of modern Georgian church projects almost fully replicates existing samples or provides an eclectic mixture of several medieval monuments at a time. Nowadays this is a universal approach, though the connection between newly-built constructions and their medieval counterparts is only limited to outward semblance. It is understandable that a copy can be very different from an original. However in our case this difference is expressed in glassiness and total neglect of artistic values. These two factors cause relevant reaction – indifference, lack of interest – in people visiting churches. When there is no creative impression provided, architecture can hardly assume any functions except the narrative, theological, conveyed by composition of religious constructions. Current situation and the necessity to develop it in a positive way require a substantial, innovative approach on the part of our professionals.

Parallel to religious architecture, intensive **urban development** starts in Georgia in early Middle Ages, when trade and artisanship are on the rise. In this period largest cities of the eastern Georgia are Mtskheta, Ujarma, Tbilisi, Rustavi, Samshvilde, Bolnisi, Cheremi; and in western Georgia there are Kutaisi, Nokalakevi, Shorapani, Skanda and others. These cities were founded in convenient geographic locations, by the side of large trade routes. All of them were provided with fortification walls and citadels. Let us take a look at principles of urban development in early medieval Georgia on the example of several cities.

The history of **Tbilisi** (this time we will only discuss its fortification structure) starts with the 4th century. Since the end of the 5th century, after the capital of the country was transferred from Mtskheta to Tbilisi by King Vakhtang Gorgasali, it retained its central function unchangingly for 1500 years. Tbilisi survived many calamities. Who knows how many times the city was destroyed and restored. The last time when Tbilisi was almost razed from the ground was during the

ოტხთა ეკლესია, X საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამნავიანი ბაზილიკა
Otkhta Church; 10th century Georgian architectural monument; three-nave basilica





ოშკის ტრიკონქის ტიპის ტაძარი (963-973 წწ.)
Tri-apse Oshki Church (963-973)

ათასი წლების განმავლობაში იცვლებოდა და ვითარდებოდა ქართველის საცხოვრებელი სახლი. სამწუხაროდ, სათანადო მასალების უქონლობის გამო, ამ ცვლილებების თვალის გადავლება შეუძლებელია. საქმე ის გახლავთ, რომ საცხოვრებელი სახლები მოცულობებით არ შემორჩენილა, ხოლო არქეოლოგების მიერ გამოვლენილი გეგმები მათზე მხოლოდ ცალმხრივ წარმოდგენას იძლევა. თანაც შემორჩენილი მასალაც იმდენად ფრაგმენტულია, რომ ერთიანი სურათი არ იქმნება.

"გლეხის დარბაზი" საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთი ტიპია, რომელმაც ათასწლეულებს გაუძლო და ჩვენამდე მოაღწია. ესაა საცხოვრებელი სახლი, სადაც გადახურვებისთვის საჭირო კონსტრუქციული გადაწყვეტა დედაბოძანა დაკავშირებული. ამ ტიპზე წერილობითი წყარო მოგვეპოვება ძვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრიდან რომაელი არქიტექტორისა და ისტორიკოსის ვიტრუვიუსის ნაშრომებში. აქ საუბარია კოლხურ სახლზე, რომელიც ფაქტიურად, პროტოტიპია გლეხური დარბაზისა. ეს ტიპი, როგორც ირკვევა, მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში იყო გავრცელებული და XX საუკუნის დასაწყისამდე აგებდნენ ამ ტიპის საცხოვრებლებს შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში.

ამ ტიპს, ჩვეულებრივ, სამცხე-საბურთალოს რაიონში "გლეხის დარბაზს" ეძახიან, რადგან იგი ძირითადად სოფლებში შენდებოდა, მაგრამ აქვე ისიც უნდა ავლინდეს, რომ ასეთი სახლები თბილისსა და ახალციხეშიც იყო აღრიცხული, კერძოდ, თბილისში აქამდე დაცული ე.წ. "ფორაქიშვილების დარბაზი".

დარბაზი, ჩვეულებრივ, გეგმით კვადრატული ან სწორკუთხაა. მისი არქიტექტურული და კონსტრუქციული მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ცენტრი გადახურულია გვირგვინით, რომლის კოჭოვანი კონსტრუქცია ეყრდნობა გარე კედლებს და შუაზე მდგარ დედაბოძს. კვადრატად დანყოფილი კოჭები ყოველი ზედა საფეხურის ცენტრისკენ წინ არის წანეული და ბოლოს, ზემოთ განიერი ერდოა დატოვებული. ამ ერდოს ორი დანიშნულება აქვს: მასში, ცენტრში მდებარე კერიდან გადის კვამლი, ამავე დროს სინათლის ერთადერთი წყაროა.

invasion of Agha Mohammad Khan in 1795. Only a small number of churches and some fragments of fortification walls survived from the fire, which are insufficient for imagining what the fortification structure of the city was. These shortages can be partially compensated by historical records, travelers' diaries and sketches. Most helpful in this regard are 18th-19th century sketches and city plans (the oldest of these was drafted by Vakhushti Bagrationi in the 18th century). Besides, there are recorded results of instrumental measurements, conducted by Russian officials in 1780's and the first half of the 19th century. All these resources provide a uniform picture, differing only in minor details.

According to old city plans and Vakhushti Bagrationi's description, old Tbilisi consisted of three parts: Kala, Seidabad and Isani.

Kala was the central part of the city. It occupied the right bank of Mtkvari and was fully enclosed in a vallum with towers. On the southern side, it started at Narikala Fortress and followed Sololaki Ridge. The wall butted against a tower (of which only the name – "Shais-takhti" survived); here it made a sharp turn, stretched along the present-day Pushkin Street, made another sweep to reach the so-called Digmis Kari, located at the junction of present-day Pushkin and Baratashvili Streets, and so continued until Mtkvari River. The fortification line then followed the riverbed until Gorgasali Square and joined the wall descending from Tsavkisi Gorge.

Kala area contained the royal palace, a cathedral, big and small squares, churches, caravan serais, trade establishments, residential houses and many other constructions. Of these, the most noteworthy is the Royal Square (present-day Erekle Square), representing a junction of central streets. Like in any other medieval city, there were numerous drinking water springs in Tbilisi.

The second part of the city – Seidabad (present-day Abanotubani) – was located to the south-east of Kala, between Tabor Mountain and Mtkvari River. This area contained Tbilisi gardens.

The third part of the city – Isani (later renamed into Avlabar) – was spread out on the left bank of Mtkvari. Kala and Isani were connected by a bridge, hung over Mtkvari in a narrow rocky place. Inside the outer fortification walls girdling Isani there was an inner fortress inside which Metekhi Church served as architectural dominant.

Apart from these three districts, there were densely populated residential quarters in the north-eastern part of the city, in Mtatsminda area and to the east of Avlabar, but they were not defended by any fortifications.

Kala, the main district of the city, was subdivided into Fortress, Palace, Bath, Goldsmith and other quarters. According to the textual description, the royal palace was very handsome. Its facades were faced with marble, and the chambers were painted, gilded and decorated with mirrors.



დარბაზის კედლებში განლაგებული თაროები და განჯინები. განჯინების და დედაბოძის ზედაპირი ჩუქურთმებითაა დაფარული. ბევრი მათგანი ხეზე კვეთის იშვიათი ნიმუშია. სილამაზისა და სიმყუდროვის გრძობა მშრომელ გლეხსაც საკმაოდ ჰქონდა განვითარებული. თავისთავად შენობა, ჩვეულებრივ ფერდობზეა მიდგმული და სითბოს შენახის მიზნით, სამი გვერდით მიწაშია შესული. თავისუფალი აქვს მხოლოდ ერთი მხარე - ფასადი, რომელზეც გამოდის შვერილ გვერდებს შორის მდებარე სვეტიბანი ღია აივანი.

დარბაზი, ე.ი. გვირგვინიანი სახლი, არ არის მარტო ქართული მოვლენა. მსგავსი კონსტრუქცია გვხვდება წინა აზიასა და აზიის ძველ ქვეყნებში. მიუხედავად იმისა, რომ დარბაზის გენეზისზე ბევრია დაწერილი, ჯერ კიდევ ჩასატარებელია სრულყოფილი გამოკვლევა.

ბანიანი სახლი, ხალხურ არქიტექტურაში გავრცელებული მინური სახურავით - **ბანით** გადახურული ერთიანი სახლი გავრცელებულია ხალხურ საცხოვრებელ სახლებში. კონსტრუქციულად შედგება მსხვილი მორებისგან, რომლებზეც დალაგებულია ლარტყები, დაფენილია ფიჩხი, დაგებულია ფიქლის ფილები და დაყრილია 15-20 სმ მიწის ფენა. მიწას, წყალგაუმტარობისთვის, პერიოდულად ქვის საგორავით ტკეპნიან.

ბანიანი სახლი მოყვანილობის მიხედვით ორ ტიპად იყოფა - გვირგვინიანი და ბრტყელბანიანი. კონსტრუქციული თავისებურების - ერთოდან განათების გამო შესაძლებელია ბანიანი სახლს ოთხივე მხრიდან მიეშენოს სხვადასხვა დანიშნულების სამეურნეო ნაგებობა - ბოსელი, საბძელი, სათონე, მარანი. შეჯგუფულ განაშენიანებაში (მთიან რელიეფზე) ქვემოთა სახლის ბანი (სახურავი), ჩვეულებრივ, ზემოთა სახლის ტერასის დანიშნულებას ასრულებს. ბანიანი სახლი ძირითადად გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთასა და ბარში, აგრეთვე კავკასიის, მცირე და შუა აზიის ზოგიერთ ხალხში.

ოდა არის სახლის ტიპი, რომელიც გავრცელებულია მესხეთ-ჯავახეთში, თრიალეთსა და დასავლეთ საქართველოში. ოდამ შეცვალა ამ რეგიონებში არსებული ძველი საცხოვრებელი და სამეურნეო კომპლექსი. სამცხე-თრიალეთსა და ქართლში დამონშებულია ე. წ. ახვრის (ახორის) ანუ ბოსლის ოდა, თაკაბიანი ოდა. ეს არის ბოსელთან ერთად მოწყობილი საზამთრო საცხოვრებელი (სასტუმრო) თავისი ტახტებით და ტორსოს კედელში ჩატანებული ბუხრით. გადახურვა კიბურ-კამაროვანია, შედგება ორმხრივ პარალელურად დაწყობილი კოჭებისგან, რომლებიც ცენტრალურ-გვირგვინულისგან განსხვავებით, შიგნით გადანაცვლების გზით ქმნიან კამარას. თაკარებიანი ოდა ახვრის ოდის არქიტექტურული სახესხვაობაა. გადახურვის კოჭები დაყრდნობილია კედლისპირა სვეტებსა და ორ თავისუფლად მდგარ ბოძზე, რომლებიც შესასვლელის ორსავე მხარეს, საცხოვრებელი სათავსის შუა ხაზზე დგას. თაკარებიანი ოდაში კოჭები ერთმანეთზე პარალელურად, საფეხურებად არის დაწყობილი („დათაკრული“). ჯავახეთსა და თრიალეთში ოდა მთავარი საცხოვრებელი სათავსი (სასტუმრო) იყო, ხოლო მესხეთში ამ დანიშნულებით („საუფროსოდ“) დარბაზს იყენებდნენ. ინტერიერის მხატვრულ-ხუროთმოძღვრული გადწყვეტის ძირითადი აქცენტი ბუხრიან კედელზე მოდის, რომელიც ზევიდან ნათდება უხილავი სარკმლით. ოდის სტრუქტურა ძველი ქართული, მიწურბანიანი საცხოვრებლის (დარბაზის) განვითარების შემდგომ საფეხურზეა ჩამოყალიბებული და დამუშავებულია **ლაზი** ოსტატების მიერ. აქ კერა ბუხრითაა შეცვლილი, მაგრამ სათავსი მაინც ინარჩუნებს ძველი საცხოვრებლის მრავალნიშანს.

ოდის განსხვავებული ტიპია გავრცელებული დასავლეთ საქართველოში: კვადრატული გეგმით აგებული, 3-6-ოთახიანი, ფანჯრებიანი ფიცრული სახლი, რომელსაც ხის აივანი და ჭერ-იატაკი აქვს. ოდას ჰქონდა ოთხფერდიანი სახურავი. გადასახურავად იყენებდნენ ყავარს და კრამიტს, იდგა ქვის ან ხის ბოძებზე. არსებობს



ბაგრატის ტაძარი. ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ქუთაისში, "უქიმერიონის გორაზე". აგებულია X-XI საუკუნეების მიჯნაზე. Bagrati church. Sample of ancient Georgian architecture in Kutaisi, in Ukimerioni Hill; built at the turn of the 11th century



Ujarma is one of the oldest and most carefully studied early medieval sites in Georgia. According to ancient historical records, Ujarma fortress was founded in the 3rd century A.D., in the pre-Christian era, by Aspatur, son of Mirdat. Ujarma is located in mid-course of Iori River. Only ruins of city citadel survive to date. The citadel consists of two parts – upper and lower quarters. Ujarma Fortress, apparently designed by a highly qualified architect, occupies a notable place among secular constructions of early Middle Ages.

Tsikhegoji, also known as Nokalakevi and Archaeopolis, was the capital of Egrisi (Lazica) in the 4th-7th centuries A.D. Tsikhegoji is located in Senaki District.

According to Leonti Mroveli, the history of Tsikhegoji starts with the 3rd century B.C. On the lower terrace of the city archaeological excavations uncovered the traces of a royal palace. The royal residence contained the main church of the city and several secular constructions. Further research of this site will surely answer many more interesting questions.

The ruins of **Urbnisi** have been carefully studied by archaeologists and historians. Archaeological excavations of this site revealed three main chronological layers belonging, respectively, to early Bronze Age, classical period and early Middle Ages, most noteworthy of which is the early medieval city wall.

In Georgian historical sources Urbnisi is listed among the oldest Georgian cities; it is said to have existed until invasion of Marwan the Deaf, but the results of archaeological research show the contrary and prove that the site was populated for some time afterwards.

A bath is one of indispensable urban facilities. Ruins of early medieval baths are found during excavations of oldest Georgian cities. Due to existence of highly comfortable natural conditions – thermal sources, Tbilisi should have contained a considerable number of such constructions. In other cities bathing water had to be heated; consequently bath houses and chambers were equipped with special boiler-rooms and heaters.

Highly interesting in this respect are the baths of Tsikhegoji (Nokalakevi), of which one was probably reserved for the royal family and the other was public. Both constructions are dated 4th-5th cc; both have been discovered during archaeological excavations. Planning of the “royal” bath is irregular; considering the available space, its architect had designed compact, conveniently connected chambers with exquisitely decorated facades. “Public” bath (also dated 4th-5th centuries) is located next to the city wall. Both bathhouses found in Nokalakevi hint at thorough knowledge of construction principles applied to such facilities.

Georgia offers a considerable diversity of architectural types, but their majority is badly damaged and often lacks research. Special attention in this regard should be paid to residential houses, royal palaces and aristocratic residences, though the quantity of surviving samples is really low. Equally frugal is information on such typically urban constructions as **markets, caravan serais, xenons**, etc.

In all medieval countries educational establishments were as important as places of religious worship. In Georgia we have two surviving **academies**, located in Gelati and Ikalto. Besides these two, in the old capital of Kakheti – Gremi, there are ruins of a 16th century construction, traditionally referred to as an academy.

In the 10th-12th centuries Georgian culture achieved a notably high level of development and maintained active relationships with the rest of Orthodox Christian world. King David the Builder consolidated this process of cultural exchange by founding a scientific-theological **academy** in **Gelati Monastery**. The monastery still preserves the academy building – a rectangular construction with a double-pitched roof. Huge 300 sq. m. hall inside the academy is generously lighted by eight large arched windows; the walls of the hall, girdled with a 0.5 meter high stone bench where the scholars could sit, were covered in stucco and painted; eastern doorway is decorated with bas-reliefs. **At the time being, the whole monastic complex of Gelati is undergoing reconstruction (architects Z. Iashvili, Sh. Japaridze, G. Sosanidze).**

According to historical sources, during the reign of David Agmashenebeli (1089-1125) there was a scientific/theological academy on the territory of **Ikalto Monastery**. The two-level academy house standing in the courtyard of Ikalto Monastery looks very imposing. Current length of the construction reaches 60 meters, but it was apparently enlarged several times. The central block of the academy has all the features characteristic of 8th-9th-century Kakhetian palaces, but the building in its present form should have been finalized in the 12th century.

The third academy should have been located in **Gremi**. This city, which served as a capital of Kakheti for some 150 years, prospered in the 16th century and if there really was an academy in this town, it should have existed in this period.

Secular architecture is the one branch of Georgian architecture which is studied considerably less than others. The level of preservation of secular constructions is extremely low, and the resulting fragmentary character of archeological research often makes it hard to reconstruct as little as a two-dimension plan of this or that construction, to put aside definition of its architectural type. Considering these constraints, we will limit ourselves to saying that the majori-



ალავერდი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი და საკათედრო ტაძარი. XI ს.
Alaverdi, Georgian architectural monument, monastery complex and cathedral; 11th century

სვეტიცხოველი ვეფლახე დიდი ისტორიული საეკლესიო ნაგებობაა საქართველოში დღემდე გადარჩენილთა შორის (მშენებლობა 1010 დაიწყო და 1029 წელს დამთავრდა).
Svetitskhoveli - the largest surviving historical religious construction in Georgia (construction started in 1010 and finished in 1029)





ნიკორწმინდა - ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, გუმბათოვანი ტაძარი. (1010- 1014 წწ.)
Nikortsinda Church (1010-1014)

ქვითკირის სართულზე (პალატებზე) გამართული ოდა, ე. წ. „პალატებიანი“ ოდა. საცხოვრებლის ეს ტიპი გავრცელდა XIX საუკუნის II ნახევრიდან და შეცვალა შუაღმრთობის, მინურიატაკიანი საჯაბლო სახლი („მუშა სახლი“, „დარბაზი“, „კათხა სახლი“, „სამზადისი“), რომელიც ახალ კომპლექსში სამზარეულო-საკუჭნაოდ გადაიქცა. ოდა სახლს საბოლოოდ ჩამოშორდა ბოსელი. ოდესღაც ერთიანი საცხოვრებელი ფართობი მოძრავი ტიხრების საშუალებით ცალკე ოთახებად დანაწევრდა; ხუროთმოძღვრულ-მხატვრულ გადაწყვეტაში უმთავრესი მნიშვნელობა შეიძინა აივანმა, რომლის განვითარებაში 3 საფეხური შეიმჩნევა: ადრეული ტიპისთვის დამახასიათებელია კვადრატული კვეთის უხვად მოჩუქურთმებული სვეტები კუთხეებში გამოყვანილი ნაშვერებით და გარშემოყოლებული მერხებით. მომდევნო ხანებში გაჩნდა მრგვალი, ჩარხზე დამუშავებული სვეტები, თაღოვანი კარ-ფანჯრები, გაქრა მერხები. განვითარების ბოლო საფეხურზე ბოძები შემსუბუქდა და რამდენიმეკუთხოვანი ფორმა დაუბრუნდა; ფიცრული აივანი აჟური, იმკობა სვეტების ზედა ნაწილი, ჩნდება ფიცრული აჟური. საცხოვრებლის ეს ტიპი დღესაც ფართოდ არის გავრცელებული დასავლეთ საქართველოში.

საცხოვრებელი სახლის სხვა სახეები უკეთაა მოღწეული მთიანი საქართველოს ზოლში. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ მათში აშკარად ჩანს მრავალფეროვნება, რისი საფუძველიც ადგილობრივი კონკრეტული პირობებია.

ამ სახლთა უმრავლესობა ორ ფუნქციას ასრულებდა: პირველი და მთავარი იყო საცხოვრებელი ფუნქცია, ხოლო მეორე - თავდაცვითი. ასეთი შენობების წარმოშობა განპირობებული იყო საერთო პოლიტიკური სიტუაციით. იმ ეპოქაში საქართველოს არა მარტო დამპყრობი სახელმწიფოები ან უხებდა, არამედ კავკასიის მთების მიღმა მცხოვრები ხალხები - ლეკები, ინგუშები, ოსები, ჩეჩნები და ასობით სხვა გადამთიელი. მათ ქვეყნის დაპყრობის არც სურვილი და არც შესაძლებლობები არ ჰქონდათ. რისი ნაღებაც შეიძლებოდა მიჰქონდათ და ცოცხალსაც იტაცებდნენ.

კავკასიონის სამხრეთის ზოლში, თუშეთიდან სვანეთის ჩათვლით, საცხოვრებელი სახლების არაჩვეულებრივი მრავალფეროვნებაა. მაგალითების მოყვანას დავინწყებთ სვანეთიდან.

სვანური კოშკი - გავრცელებული თავდაცვითი ნაგებობა, ჩვეულებრივ 20-25 მეტრი სიმაღლის. შედგებოდა 4-5, ან იშვიათად ექვსი სართულისგან. ქვედა სართული, რომლის კედლები 1,5 მეტრამდე სისქისაა, მეტწილად ყრუა, შესასვლელი მეორე სართულის დონეზეა მოწყობილი. სიმაღლეში კოშკი ვიწროვდება და კედლების სისქეც 0.7 - 0.8 მეტრამდე მცირდება. სართულები შიგნით ერთმანეთთან გადასატანი ხის კიბეებითა დაკავშირებული. გვირგვინით დასრულებული კოშკის უკანასკნელ სართულზე მოწყობილია საბრძოლო ბაქანი. გადახურულია ორფერდა სახურავით. აღჭურვილია სათოფურებით. სვანურ კოშკს აგებდნენ რიყის ქვით, იყენებდნენ ფიქალსაც. კოშკებს გარედან ლესავდნენ იშვიათი სი-



მტიციის ბათქაშით. სვანური კოშკი ან საცხოვრებელ სახლთანაა დაკავშირებული (მურყვამი ანუ კოშკიანი სახლი), ან ცალკე დგას.

სვანური ციხე-სახლი - საცხოვრებლის ერთ-ერთი სახე სვანეთში, კოშკისებრი საცხოვრებელი ნაგებობაა, რომელსაც თავდაცვითი ფუნქცია ეკისრება. სვანური კოშკისგან განსხვავებით, ციხე-სახლი უფრო დაბალია და მასიური. შედგება სამი სართულისგან. პირველი სართული ადამიანთა საცხოვრებლად და საქონლის სადგომად გამოყენებული, II სართული სამეურნეო დანიშნულებისაა და მასზე ასასვლელად კედელში დატანებულია ქვის კიბე. მესამე სართული ბანია და თავდაცვითი დანიშნულება აქვს.

დუროიანი სახლი წარმოადგენს ქვიტიკირის ნაგებობას და ფორმით სვანურ კოშკს მოგვაგონებს, თუმცა სვანურ კოშკთან შედარებით, დაბალია და ოთხ სართულს არ აღემატება. დუროიანი ციხე-სახლში შერწყმულია საცხოვრებლის და კოშკის ფუნქციები. ციხე-სახლის ქვედა სართულზე ბოსელი ყოფილა, მეორეზე - საცხოვრებელი; მესამე სართულზე ოჯახის ნამრავლს ათავსებდნენ, ხოლო მეოთხე სართული საკუჭნაოს წარმოადგენდა. ბოლო სართულს ოთხივე კედელზე დატანებული ჰქონდა ოთხ-ოთხი თალიანი და ჭუჭრუტანიანი დურო-სათოფური. დურო, არა მარტო სათოფურს წარმოადგენდა, არამედ ქარისა და წვიმისაგან დაცულ სარკმელსაც - მათგან საცხოვრებელში სუფთა ჰაერი და სინათლე შედიოდა. დუროიანი სახლი გადახურული იყო ფიქალო ქვებით. ზოგ სახლს მიშენებული ჰქონდა კიბე, ხორბლის საშრობი, ანუ საფიცობელი, ბელელი და სხვა...

ქველბურ დუროიანი სახლში კერა იყო გამართული. კერაზე დაგებული ყოფილა ბრტყელი ფილაქანი, თავთან მიყუდებული მოგრძო, შუაში ამოკვეთილი ქვით, რომელსაც ქვა-კერა ეწოდებოდა და რომელსაც ორივე ბოლოზე ამოკვეთილი ჰქონდა მზის სიმბოლო.

მრავალთა შორის საინტერესოა საცხოვრებელი კოშკების ნიმუშები ხევსურეთიდან.

შატილის დასახლება თავისთავად საოცრებაა არა მარტო ამ რეგიონისთვის არამედ მთელი საქართველოსთვის. იგი ადამიანთა შემოქმედების უნიკალური ნაწარმოებია. ესაა იმის მაგალითი, თუ რა შეუძლია გამოიწვიოს განსაკუთრებულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ და გეოგრაფიულმა თავისებურებამ. აქ მცხოვრებთ წინააღმდეგობა უნდა გაენიათ ჩრდილოეთიდან მოძალეებული მტრისთვის, ამისთვის კი მათ მაქსიმალურად წარმატებული ვარიანტი აურჩევიათ.

სახლები ისე მჭიდროდ დაუდგამთ, რომ მათ შორის თავისუფალი ადგილი არც რჩება, ამიტომ ერთი შენობის ბანი, ზემოთ მდგარის ეზოა და ა.შ. სახლებს შორის დარჩენილი ვიწრო ბილიკებით, "დაკიდული გზებით" და ტერასებით მთელი სოფელი შეიძლება მოიაროთ. ოთხ, სამ და ორ სართულიანი შატილის სახლები არაა ჩვეულებრივი სახლები, ისინი "ციხე-სახლები" (გვაგონებს თუმეთ-ინგუშეთის ციხე-სახლებს), ანუ "ციხე-კოშკებია", მთელი სოფელი ციხეა. ამიტომაც არ შეეცდებით, თუ მას "ციხე-სოფელს" ვუწოდებთ. შატილი შუა საუკუნეების ძეგლად მიიჩნევა, თუმცა აქ არის უძველესი ისტორიული ძეგლები, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2000 წლითაა დათარიღებული.

ასევე განსაკუთრებით აღსანიშნავია **ქაჩუს** იგივე **თხორუს** ციხე. მას, სავარაუდოდ, ადრეფეოდალურ ხანას მიაკუთვნებენ. 1970-იანი წლებში დაიწყო შატილის რესტავრაცია-ადაპტაცია (არქიტექტორები თ. აბრამიშვილი, ნ. მინდორაძე, ი. შარაშენიძე).

ციხე-სახლები პირდაპირი პირმშოა იმ პოლიტიკური და ეკონომიური სიტუაციებისა, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ გვიან საუკუნეებში, საერთოდ. წარმოიშვა ციხე-სახლების სხვადასხვა სახე. აღნიშნულის გარდა, ერთი თავისებური სახე შეიქმნა კახეთში. აქ საცხოვრებელმა შეითვისა მარანი და ორივე ერთად თავდაცვითი გახდა და ეს არცაა გასაკვირი, რადგან კახეთის ცხოვრება ვაზთანაა დაკავშირებული, ამიტომ ცხადია სახლიც და მარანიც ერთად უნდა ყოფილიყო დაცული. არავინ იცის, თუ რამდენი ასეთი შენობა იყო XVIII საუკუნეში, ჩვენამდე კი სამმა მოაღწია. მათგან თარიღი ახლავს მხოლოდ ერთს, ესაა ზემო ხოდაშენში მდებარე ფილოთეოსის მონასტრის ანსამბლში შემავალი "მარანი ციხით"; მეორე ასეთი შენობა დგას რუისპირში, ხოლო მესამე - ახმეტაში. სამივე შენობა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ჩანს აგებული.

როგორც ზემოთ ავლინებთ აბანოები საქართველოს ორივე ნაწილში გავრცელებულია ჯერ კიდევ გვიანანტიკურ-ადრეფეოდალურ ხანაში, მაგრამ მათი მშენებლობა წყდება არაბების შემოსევის შემდეგ და გვიან საუკუნეებამდე ერთადერთია ქალაქ დე-



ბოჭორმა. ანსამბლი - X-XVIII სს
Bochorma ensemble (10th-18th centuries)

ty of constructions in western Georgia were wooden, which made them short-lived; as regards the few stone constructions, they were built with clay, and this did not contribute to their longevity either. As regards eastern Georgia, the surviving constructions are only stone and brick, though there is a minor quantity of adobe buildings as well.

During its history, Georgia changed several capital cities. At the early stages of independent statehood, the center of eastern Georgia – the Kingdom of Iberia – was Mtskheta. The ancient capital of western Georgia – Colchis – is still unknown. Later on, in the Middle Ages, the center of Iberian Kingdom moved to Tbilisi, while the capital of Egrisi (Lazica) was Tsikhegoji, a.k.a. Nokalakevi, referred to as Archaeopolis in Byzantine sources. Tbilisi did not preserve the royal palace of this period, while in Tsikhegoji there are remains of two palaces, dating back to the 4th-8th centuries. All through the Middle Ages Tbilisi used to be the capital of feudal Georgia, the residence of its kings. There should have been a number of royal palaces built during this period, but all of them were destroyed by invasions. The most recent palace(s) was (were) probably demolished during Agha Mohammad Khan's campaign. Apart from the royal palace, there should have been aristocratic residences of the nobility in the city, but no such constructions survived.

More than one royal residence should have been built in Kutaisi; however, none of these reached our time.

On the whole territory of Georgia there are only two medieval royal residences preserved – Geguti and Nadarbazevi. Both are significantly damaged.

Geguti Palace is 5 kilometers far from Kutaisi, in the vicinity of Geguti Village. The extent to which construction is damaged, makes it very hard (though not impossible) to retrieve information about its structure and history. Ruins of the palace show that it should have been inhabited until the late Middle Ages. The building should have stood on a 3-meter base and faced with stone on the outside. The palace was built with brick and roofed with blue and dark green glazed tiles.

The number of surviving **feudal castles** is comparatively larger, but the ones located in Kakheti are researched much better than the others. Comprehensive idea on feudal castles situated in this region can be formed by studying such sites as **Kvetera**, **Vachnadziani**, **Vanta**, **Velistsikhe**. Basically, their architecture does not much differ from medieval bishops' residences in Nekresi and Cheremi. These 8th-9th century castles with sunken roofs and bare walls are, in fact, uniform in their architectural solution. The most remarkable of these common traits is that all these constructions are two-level. The lower story should have been used for utility purposes, while the upper level contained reception halls and apartments. The upper story was as a rule considerably higher than the ground floor. Speaking of the common features, we should also note that fireplaces in the castles are especially high and wide, which is not typical for late Middle Ages (see Kvetera and Vachnadziani Castles).

The fact that no other Georgian castles built in late Middle Ages, lasted until present day, makes **Gremi Castle** unique. For 150 years starting with 1466 Gremi was the capital of Kakheti. It was destroyed by Shah Abbas I and did not restore afterwards. One of the most interesting parts of the palace is a large open pavilion with the roof rested on pillars and a large pool with hexagonal niches standing in the center. This pavilion, overlooking the river, must have been a very pleasant place in summertime. This construction and the decorative pool arranged in the second Gremi palace show clear influence of Iranian culture.

Architecture of Georgian **residential constructions** kept changing and developing for several thousands of years. Unfortunately, lack of evidential



ნისის აბანო.

გვიან საუკუნეების აბანოებიდან შეიძლება ჩამოვთვალოთ: თბილისში ე.წ. "როსტომის აბანო", თელავში ე.წ. "ერეკლეს აბანო", გრემის, სამშვილდეს, ხერთვისის, ქვემო ჭალის, ახალგორის, ნიჩბისის, მძოვრეთის და სხვა აბანოები. ეს აბანოები ზომებით, სათავსო განლაგებით და ზოგიერთი დეტალით განსხვავდება ერთმანეთისგან, ხოლო მათი გათბობის სისტემა ერთ პრინციპზეა აგებული. იგი შედგება შემდეგი მონაკვეთებისგან: გასახდელ-მო-საცდელი, ცივი, თბილი, ცხელი სააბაზანოები და საქვაბე. აბანო შენდება ქვით ან აგურით. ხშირია შემთხვევა, როცა ორივეა გამო-ყენებული.

ფეოდალურ საქართველოში აბანო მაღალი ფენების დაკვეთით შენდებოდა და თვითონვე იყენებდნენ. დღემდე მოღწეული აბანოების უმრავლესობა ფეოდალთა რეზიდენციების შემადგენლობაში შედის. ხოლო, რაც შეეხება ქალაქებს - ცხადია, აბანო მეფეთა სასახლესთანაც იქნებოდა და დიდ ფეოდალთა რეზიდენციებთან, მაგრამ უნდა ყოფილიყო მოქალაქეთათვისაც. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა ნაქალაქარი გრემი, სადაც გამოვლინდა ორი აბანო. ერთი აბანო დგას მეფე-დიდებულთა უბანში, ხოლო მეორე - ქალაქის სავაჭრო უბანში. ამ აბანოებთან დაკავშირებით საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ მეფე-დიდებულთა უბანში მდგარი აბანოს იატაკი ოდნავაა გაცვეთილი, ხოლო მეორეში - თითქმის ბოლომდე. გრემი ხომ დიდი სავაჭრო ცენტრი იყო, აქ ხალხმრავლობა გახლდათ.

ქარვასლა, ბაზარი - ეს ორი ნაგებობა ვაჭრობასთანაა დაკავშირებული, ამიტომ შეიძლება ერთად განვიხილოთ, რადგან ეს საკითხები შეუსწავლელია და ძეგლებიც მცირედაა მოღწეული.

ანტიკურ და ფეოდალურ ეპოქებში ქარვასლა და ბაზარი ძირითადად დამახასიათებელი იყო ქალაქებისთვის. განსხვავება ალბათ იმაში იყო, რომ დიდ ქალაქში უბნების მიხედვით, რამდენიმე ბაზარი შეიძლება ყოფილიყო, პატარა ქალაქს კი ერთიც ეყოფოდა.

ადრეული თუ შუა პერიოდის ნაქალაქარებზე აშკარად გამოვლენილი არ ყოფილა ქარვასლა და ქულბაქები, ამიტომ აქ მოვიხსენიებთ მხოლოდ გვიანი პერიოდის ქალაქ გრემის მაგალითს.

ბაზარი ისიც დახურული, ნაქალაქარ გრემში შემორჩა. ნაქალაქარზე სავაჭრო უბნის ცენტრში მდებარე ნანგრევებს ახლაც "ქულბაქებს" ეძახიან. ქულბაქი სპარსულად სავაჭრო სახლს ნიშნავს. ეს ტერმინი IX საუკუნიდან შემოდის. XIV-XV საუკუნეებიდან ქულბაქს დუქანი ცვლის, მაგრამ კარგა ხანს ეს ორი ტერმინი

material prevents us from tracking these changes. The problem is that no actual houses survived, and the two-dimensional plans, retrieved / reconstructed by architects, only make it possible to form a one-sided impression. Besides, the materials preserved are so scanty that it is impossible to bring back a comprehensive picture.

"Rustic darbazi" is one of house types, which lasted through millennia and reached our day. In this construction the roofing issue is solved with the help of "dedabodzi" (main, central pillar). First mentions on this architectural type can be found in the notes, written by Roman architect and historian Vitruvius in the 1st century B.C. In his manuscript Vitruvius describes Colchic houses – a historical prototype of "rustic darbazi", which remained popular all through the Middle Ages and used to be built in Shida Kartli and Samtskhe-Javakheti up to the beginning of the 20th century. In both of the mentioned regions several dozens of darbazi-type houses have been discovered and studied.

Expression "rustic darbazi" designating this architectural type, was chosen because such houses were mainly built in rural areas. However, existence of similar constructions is also noted in Tbilisi and Akhaltsikhe – e.g. in Tbilisi there still exists the so-called "Porakishvili darbazi".

The plan of darbazi-type houses is square or rectangular; the center of darbazi has corbel dome, the support construction of which rests on outer walls and a centrally positioned support post (dedabodzi). Each next layer of beams, arranged in the shape of a square, is slightly drawn in toward the center; the top layer leaves open a wide oculus, letting out the smoke and providing the only source of daylight to the interior.

Darbazi walls are lined with shelves and cupboards. Vertical surfaces of wooden cupboards and the central support pillar are covered in patterns, many of which represent rare samples of wood carving. Such houses were usually built on sloping land and dug into the earth on three sides order to better preserve heat. The only overground side was main facade with an open balcony.

Darbazi (crowned hall) is not a uniquely Georgian architectural type. Such constructions can also be found in west-Asian countries. However, in spite of intensive scientific research, the origin of darbazi type houses has not yet been discovered.

20-30-იან წლებში იყო სერიოზული ცდები ისტორიული არქიტექტურის მოტივების გამოყენებისა. მან გამოვლინება ჰპოვა მთელ რიგ მოცულობებში; 1929 წელს არქიტექტორ ნ. სვეეროვის პროექტით შესრულდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფასადის რეკონსტრუქცია, 1938 წელს - ფუნიკულორის ზედა სადგური (არქიტექტორები: ზაქარია და ნადეჟდა ქურდიანები). მისი არქიტექტურა ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორიაში სამართლიანად იხსენიება ამ ეტაპისათვის დამახასიათებელ, მხატვრული ღირსებებით გამორჩეულ საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებთან ერთად. 1972 წელს ჩატარდა ფუნიკულორის პირველი რეკონსტრუქცია. პროექტის ავტორი იყო ზაქარია და ნადეჟდა ქურდიანების ვაჟი, არქიტექტორი, ალექსანდრე (ალიკო) ქურდიანი. ჩვენს დღევანდელობაში დანაშაულები შენობის ძირეული სარეკონსტრუქციო-მოსამზადებელი სამუშაოები. რეკონსტრუქციის პროექტის ავტორია ზაქარია და ნადეჟდა ქურდიანების შვილიშვილი - არქიტექტორი, ზაქარია ქურდინი.

1937 წელს, არქიტექტორ არჩილ ქურდიანის პროექტით იქმნება თბილისის "დინამო"-ს სტადიონი. 60-70 წლებში არქიტექტორები - არჩილ ქურდიანი, გია ქურდიანი, კონსტრუქტორი შალვა გაზაშვილი გვევლინებიან, როგორც „დინამო“-ს სტადიონის რეკონსტრუქციის პროექტის ავტორები, ხოლო გია ქურდიანი პროექტის მთავარი არქიტექტორია. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ძველი "დინამო"-ს სტადიონის იძულებითი დანგრევა, იყო არჩილ ქურდიანის ოჯახის შემოქმედებითი ტრაგედია, მაგრამ, ამასთან ერთად, ეს იყო ახალი დიდი შემოქმედებითი წარმატების მაუწყებელი - ახალი "დინამო"-ს სტადიონის ტრიუმფალური გახსნა. (ამჟამად ნაგებობა რეკონსტრუირებულია, არქიტექტორების, გია და არჩილ-უმცროსი ქურდიანების მიერ).


გავლენით შენდება რამდენიმე ნაგებობა: 1930 წელს - საქართველოს სსრ კვ ცკ-ის შენობა (ამჟამად მთავრობის სახლი; არქიტექტორი ნ. სვეეროვი), 1938 წელს - გაზეთ "ზარია ვოსტოკას" რედაქციის შენობა (არქიტექტორი, დ. ჩისლიევი) და სხვა. კლასიკური რეპერტუარია გამოყენებული რამდენიმე ისეთი დიდი ობიექტის არქიტექტურაში, როგორცაა, ცირკის შენობა (1940 წ. ავტორები: ნ. ნებრინცივი, ს. სატუნცი, ვ. ურუშაძე), თსუ-ის მეორე კორპუსი (1940 წ. არქიტექტორი. მ. შვიცილი) და სხვა. ამ ხანის შემოქმედებითი ძიების მაგალითია ორი მნიშვნელოვანი ნაგებობა - საქართველოს მთავრობის სახლის ზედა კორპუსი (1938 წ. ავტორი: ვ. კოკორინი, თანაავტორი გ. ლეჟავა) და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალი (არქიტექტორი. ა. შჩუსევი). მიღწევებთან ერთად უკვე 30-იანი წლების II ნახევარში თბილისის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ნაგებობების არქიტექტურაში თავს იჩენს მონუმენტალობით, მორთულობით გატაცება, ე.წ. "სტალინისტური არქიტექტურა", რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია - მეცნიერებათა აკადემიის შენობა. ამ ტენდენციამ მეტი განვითარება ჰპოვა თბილისის 40-იანი და 50-იანი წლების I ნახევრის არქიტექტურაში.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1948-1952 წწ. შედგა თბილისის მეორე გენერალური გეგმა (არქიტექტორები: ზაქარია ქურდიანი, ვ. ზოლოტუხინა, ეკონომისტი ვ. ნეფედოვი, თანაავტორები ა. ანდრიძე, ი. კოჩინევა, ბ. მამინაიშვილი, ნ. მიქაძე, ე. ნუცუბიძე, მ. ჯაფარიძე). ქალაქთმშენებლობაში ჩატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები: შეიქმნა მარჯანიშვილის სახელობის მოედანი (40-იანი წწ. მინურული); გაყვანილ იქნა განივი მაგისტრალები - ვარაზისხევი, გურამიშვილის ქუჩა (50-იანი წწ.). 70-იან წლებში მთავრდება მტკვრის ორივე ნაპირის გასწვრივ მაგისტრალური ქუჩების გაყვანა და გამწვანება, აეროპორტ-თბილისის ავტოტრასის მშენებლობა (არქიტექტორები: ე. ბახტაძე, შ. ყავლაშვილი), მეტეხის პლატოს ქვეშ ორგვირაბიანი საავტომობილო ტრასის გაყვანა (1975, ინჟ. ქებულაძე, არქიტ. ვ. ბახტაძე, რ.





ძველი თბილისის ხედები XIX ს.
Views of old Tbilisi (19th century)



კიკნაძე, შ. ყავლაშვილი) და სხვა. გაშენდა გამარჯვების პარკი (საფუძველი ჩაეყარა 1945 წელს, ავტორები: ქ. დგებუაძე, ე. ციცი-შვილი.), დაიწყო ხელოვნური წყალსაცავის ე. წ. "თბილისის ზღვის" გარშემო ტყე-პარკის, დასვენების ზონის მოწყობა. გაიზარდა თბილისის ტერიტორია - მთლიანად ათვისებულია ვაკის, საბურთალოს, მცირე დიღმის, მთავრდება ღრმალელის, ავჭალის, ფონიჭალის, დაწყებული ვარკეთილის, გლდანის, ავშნიანის, ბაგებისა და სხვა ტერიტორიების განაშენიანება.

ომის შემდეგ, 10 წლის განმავლობაში გრძელდებოდა ინდივიდუალური პროექტებით საცხოვრებელი სახლების მშენებლობა - ჭავჭავაძის გამზირზე (1954 წელს, ავტორი, ქ.სოკოლოვა-ფორაქიშვილი), ორი სახლი კამოს ქუჩაზე (1955 წელს - არქიტექტორ მ. მელიას პროექტით, ხოლო 1964 წელს, არქიტექტორების - გ. მელქაძის, ლ. ხარაშვილის, შ. ყავლაშვილის პროექტის მიხედვით), ნიკოლაძის ქუჩაზე (1949 წ. ავტორი, ა. მიმინოშვილი), ორი სახლი მარჯანიშვილის მოედანზე (1947 - 1948 წწ, ავტორი, მ. მელია) და სხვა.

გრძელდებოდა შემოქმედებითი ძიება ქართული ისტორიული არქიტექტურის გამოყენების მიზნით: ყოფილი ზოოვეტერინარული ინსტიტუტის (1954 წ, არქ. ს. რევიშვილი) და კავშირგაბმულობის სახლის (1954 წ, არქ. ი. ჩხენკელი) ფასადების რეკონსტრუქცია, ადმინისტრაციული სახლი რუსთაველის გამზირზე (1958 წ. არქ. ვ. ჩხეიძე, მ. ჩხიკვაძე) და სხვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის სახლის მთავარი კორპუსი (1953 წ. არქ. ვ. კოკორინი, გ.ლეჟავა)

1950-იანი წლების II ნახევრიდან საცხოვრებელი სახლების მშენებლობა დაიწყო ძირითადად დიდ, თავისუფალ ტერიტორიაზე; განაშენიანება ხდება ტიპობრივი პროექტებით, ინდუსტრიული მეთოდებით. ასაწყობი კონსტრუქციებით განაშენიანდა საბურთალო (ავტორები: ა. ბაქრაძე, დ. გრძელიძე, ი. და შ. ყავლაშვილები), დიღომი (ავტორები: ნ. მიქაძე, ი. მოსულიშვილი, ი. ჩხენკელი), გლდანის საცხოვრებელი მასივი (ავტორები თ. ბოჭორიშვილი, ბ. გელდიაშვილი). და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდის არქიტექტურა, იშვიათი გამონაკლისების გარდა, განსაზღვრულ სტანდარტებს იყო მორგებული შეიძლება დასახელდეს მთელი რიგი შენობებისა, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა. მაგალითად, არქიტექტორ გოგი ჩახავას ორიგინალური პროექტი, რომლის მიხედვითაც დიღომში ხიდების და გზების პროექტირების ყოფილი სამმართველო აშენდა. სხვათა შორის, ეს იყო საბჭოთა პერიოდის ერთადერთი შენობა, რომელიც შევიდა კატალოგში, როგორც მსოფლიო ნოვატორული იდეა. დახვეწილი არქიტექტურით გამოირჩევა ასევე ყოფილი შრომის სასახლე (არქ. რევაზ ბაიარაშვილი), სადაც ამჟამად ქალაქის მერია განთავსდა და, რა თქმა უნდა, თბილისის ფილარმონია, რომლის ავტორი არქიტექტორი ვანო ჩხენკელი გახლავთ (კონსტრუქტორი შ. გაზაშვილი); სპორტული და თეატრალურ-სანახაობითი სასახლე (1961 წ., არქ. ვ. ალექსი-მესხიშვილი, ი. კასრაძე, ინჟ. დ. ქაჯაია, თ. ჭანჭალაიშვილი). ამ პერიოდში აშენებულ რამდენიმე საცხოვრებელ სახლსაც აქვს არქიტექტურული ღირებულება.

საბჭოთა წყობილების უკანასკნელ სამ ათწლეულში (60-80-იანი წლები) აშენდა: ადმინისტრაციული სახლი - "ცეკავშირის" (1971 წ., არქიტ. გ. მელქაძე, ნ. ქვარცხავა), საქართველოს მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პავილიონები (1971 წ, არქიტ. ლ. მაშალაძე, ვ. ნასარიძე, ჯ. პაპინაშვილი, ვ. ფიქრიშვილი), ჭადრაკისა და ალპური კლუბი (1973 წ., არქიტ. ვ. ალექსი-მესხიშვილი, გ. ლუდუშაური); სასტუმროები - "კოლხეთი" (1962 წ, არქიტ. თ. თევზაძე, ნ. ჯობაძე), "ივერია" (1967 წ, არქიტ. ო. კალანდარიშვილი, ი. ცხომელიძის მონაწილეობით), "აჭარა" (1975 წ., არქიტ. მ. მელია, კონსტრ. თ. ჭანჭალაიშვილი); სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დაწესებულებები - სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (1967 წ., არქიტ. ვ. ალექსი-მესხიშვილი, გ. გაბაშვილი), უნივერსიტეტის ახალი კორპუსი (1968 წ., არქიტ. ს. ბეჟანოვი, შ. კაჭკაჭიშვილი, მ. შავიშვილი, მ. შუბლაძე), ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის, მეღვინეობისა და სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები (1967 წ., არქიტ. თ. ალავერდაშვილი, მ. კაკაბაძე), მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა (1969 წ., არქიტ. გ. ლეჟავა, ი. ლიბერმანი), მათემატიკის ინსტიტუტი (1970 წ., არქიტ. გ. ლეჟავა, ვ. ცუხიშვილი) და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი (1975წ., არქიტ. ლ. კილაძე); სამკურნალო დაწესებულებები - კურორტოლოგიის ინსტიტუტი (1958 წ., არქიტ. ი. ზაალი-



architects Z. Kurdiani (he was very young – only 24 years – when he received this complex and important assignment) and G. Gogava in cooperation with Kharkov-based architect I. Malozemov and economist G. Sheleikhovski.


Under the influence of changes in social life there appeared new types of buildings in Tbilisi architecture – workers' clubs, kindergartens and day nurseries, cultural and recreation parks, etc. Complex planning and construction of residential quarters started; large apartment blocks were built in the beginning of Rustaveli Avenue (1939; architects M. Melia, A. Kurdiani, S. Kubaneishvili), in Baratashvili Street (1941; architects S. Demchineli, A. Kurdiani, G. Jandieri) and in Gmirta Moedani (1939; a block of 100 apartments with an 11-level tower, designed by architect M. Kalashnikov – this was the first construction in USSR built with application of mobile wooden moulds).

In the 1920'ies-1930'ies there were serious attempts at application of historical architecture. These motives got reflected in a number of projects, e.g. reconstruction of Georgian State Museum facade in 1929 according to architect N. Severov's design, upper terminus of the Funicular, designed by architects Zakaria and Nadejda Kurdiani and built in 1938. In history of Georgian Soviet architecture this construction is justly recognized as one of the prominent architectural monuments of that time. The first reconstruction a building have spent in 1972. the Author of the project was the son of Zakaria and Nadejda Kurdiani - architect Aleksandre (Aliko) Kurdiani. Nowadays this building is reconstructed; author of reconstruction project is the grandson of Zakaria and Nadejda Kurdiani – architect Zakaria Kurdiani.


In 1937 Tbilisi Dinamo Stadium was built according to Archil Kurdiani's project. In the 1960'ies-1970'ies architects Archil Kurdiani, Gia Kurdiani and engineer-constructor Shalva Gazashvili designed reconstruction project for the same stadium. It should be noted that demolition of old Dinamo Stadium was a tragedy for the family of Archil Kurdiani, though this tragedy bore in itself seeds of imminent success – triumphal launching of new Dinamo Stadium (at the turn of the 21st century Dinamo Stadium underwent one more construction implemented by architects Gia Kurdiani and Archil Kurdiani Jr.).

Several constructions are built in Tbilisi under the influence of constructivism: Headquarters of the Central Committee of Communist Party of Georgian SSR (1930; architect N. Severov; present-day Government House), editorial house of "Zarya Vostoka" Newspaper (1938; architect D. Chisliev), etc. Classical style is applied to several large constructions like the Circus (1940; project designed by N. Neprintsev, S. Satunts, V. Urushadze), 2nd block of Tbilisi State University (1940; architect M. Shavishvili), etc. Two landmarks of this period are the upper block of Government House (1938; author V. Kokorin, co-author G. Lezhava) and Tbilisi Branch of Marxism-Leninism Institute (architect A. Schusev). Apart from other stylistic features, architecture of residential and public constructions built in Tbilisi in the second half of the 1930'ies shows considerable inclination toward monumentalism, bulky volume, imposing decorations – so-called "Stalinist style", one of the best samples of which is the Academy of Sciences. This tendency became still more noticeable in the 1940'ies and the first half of 1950'ies.

After the end of World War II, in 1948-1952, the second master plan of



ფუნიკულორის ზედა სადგური, თბილისი 1938 წ.
Upper terminus of Tbilisi Funicular, 1938



ნარიკალა
Narikala Fortress



თბილისი
Tbilisi



თბილისი დღეს, რუსთაველი გამზირი
Present-day Tbilisi; Rustaveli Avenue



თბილისი დღეს, მრავალბინიანი საცხოვრებელი
Present-day Tbilisi; Residential complex



შვილი), 1200-ადგილიანი რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო (1974 წ. არქიტ. ვ. ალექსანდროვი, შ. კაჭკაჭიშვილი, გ. კვიციანიანი, ა. უსკოვი), ოტოლარინგოლოგიური კლინიკა (1975 წ., არქიტ. ვ. აბრამიშვილი, გ. მირიანაშვილი, ლ. ჯანდიერი); სატრანსპორტო ნაგებობანი - ფუნიკულიორის ქვედა სადგური (1971 წ. არქიტ. გ. ბათიაშვილი, ტ. ქუთათელაძე, მხატვარი ვ. ქოქიაშვილი), ავტოვაგზალი (1973 წ., არქიტ. რ. კიკნაძე, შ. ყავციანიანი, ვ. ქურთიშვილი, მხატვარი ზ. ნერეთელი); უნივერსალი "თბილისი" (1975 წ., არქიტ. რ. ბაირამაშვილი, დ. მორბედაძე, ლ. მემარიაშვილი, თანავტორი ბ. გორდენიანი) და სხვა.

II მსოფლიო ომის შემდგომ წლებში ქართულმა სუროთმოდერებამ მხარი აუბა კულტურის საერთო აღმავლობას. დიდი სამუშაოები ჩატარდა ქვეყნის სხვა ქალაქების რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობისათვის. ომის წლებში შეწყდა თბილისიდან 9 კმ-ის დაშორებით დაწყებული მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა. 1944 წელს, იგი განახლდა ახალ ტერიტორიაზე, რუსთავში, თბილისიდან უფრო მოცილებით. ამ ტერიტორიის შერჩევას მნიშვნელოვანი იყო ზაქარია ქურდიანის წვლილი. პროგრესული ქალაქგეგმარებითი პროექტით მან, ნადევდა ქურდიანთან ერთად, შეძლო დაესაბუთებინა ახალი ქალაქისათვის შერჩეული ტერიტორიის ვარგისიანობა. რუსთავის ადმინისტრაციული ცენტრის და სამოსახლოს პირველდაგეგმარების ქალაქგეგმარებითი იდეა ახლა უკვე განხორციელებულია. საინტერესოა ამ პერიოდში შემუშავებული საქართველოს ძველი დედაქალაქის მცხეთის ახალი გენერალური გეგმა (არქიტ. ე. ბაგრატიონი, 1970 - 1972 წწ). არქიტექტურა კიდევ უფრო აქტიურად ჩაება პრაქტიკული ამოცანების განხორციელებაში. საქართველოში ფართოდ გაიშალა საბინაო მშენებლობა ტიპური პროექტებით. ამ პროექტების შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვით არქიტექტორებს ზ. ქურდიანს, ს. რევიშვილს, გ. თავდგირიძეს და დ. ჩოფიკაშვილს. აშენებული სახლების სართულების გაზრდამ (სახლები 8-სართულიანი გახდა) შეცვალა მათი არქიტექტურული იერი. 60-იანი წლების ბოლოდან სართულიანობა გადიდა 14 სართულამდე.

ფართოდ გაიშალა საკურორტო მშენებლობა. ბიჭვინთაში აიგო პანსიონატის ახალი მაღლივი შენობები. ფართო მასშტაბით მიმდინარეობდა გაგრის, ქობულეთის, ბორჯომ-ლიკანის, ბაკურიანის, წყალტუბოს განაშენიანების სამუშაოები.

კურორტი წყალტუბო ფაქტიურად საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაშენდა. არქიტექტორების ლ. მელეგის, გ. ხიმშიაშვილის, ა. ინწკორველის, ი. ზაალიშვილის, ვ. ჩანტლაძის, ვ. ნასარიძის, ვ. კედიას, ნ. სოლოვიოვას, ლ. ჯანელიძის, ვ. მესხიშვილის, თ. ფოცხიშვილისა და სხვათა პროექტებით აქ აიგო არაერთი სანატორიუმი. სამრეწველო არქიტექტურაშიც შემუშავდა ტიპური პროექტები, რომელთა მიხედვით განხორციელდა 15 ჩაის ფაბრიკის მშენებლობა (არქიტექტორები ა. სულაქველიძე, თ. გაბუნია, რ. ივანოვი; ინჟინრები ი. ლოლობერიძე, ი. სერებრიანსკი, გ. ნარსია და სხვ.).

მუშაობა წარმოებდა სოფლის არქიტექტურის განვითარებისათვის. "საქსასოფლპროექტი", რომელსაც წლების მანძილზე ნადევდა ქურდიანი თაოსნობდა, უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით დამუშავდა 200-მე პროექტი. აშენდა კულტურის სახლები, კლუბები, კოლმეურნობათა ადმინისტრაციული შენობები, ელექტროსადგურები და ა. შ. შეიქმნა სასოფლო მშენებლობისთვის ტიპური პროექტების სერიები. წარმოებდა ხეთის, ვარკეთილის, ნაფარეთის, გაგრის და ინგურის საბჭოთა მეურნეობების, სოფლების - ნაგომარის, ნატანების კოლმეურნეთა კარმიდამოების დაგეგმარება. შეიქმნა სოფლად ინდივიდუალური მშენებლობის საცხოვრებელი სახლების ტიპური პროექტების ალბომები. დაიწყო კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობის ექსპერიმენტული დაბების მშენებლობა ამ სფეროში, სხვათა შორის, აღსანიშნავია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის "თბილზნიეპის" შედეგები, მათ შორის, სოფლების ექსპერიმენტული დაგეგმარებისა და განაშენიანების განყოფილების მიერ ჩატარებული სამუშაოები. ხელმძღვანელი იქნა თანამედროვე მოთხოვნები და ქართული ხალხური სახლის პროგრესული ტრადიციები. იმართებოდა კონკურსები სოფლად საცხოვრებელი სახლების პროექტების ახალი სერიების შესამუშავებლად. ახალი წამოწყება იყო მძლავრი მეცხოველეობის კომპლექსების და მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობა.



Tbilisi was developed (architects V. Zolotukhina, Z. Kurdiani, economist V. Nefedov, co-authors A. Andriadze, I. Kochineva, B. Maminaishvili, N. Mikadze, E. Nutsbidze, M. Japaridze). Important urban development measures were taken: Marjanishvili Square was developed in the end of the 1940'ies; several lateral thoroughfares – Varaziskhevi, Guramishvili Street – were built in the 1950'ies; both banks of Mtkvari were finally developed into important vehicle traffic arteries; the city and the airport were connected with a highway (architects E. Bakhtadze, Sh. Kavlashvili), double-sided tunnel was arranged under Metekhi Plateau in 1975 (engineer Kebuladze, architects V. Bakhtadze, R. Kiknadze, Sh. Kavlashvili), etc. Special attention should be paid to construction of Tbilisi Subway. Victory Park was developed in the same period (founded in 1945; authors K. Dgebuadze and E. Tsitsishvili), there started development of a recreation area with green zones around the so-called Tbilisi Sea. The territory of Tbilisi increased considerably – Vake, Saburtalo and Minor Dighomi districts were fully developed, construction of Grmagele, Avchala and Ponichala districts was finishing, development of Varketili, Gldani, Avshniani, Bagebi and other areas was underway.

In the course of 10 years following the war there continued construction of residential houses according to custom projects: e.g. house in Chavchavadze Avenue (1954; author K. Sokolova-Porakishvili), two houses in Kamo Street (1955 – architect M. Melia; 1964 – architects G. Melkadze, L. Kharashvili and Sh. Kavlashvili), a house in Nikoladze Street (1949; author A. Mimoshvili), two houses in Marjanishvili Square (1947-1948; designed by architect M. Melia), etc.

There also continued experiments directed at application of historical architecture: e.g. facade reconstruction of former Zoo-veterinary Institute and Communications House (1954; architects S. Revishvili and I. Chkhenkeli), administrative building in Rustaveli Avenue (1958; architects K. Chkheidze and M. Chkhivadze), etc. The best sample illustrating this trend is the central block of Government House (1953; architects V. Kokorin and G. Lezhava).

In early 1950'ies, after corresponding decision taken by the central government, architectural development of Tbilisi underwent noticeable changes. Starting with the second half of 1950'ies apartment blocks are built on large unoccupied land plots; housing development is implemented en masse, industrially, according to typical projects. Prefabricated structures are used for intensive development of Saburtalo (authors A. Bakradze, D. Grdzeldze, I. Kavlashvili and Sh. Kavlashvili), Dighomi (authors N. Mikadze, I. Mosulishvili, I. Chkhenkeli), Gldani (authors T. Bochorishvili, B. Geldiashvili) Districts of Tbilisi.

Though Soviet architecture, apart from rare exceptions, conformed to certain standards, we can list a significant number of buildings of important architectural value. E.g. the former Bridge and Road Design Office – highly original building designed by architect Gogi Chakhava – the only Soviet construction, recognized as an innovation of international importance. Another building with refined architecture is the former Labor Palace (architect Revaz Bairamashvili), which currently houses Tbilisi City Hall – and, of course, this list will be incomplete without Tbilisi Philharmony (architect Vano Chkhenkeli, engineer-constructor – Sh. Gazashvili) and Sports Palace (1961; architects V. Aleks-Meskhisvili and I. Kasradze, engineer D. Kajaia). Apart from that, there are several Soviet-time residential constructions, which can be described as architecturally valuable.

Notable constructions built in the last three decades of the Soviet regime (the 1960'ies-1980'ies) are as follows: administrative center in Pushkin Square (1971; architects G. Melkadze, N. Kvartskhava), Industrial Achievement Exhibition Center (1971; architects L. Mamaladze, V. Nasaridze, J. Papinashvili, V. Peikrishvili), Chess and Alpine Sports Club (1973; architects V. Aleks-Meskhisvili and G. Gudushauri); hotels "Kolkheti" (1962; architects T. Tevzadze and N. Jobadze), "Iveria" (1967; architect O. Kalandarishvili in cooperation with I. Tskhomelidze) and "Ajara" (1975; architect M. Melia); a number of scientific-research institutes and higher education establishments: Agricultural Institute (1967; architects V. Aleks-Meskhisvili, G. Gabashvili), new block of Tbilisi State University (1968; architects S. Bejanov, Sh. Kachkachishvili, M. Shavishvili, M. Shubladze), Soil Science, Agricultural Chemistry, Melioration and Agricultural Engineering Research Institutes (1967; architects T. Alaverdashvili, M. Kakabadze), central library of the Academy of Sciences (1969; architects G. Lejava and I. Liberman), Institutes of Mathematics (1970; architects G. Lejava and V. Tsukhishvili) and Oriental Studies (1975; architect L. Kiladze); Spa Medicine Research Institute (1958; architect I. Zaalishvili), 1200-place National Clinical Hospital (1974; architects K. Alexandrov, Sh. Kachkachishvili, G. Kvitatania, A. Uskov), Ortho-laryngological Clinic (1975; architects V. Abramishvili, G. Mirianashvili, L. Jandieri); transport constructions – the lower terminus of Funicular (1971; architects G. Batiashvili and T. Kutateladze, artist V. Kokiashvili), Bus Terminal (1973; architects R. Kiknadze, Sh. Kavlashvili and V. Kurtishvili, artist Z. Tsereteli); Supermarket "Tbilisi" (1975; architects R. Bairamashvili, D. Morbedadze, L. Medzmariashvili, co-author B. Gordeziani), etc.

In the years following World War II, Georgian architecture followed the cultural rise, which importantly contributed to reconstruction and development of other cities throughout the country. In the 1940'ies there was a large metallurgic plant built 9 km far from Tbilisi. During the war this project had to be terminated, but in 1944 it was relaunched at a new location at a longer distance from the capital. Identification of Rustavi as a new site for this gigantic industrial center was largely due to Zakaria Kurdiani. In cooperation with Nadejda Kurdiani he developed an innovative urban planning project and succeeded in proving this area efficient for a new city. By now, the initial administrative and residential development projects have already been realized in Rustavi.

New master plan of Mtskheta, the ancient capital of Georgia, was developed by architect E. Bagrationi in 1970-1972.

There also started large-scale construction of spas and resorts. New high-rise boarding houses were built in Pitsunda; intensive development of Gagra,



თბილისი დღეს, შარდენის ქუჩა
Present-day Tbilisi; Chardin Street

Kobuleti, Borjomi and Likani, Bakuriani and Tskaltubo resorts was underway.

Tskaltubo spa was in fact created in the Soviet period. More than one health resort was built in this area according to projects designed by L. Melegi, G. Khimshishvili, A. Intskirveli, I. Zaalishvili, V. Chantladze, V. Nasaridze, V. Kedia, N. Solovieva, L. Janelidze, V. Meskhisvili, T. Potskhisvili and other architects.

In the last years of Soviet reign new typical projects were also developed for industrial architecture, according to which 15 tea-processing factories were built in different locations all over Georgia (architects A. Sulakvelidze, T. Gabunia and R. Ivanov; engineers I. Gogoberidze, I. Serebrianski, G. Narsia and others.)

Agricultural architecture developed with a great deal of success. Georgian State Agricultural Project Design Institute, which was for a long period of time managed by architect Nadejda Kurdiani, processed up to 200 projects under her immediate supervision. Cultural centers, clubs, administrative buildings of collective and cooperative farms, electric power stations, etc. were built. Series of typical agricultural construction designs were created; farm designs were developed for Kheta, Varketili, Napareuli, Gagra, Inguri, Nagomari and Natanebi farms, catalogues of typical single-family farmhouse designs were compiled. There started construction of large experimental collective farm villages (speaking about this issue, we should note the activity of Georgian architectural design institutes in the field of experimental village planning and development, namely the work conducted by architect Niko Lagidze and his creative group). Agricultural architecture took into account both modern requirements and Georgian folk house traditions. Special competitions were arranged to identify

სიღებისა და გზების პროექტირების უფილი სამმართველო, თბილისი
Former Bridge and Road Design Office, Tbilisi





რესპუბლიკაში აიგო არაერთი ახალი სასკოლო შენობა, კინო-თეატრი, საბავშვო ბაღი, ბაგა, საზოგადოებრივი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტი.

საინტერესო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ხევსურეთის და თუშეთის რაიონების კეთილმოწყობის სამუშაოთა დაწყება. შემუშავდა დაბების - გუდანის, ბისოს, ხახმატის და შატილის დაგეგმარების ახალი პროექტები.

ქართული არქიტექტურის დიდი შენაძენია თბილისის მეტროპოლიტენი. იგი ქალაქგეგმარების უდიდესი ღონისძიება იყო და მნიშვნელოვანწილად წყვეტდა სატრანსპორტო პრობლემას. ზაქარია ქურდიანის უშუალო მონაწილეობით და ძალისხმევით 1951 წელს მიღებული იქნა დადგენილება თბილისში მეტროპოლიტენის მშენებლობის შესახებ. არქიტექტორის ხელმძღვანელობით დამუშავდა მეტროპოლიტენის ტრასის სქემა (ინჟინერ გ. ჩომახიძესთან ერთად).

1965 წ. დამთავრდა მეტროპოლიტენის პირველი რიგის პირველი უბნის მშენებლობა დიდუბიდან-რუსთაველამდე (მისი საერთო სიგრძე 6,5 კილომეტრია), რომლის სადგურებია: მინის ზევით „დიდუბე“ (არქიტექტორები ნ. ლომიძე, გ. მოძმანაშვილი, კონსტრუქტორები მ. ქავთარაძე, ი. როზდევინი), „ელექტროდეპო“ (არქიტექტორები ნ. ლომიძე, გ. მოძმანაშვილი, კონსტრუქტორები ლ. კამკამიძე, ა. კოჩაროვი), მინის ქვეშ - „ვაგზლის მოედანი“ (არქიტექტორები ვ. აბრამიშვილი, გ. მელქაძე, კონსტრუქტორები ა. ვინოგრადოვი, ი. კახაძე), „მარჯანიშვილი“ (არქიტექტორები გ. მელქაძე, მ. მელია, კონსტრუქტორები ე. ჩერნო-ივანოვი, როდზევიჩი, ვ. ტატაროვა), „რუსთაველი“ (არქიტექტორები ლ. ჯანელიძე, ო. კალანდარიშვილი, კონსტრუქტორები ა. კურისკო, ა. ლაკერბაი). 1966 წ. ამ ხაზზე პირველი რეისი გააკეთა ცისფერმა ექსპრესმა.

1967 წ. მწყობრში ჩადა მეტროს პირველი რიგის მეორე უბანი სადგურებით „ლენინის მოედანი“ (არქიტ. ვ. მესხიშვილი, კონსტრუქტორები ა. ჩერნო-ივანოვი, შ. გაზაშვილი), „26 კომისარი“ (არქიტ. ა. რევიშვილი, შ. ჩაჩანიძე, კონსტრ. ა. კურისკო, ე. შიოშვილი) და „300 არაგველი“ (არქიტ. გ. ბათიაშვილი, თ. თევ-



ძველი თბილისის უბანი Old Tbilisi quarter



„მანთაშევის სახლი“, ბამბის რიგი, ძველი თბილისი Mantashev House, Bamba Rows; old Tbilisi

ზაძე, კონსტრ. ა. კურისკო, გ. ზამბახიძე). 1971 წ. დამთავრდა მეორე უბნის მშენებლობა და საექსპლუატაციოდ გადაეცა ორი სადგური: □ისანი□ (არქიტ. გ. მოძმანაშვილი, ნ. ლომიძე, კონსტრ. ო. ლორთქიფანიძე, ლ. კამკამიძე) და „სამგორი“ (არქიტ. ნ. ლომიძე, კონსტრუქტორი ვ. სუკაჩევი). ამით დასრულდა მეტროპოლიტენის პირველი რიგის მშენებლობა. თბილისის მეტროპოლიტენის მეორე რიგი, რომლის მშენებლობა მიმდინარეობს 1971 წლიდან, კარდინალურად გადაჭრის სატრანსპორტო პრობლემას.

1975 წ. დამთავრდა ესკალატორიანი მინისქვეშა გადასასვლელის მშენებლობა, რომელმაც კახეთის გზატკეცილი დაუკავშირა სადგურ „სამგორს“ და მოსკოვის პროსპექტს (არქიტ. ნ. ლომიძე, კონსტრ. ლ. აბაშმაძე). 1979 წ. შევიდა ექსპლუატაციაში მეტროპოლიტენის მეორე ხაზი, რომელმაც დააკავშირა სადგურის მოედანი საბურთალოს რაიონს. 1985 წ. ერთდროულად იქნა შეყვანილი ექსპლუატაციაში ორი უბანი: ერთი - „დიდუბის“ სადგურიდან, სადგურ „გურამიშვილამდე“ და მეორე - სადგურ „სამგორიდან“ სადგურ „ვარკეთილამდე“. 1989 წ. ექსპლუატაციაში შე-



კულტურის ცენტრი „პოეზიის სასახლე“, თბილისი Cultural Center "Palace of Poetry", Tbilisi



new series of farmhouses; another initiative was designing of large cattle and poultry farms.

A considerable number of new schools, cinema houses, kindergartens, nurseries, public, cultural and consumer service centers was built all over the country.

Another interesting project that should be specially mentioned in this context is development of Khevsureti and Tusheti Regions: new master plans were created for development of Gudani, Bisio, Khakhmati and Shatili villages.

In 1972 there started construction of experimental collective and cooperative farm settlements.

One of the biggest accomplishments of Georgian architecture is Tbilisi Subway – an important urban planning initiative, which significantly contributed to settling of traffic problem. Subway route was developed under supervision of Zakaria Kurdiani, in cooperation with engineer G. Chomakhidze. Construction project was approved in 1951; first section of Tbilisi Subway with overall length reaching 6.5 km was finished on December 31 1965 and launched on January 11 1966; it included overground stations “Didube” (architects N. Lomidze and G. Modzmanashvili, structural engineers M. Kavtaradze and I. Rozdevich) and “Elektrodepo” (architects N. Lomidze and G. Modzmanashvili, structural engineers L. Kamkamidze and A. Kocharov) and underground stations “Vagzlis Moedani” (architects V. Abramishvili and G. Melkadze, structural engineers A. Vinogradov and I. Kakhadze), “Marjanishvili” (architects G. Melkadze and M. Melia, structural engineers E. Cherno-Ivanov, Rodzevich, V. Tatarova) and “Rustaveli” (architects L. Janelidze and O. Kalandarishvili, structural engineers A. Kurisko and A. Lakerbai).

On November 5 1967 was launched the second section of Tbilisi Subway with stations “Lenin Square” (architect V. Meskhishvili, structural engineers A. Cherno-Ivanov and Sh. Gazashvili), “26 Commissars” (architects A. Revishvili and Sh. Chachanidze, structural engineers A. Kurisko and E. Shioshvili) and “300 Aragveli” (architects G. Batiashvili and T. Tevzadze, structural engineers A. Kurisko and G. Zambakhidze). On May 5 1971 two more stations were added to Tbilisi Subway: “Isani” (architects G. Modzmanashvili and N. Lomidze, structural engineers O. Lortkipanidze and L. Kamkamidze) and “Samgori” (architect N. Lomidze, structural engineer V. Sukachev). Overall length of this part of Tbilisi Subway, built in 1966-1971, reaches 12.5 km; every day it transports approximately 300000 people. Construction of Tbilisi Subway has not finished yet. When fully developed, it will crucially change distribution of traffic in Tbilisi.

On January 20 1975 was finished construction of a 106-meter-long underground passageway with traveling staircase, connecting Kakheti Highway to Samgori Subway Station and Moscow Avenue (architect N. Lomidze, structural engineer L. Abashidze).

In September 1979 the second line of Tbilisi Subway was launched; this 5.8 km subway line connected Saburtalo District with the Central Railway Station.

In November 1985 were launched two new sections of Tbilisi Subway 3.4 km long Didube-Guramishvili section and 2 km long Samgori-Varketili section.

In 1989 were launched subway stations “Sarajishvili” and “Akhmeteli Theater”.

In 2002 was launched 1.2 km long Delisi-Vaja-Pshavela subway connection with one-way traffic.

The third version of Tbilisi master plan, developed by architects G. Shavdia, I. Chkhenkeli, G. Japaridze, A. Jibladze and economists I. Bolkvadze and L. Lortkipanidze for the years 1980-2000, was approved in 1971. As different from previous master plans, this one implied expansion of the city not only lengthwise, following the bed of Mtkvari River upstream, but also in the north-eastern direction, around the Tbilisi Sea. Innovative approach was applied to development of downtown Tbilisi: transverse axis (Mtatsminda and Makhata Hills) was added to the traditional longitudinal axis (Rustaveli and Agmashenebeli Avenues, left and right embankments).

In the 1970'ies there started rehabilitation-reconstruction of the old districts of Tbilisi. In the course of time unique architectural background of Tbilisi was disrupted by overly intensive changes in urban development requirements and required regeneration, which would allow preservation of existing historical monuments.

This highly important process was supervised by professionals. Architect Shota Kavlashvili was one of the first to design reconstruction-regeneration projects for certain historical districts of Tbilisi. The list of specialists working on rehabilitation of historical districts also includes such renowned architects as Giga Batiashvili (reconstruction projects for Chardin Street and its neighborhood – Bamba Rows, K. Leselidze and Dutu Megreli Streets, Carvasla, Sioni Cathedral area and Orbeliantubani quarter, implemented in 1979-1989; several historical buildings, Meidan and Baratashvili Rise areas) and Vaja Orbeladze (author and co-author of several realized and ongoing reconstruction projects in Tbilisi, Signagi, Telavi, Kvareli, Batumi and Mtskheta).

Several important historical sites have been restored or rehabilitated in Tbilisi in the beginning of the 21st century. These are houses in Rustaveli Avenue (2007; architects G. Tsitsishvili, N. Zazunishvili, T. Iakashvili, N. Pirtskhalava), head office of TBC Bank in Marjanishvili Street (2005; architects G. Kiknadze and L. Mushkudiani), Financial Center (former residence of Swedish Vice-consul in Georgia, designed by architect L. Bielfeld) in Marjanishvili Street (2006; architects G. Kiknadze and L. Mushkudiani); Kote Marjanishvili State Drama Theatre (former Public House; prominent sample of moderne style, designed by Russian architect S. Krichinsky and built on orders of Georgian entrepreneur K. Zubalashvili in 1907), exhibition center in Abanotubani (architects G. Gegelia, G. Nadiradze, D. Margvelashvili; engineer-constructor I. Otiashvili, etc.)

Nowadays architectural development of Tbilisi is on the rise – independent builders, real estate development companies enter the market. Intensive compe-

„თიბისი“ ბანკის სათაო ოფისი, თბილისი
Head office of TBC Bank, Tbilisi



საოფისე ბლოკი „მწვანე შენობა“, თბილისი
Green Building Office Block, Tbilisi




შოთა რუსთაველი სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი,
რუსთაველის გამზირი, თბილისი
Rustaveli State Academic Drama Theatre; Rustaveli Avenue, Tbilisi





სასტუმრო „თბილისი მერიოტი“, რუსთაველი გამზირი, თბილისი
Tbilisi Marriott Hotel; Rustaveli Avenue, Tbilisi



ვიდა სადგურები "სარაჯიშვილი" - "ახმეტელის თეატრი". 2002 წელს გაშვებული იქნა ექსპლუატაციაში ერთი უბანი "დელისი-ვაჟა-ფშაველა".

1971 წ. დამტკიცდა თბილისის მესამე გენერალური გეგმა (1980-2000 წწ.; არქიტ. გ. შავდია, ი. ჩხენკელი, გ. ჯაფარიძე, ა. ჯიბლაძე, ეკონომისტები ი. ბოლქვაძე, ლ. ლორთქიფანიძე). წინა გენერალური გეგმებისგან განსხვავებით, იგი ითვალისწინებდა ქალაქის ტერიტორიულ ზრდას არა მარტო სიგრძე, მდინარის აღმა, არამედ განივადაც - ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, "თბილისის ზღვის" გარშემო. ასლებური ხედვა იყო გათვალისწინებული თბილისის ცენტრისთვის — ტრადიციულ გრძელ ლერძს (რუსთაველის და დ. აღმაშენებლის პროსპექტები, სანაპიროები) ემატებოდა განივი სივრცობრივ-გეგმარებითი ლერძი — მთაწმინდა-მახათის მთა.

სამოცდაათიან წლებში დაიწყო ისტორიული უბნების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის პროცესები. ამ მეტად საპასუხისმგებლო სამუშაოს სათავეში პროფესიონალები ჩაუდგნენ. თბილისის ქალაქურობას, მისი ისტორიული უბნების განუმეორებლობას უზუსტესი მასშტაბურობა განსაზღვრავდა, მაგრამ დრომ მოიტანა და ახალი ცხოვრების დამკვიდრებას რამდენიმე უნიკალური ისტორიული ძეგლი შეენირა, შესაბამისად მომენტალურად დაირღვა ქალაქის განუმეორებელი არქიტექტურული ქარგა. მას სჭირდებოდა რეგენერაცია - სიციცხლისუნარიანობის შენარჩუნება, რადგან ის რაც ღირებულია ისტორიას არ უნდა ჩაბარდეს.


არქიტექტორ შოთა ყავლაშვილის პროექტით თბილისის ისტორიული ნაწილის, გარკვეული მონაკვეთის განაშენიანების რეკონსტრუქცია-რეგენერაცია ჩატარდა (იგი ამ სასიკეთო საქმის ერთ-ერთი პიონერი იყო). ისტორიული უბნების აღდგენაზე წლების მანძილზე მუშაობდა არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი. მისი პროექტებით დასრულდა შარდენის ქუჩისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების - ბაშბის და რკინის რიგების, კ. ლესელიძისა და დუტუ მეგრელის ქუჩების, ღვინის აღმართის, ქარვასლის, სიონის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიის და ორბელიანთა უბნის განაშენიანების რეკონსტრუქცია-რეგენერაცია (1979-1989), ძველი თბილისის ცალკეული შენობები. გ. ბათიაშვილი ავტორია "მედიის" ქეთევან ნამებულის გამზირის და ბარათაშვილის აღმართის მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქცია-რეგენერაციის პროექტებისა.

ისტორიული უბნების რეკონსტრუქციისა და აღორძინების პროექტზე მუშაობს, არქიტექტორი ვაჟა ორბელაძე. იგი არის თბილისში მთელი რიგი შენობების რეკონსტრუქციისა და ახალი შენობების პროექტების ავტორი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით თუ თანაავტორობით საქართველოს ისტორიულ ქალაქებში (სიღნაღი, თელავი, ყვარელი, ბათუმი, მცხეთა) მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები.


დედაქალაქში საუკუნის დამდეგს რამდენიმე მნიშვნელოვანი ისტორიული შენობა, უბანი, თუ ბაღი აღდგა და რეკონსტრუქციადა, მათ შორის: შენობები რუსთაველის გამზირზე (2007 წ. არქ. გ. ციციშვილი, ნ. ზაზუნაშვილი, თ. იაქაშვილი, ნ. ფირცხალავა), "თბილისი" ბანკის ცენტრალური ოფისი (ყოფ. ცენტრალური უნივერსიტეტი) მარჯანიშვილის ქუჩაზე (2005 წ. ავტ. არქ. გ. კიკნაძე, ლ. მუშუკუდიანი), ფინანსური ცენტრი (ყოფ. კავკასიის რეგიონში შვედეთის ვიცე კონსულის სახლი. არქ. ლ. ბილფელდი) მარჯანიშვილის ქუჩაზე (2006 წ. ავტ. არქ. გ. კიკნაძე, ლ. მუშუკუდიანი), მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი (ყოფილი "სახალხო სახლი" ქართველი მენარმის კ. ზუბალაშვილის დაკვეთით აიგო 1907 წელს, პეტერბურგელი არქიტ. ს. კრიჩინსკის პროექტით. ნაგებობა მოდერნის სტილის ნიმუშია), საგამოფენო ცენტრი აბანოთუბანში. (ავტ. გ. გეგელია, გ. ნადირაძე, დ. მარგველაშვილი, კონსტრ. ი. ოტიაშვილი) და სხვა.



დღეს, საქართველოს არქიტექტურის ისტორიაში კიდევ ერთი, ახალი ეტაპი დაიწყო. პოსტსაბჭოთა სივრცეში ძველი სტერეოტიპები დაინგრა, გამოჩნდნენ კერძო მენაშენეები, დევლოპერული კომპანიები. სამშენებლო სექტორში კონკურენციამ და გაზრდილმა მოთხოვნამ განაპირობა ის, რომ ყველას უნდა კარგად აშენებულ, არაორდინალური იერსახის მქონე სახლში ცხოვრება. კონკურენტულმა გარემომ მენაშენეების გემოვნება დახვეწა. არქიტექტორებს, არქიტექტორს მეტი ასპარეზი მიეცა. ამასთან, სამშენებლო სექტორში გაიზარდა ინვესტიციების მოცულობა, მშენებლობის სეგმენტები, რაც დღეს ძალზე აქტუალურია. თბილისში შენდება თაუნჰაუსი - ქალაქის ტიპის საცხოვრებელი სახლი, თავისი ინფრასტრუქტურით. იმ შეზღუდვების შემდეგ, რომლებიც საბჭოთა პერიოდში იყო, ადამიანებს მიეცათ შესაძლებლობა, ეცხოვ-

კოტე მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრი, მარჯანიშვილის ქუჩა თბილისი.
Marjanishvili State Academic Drama Theatre; Marjanishvili Street; Tbilisi



ანჩისხატის სამნავიანი ბაზილიკა VI ს., თბილისი
Three-nave Anchiskhati Basilica, Tbilisi (6th century)





იოანე ნათლისმცემლის შობის XXI საუკუნის დედათა საგანე-მონასტერი მცხეთასთან
Of John the Forerunner Hermitage near Mtskheta. A 21st Century Convent.

რათ კორპუსში და ჰქონდათ ისეთი ბინა, როგორც სურდათ. ამან სრული დაბნეულობა გამოიწვია - მოსახლეობის ერთი ნაწილი თამამ ექსპერიმენტებსაც კი არ უშინდებოდა, თუმცა, საზოგადოდ, გარდამავალ პერიოდს ახასიათებს ერთი უკიდურესობიდან, მეორეში გადასვლა. ახლა, ვნებები შედარებით დაცხრა და საცხოვრებელი სახლების არქიტექტურა, დიზაინი, ექსტერიერი, ინტერიერი დაიხვეწა და ახლო მომავალში მთლიანად უპასუხებს თანამედროვე არქიტექტურულ მოთხოვნებს.

ქალაქი, თანდათან ლოგიკურ ურბანულ განვითარებამდე მივიდა. მის შუაგულში მდებარე ქარხნები დაიშალა, უსახური შენობები დაინგრა. თუ გასული საუკუნის მიწურულს, ძირითადად, მხოლოდ საცხოვრებელი სახლები შენდებოდა, ახლა გაჩნდა მოთხოვნა თანამედროვე ბიზნეს თუ კულტურულ ცენტრებზე. იქმნება ექსკლუზიური შენობა-ნაგებობები. ამ მხრივ აღსანიშნავია დავითაშვილის ქუჩის ბოლოში - მთაწმინდის კალთებზე აღმოცენებული სამ ბეტონის ყვავილი - "პოეზიის სასახლე", რომლის ავტორი შოთა ბოსტანაშვილია. ეს შენობა არქიტექტორმა საკუთარი ხელით გამოძერწა. იგი დღევანდელი ტექნიცისტური და პრაგმატული ეპოქის საპირისპირო ძალისხმევაა. ამ შენობამ ორი საერთაშორისო პრემია მიიღო.

იმედი ვიქონიოთ, მიმდინარე პროცესები თანმიმდევრულად განვითარდება და საინვესტიციო გარემო ხელსაყრელი იქნება, ეს კი ნიშნავს, რომ მრავალფეროვან არქიტექტურულ სპექტრს მივი-

ღებთ.

ჩვენდა სამწუხაროდ, ამდენი წლის მანძილზე ვერ მოხერხდა, რომ ქალაქის გენგეგმა თანდათანობით, დროის შესაბამისად დახვეწილიყო და თავისი პერსპექტიული განვითარების სტრატეგია ჰქონოდა. გენგეგმა, მართო არქიტექტურა არ არის. ეს არის სოციოლოგია, ეკონომიკა, საინჟინრო ნაწილი, გეოლოგია, გეოდეზია, წყალკანალი... მოკლედ, იგი ერთი მთლიანი კომპლექსური დოკუმენტია, რომელიც ამ საკითხებზე ერთდროულად, სერიოზულ, ეტაპობრივ, გეგმიურ მუშაობას მოითხოვს.

განსაკუთრებით, ბოლო პერიოდში, ქალაქი ქოტურად და არამართლზომიერად ვითარდებოდა. შედეგად მივიღეთ, ის, რომ სანაშენე სივრცეში გაჩნდა ე.წ. "ორმოები" და დეველოპერებმა სწორედ მათი დაკავება დაიწყეს. პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულმა განუვითახობამ (თუ არ ჩავთვლით ერთეულ გამონაკლისს), არქიტექტურის სრული იგნორით, უხარისხო მშენებლობები წარმოშვა. მაგრამ მოვიდა დრო, როდესაც თანამედროვე სტანდარტების მქონე არქიტექტურაზე საქართველოშიც გაჩნდებოდა მოთხოვნა. დედაქალაქის განვითარების ახალი გენერალური გეგმა არქიტექტურის სამსახურმა განხილვისთვის კომპეტენტურ ორგანიზაციებს წარუდგინა. განხილვის მთავარი მიზანი იყო რეკომენდაციების მიღება და გენერალურ გეგმაში ხარვეზების აღმოფხვრა. მინათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე არქიტექტურის სამსახური (გენგეგმის კოორდინატორი პაპუნა ძიძიგური,





თბილისის არქიტექტურის სამსახურის ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი) დეველოპერებსა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად ორი წლის განმავლობაში მუშაობდა. აღნიშნული დოკუმენტი ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების კომისიამ განიხილა და დასამტკიცებლად საკრებულოს წარუდგინა. ერთთვისანი საჯარო განხილვის და ხარვეზების გამოსწორების შემდეგ, საკრებულომ გენერალური გეგმა დაამტკიცა. გეგმის დამტკიცებამ ბევრ უაზრო და უშედეგო შეკითხვას აარიდა დეველოპერები. პროექტთან დაკავშირებით ძალიან ბევრ შენიშვნას ჰქონდა ადგილი, ბევრი გათვალისწინებული იქნა, ზოგიერთი ჯერ კიდევ სამსჯელოა.

დღეს საქართველოს დედაქალაქს ოცდათვრამეტწლიანი პაუზის შემდეგ განვითარების ახალი გენერალური გეგმა აქვს. ახალი დოკუმენტის შესაბამისად ინტენსიურად ვლინდება აუცილებელი ქალაქგეგმარებითი ნიშნები, რაც გულისხმობს მოედნების, გამზირების, რეკრეაციული ზონების მოწყობას, ხიდების და მაგისტრალების მშენებლობას, მთავარი ქუჩების, საზოგადოებრივი საფეხმავლო ინფრასტრუქტურის გამართვას, კონკრეტულად განსაზღვრულ ტერიტორიულ განვითარებას.

ახალი გენგეგმის მიხედვით, სამრეწველო ზონა მომავალში ქალაქის გარეუბანში განვითარდება (აეროპორტთან), რკინიგზის ცენტრალური სადგური თბილისის ზღვაზე გადავა. გამოთავისუფლდება დიდუბე-ნაძალადევის გამყოფი, რკინიგზის ინფრასტრუქტურით დაკავებული საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, სადაც მრავალფუნქციური საქალაქო ცენტრი განთავსდება. რკინიგზის სადგურები ნავთლულში და დიდუბეში დარჩება, მცხეთასა და გარდაბანს შორის, აეროპორტის გავლით, თანამედროვე ტიპის ტრამვაი - "ეურო-თრემი" იმპორტავებს; გეგმით გათვალისწინებულია ორთაჭალჭესის გაუქმება და მტკვრის დონის ოთხი მეტრით აწევა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სანიაღვრე ქსელის მუშაობას და სხვა.

საქართველოში ბევრი უცხოელი არქიტექტორი მუშაობს. გამოცდილების გასაზიარებლად, ეს კარგია ქართველი არქიტექტორებისთვის. თბილისში მალე აღიმართება 40-50-სართულიანი ცათამბჯენები. მშენებლობის პროცესში ქართველი არქიტექტორები თანამშრომლობენ უცხოელ სპეციალისტებთან. შენობის აეროდინამიკის, კონსტრუქციების და საიჟინრო ნაწილის თაობაზე კონსულტაციებს იღებენ საერთაშორისო კომპანიებისგან. მისაღებია, ალბათ, რომ თბილისის ძველ უბნებში, იქ, სადაც ამის შესაძლებლობა არის, ულტრათანამედროვე არქიტექტურის შენობები აიგოს. ძველ უბანში განაშენიანება მაინცდამაინც ძველის აშენებას როდი ნიშნავს, მთავარია, ისტორიული ძეგლი არ განადგურდეს, დაცული იქნას და შესაბამისად არქიტექტურულად საინტერესო სინთეზი შეიქმნას. ყოველი ახალი მოცულობა აუცილებლად უნდა იყოს შერწყმული იმ უბნის გარემოსთან, სადაც ავსენებთ. არ უნდა დაიწრდილოს ძველი თბილისის პენი, რომელიც ასე ძალზე ხიბლავს ყველას. თბილისის ქალაქურობა თავიდანვე განსაზღვრა განაშენიანების ურბანულობამ, ეს დღესაც ნათლად ჩანს ძველ უბნებში შემორჩენილი საზოგადოებრივი თუ საცხოვრებელი ობიექტებით, მათი ურთიერთკავშირით. ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მომავალი თაობისთვის აღვადგინოთ, დავტოვოთ და ავაშენოთ ქალაქის ისტორიულ ნაწილში ის, რაც განაპირობებდა მის ქალაქურობას და დედაქალაქურობას.

და, მაინც, ამ ეტაპზე, როცა ქვეყანაში, შემოქმედებითი წინააღმდეგობებით სავსე გარდამავალი პერიოდის, თვითგამორკვევისა და თვითდამკვიდრების პროცესში იქმნება საშუალო, კარგი, საუკეთესო თუ უნიკალური - არქიტექტურა უთუოდ იქნეს გარკვეულ, განსაზღვრულ სახეს და ზუსტად ასახავს ეპოქის სულისკვეთებას.

ნინო ლალიძე
არქიტექტორი, ჟურნალი "სტილის" რედაქტორი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი შენობა
Newly constructed building of the Ministry of Internal Affairs of Georgia





tion in construction sphere is caused by increased demand on original design and high-quality construction. Competitive environment urges developers to refine their architectural taste; there are incomparably more new opportunities for architectural progress. On the other hand, the amount of investments in construction sector has grown considerably; a new architectural type – townhouse (residential building with relevant infrastructure) – appeared in our city. After the long period of restrictions people finally got an opportunity to arrange their living environment exactly how they wanted. This caused a total confusion and the general tendency of lurching from one extreme to another, which became the main characteristic feature of this transitional period. This was a way of expressing protest against the Soviet architecture. Now that the situation has somewhat simmered down, exterior and interior design palette became more refined and diverse, more in tune with the requirements of modern architecture.

Our city gradually reached the stage of logical urban development. Gigantic factories located in the middle of Tbilisi closed down, irrelevant constructions were razed. As different from the end of the 20th century, when only residential houses were built, demand on modern business and cultural centers increases dramatically. Notable sample of this new trend is the Palace of Poetry – three flowers of concrete, grown in the end of Davitashvili Street, at the foot of Mtatsminda Mountain – this project, designed by architect Shota Kavlashvili, is a protest against the modern pragmatic and technocratic world (our evaluation is totally unbiased: this project won two international awards). If (hopefully) this process develops consistently and the investment environment is positive, architectural background of Tbilisi will grow more and more diverse.

Unfortunately, during all these years there has been no opportunity to adjust the master plan of Tbilisi in accordance with a consecutive development strategy. Especially that apart from architecture this process also involves a great deal of research, stage-by-stage development and purposeful planning in fields of sociology, economics, engineering, geology, geodesy, etc.

In such a situation the city has been developing in a chaotic and incompetent manner. As a result, there appeared holes in the urban background, which the developers started to occupy. Universal chaos of the post-Soviet period, complete negligence of architectural values, resulted in low-quality development. But there came a time when demand on high-quality architecture complying with modern standards appeared even in Georgia. Architectural Service Department of Tbilisi City Hall submitted new version of Tbilisi master plan to the competent organizations for review, aiming primarily at receiving expert recommendations and eliminating possible drawbacks. Architectural Service Department (master plan development coordinator Papuna Dzidziguri, chief expert of the urban development section of Architectural Service Department) had been working on the land-tenure master plan for two years in cooperation with real estate developers and representatives of different international organizations. The resulting document was studied by the Territory Utilization and Development Control Commission and submitted for approval to Tbilisi Sakrebulo. After one month of open discussion and adjustment of drawbacks Sakrebulo approved the master plan, which answered many urgent questions. The number of remarks expressed in connection with the project was rather important; many of them have been taken into account and some are still to be discussed.

At present, after the 38-year-long break, Tbilisi finally has a new master plan. Based on this document new urban planning benchmarks are now being identified; squares, avenues, recreational zones are developed, bridges and thoroughfares are built; streets and pedestrian infrastructure are redecorated; purposeful territorial development is underway.

According to the new master plan, the industrial zone will move to one of city outskirts (Lilo area located near the airport) and the Central Railway Station will be transferred to Tbilisi Sea. Moving of railroad will liberate a large territory between Didube and Nadzaladevi Districts, which will be developed into a multi-functional city center. Navtlugi and Didube Railway Stations will remain; Mtskheta and Gardabani will be connected by a modern "Euro-tram" line, passing through the airport; Ortachala Hydro-electric Power Station will be canceled and the level of water in Mtkvari will rise by 4 meters, which will significantly improve the functioning of drainage system. Another project incorporated into the new master plan implies creation of an underground natural gas reservoir, capable of supplying the city with natural gas during a week in emergency cases.

There are many foreign architects working in Georgia – this is really beneficial for Georgian architects in terms of exchanging the experience. Very soon, 40-50-level high-rises will be built in Tbilisi with the assistance of international companies providing consultations on aerodynamics and structural engineering. Probably we should not be so aggressive toward the idea that the architectural background of old Tbilisi might be diversified with ultramodern constructions where possible – development of old districts does not necessarily mean construction of old-fashioned buildings; the most important goal of this process is to preserve historical monuments and ensure their efficient synthesis with new architecture. Every new construction should be integrated with the architectural setting of the environment where it is built, without disturbing the overall image of old Tbilisi, which charms everyone so much.

Urban character of Tbilisi was always determined by relevant character of its development – even now, one can clearly see this by observing public constructions in the old districts of the city, their interconnection. All possible efforts should be applied to restoring and preserving for future generations the legacy, which used to identify Tbilisi as a city and the center of Georgia.

NINO LAGHIDZE
Architect, editor of *STYLE* magazine



სასტუმრო რედისონი - ივერია
Hotel Radisson - Iveria




საოფისე შენობა ჭავჭავაძის გამზირზე, თბილისი
Bussines building in Chavchavadze ave. Tbilisi

თანამედროვე
ქართველი არქიტექტორები

Contemporary
Georgian Architects



თბილისის ნ. დუმბაძის სახ. ცენტრალური სახელმწიფო საბავშვო თეატრი 1998-2007 წწ. (თ. შაშიაშვილთან ერთად)
Nodar Dumbadze Central Youth Theater, Tbilisi, 1998-2007 (in cooperation with T. Shashiashvili)





გურამ აბულაძე
Guram Abuladze





საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი.
1964 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. სადიპლო-
მო ნამუშევარში, „ბარათაშვილის ქუჩის რეკონსტრუქცია ქ. თბილისში“, მიიღო
პირველი პრემია საბჭოთა კავშირის არქ. სპეციალობის კურსდამთავრებულთა
ნამუშევრების დათვალეიერება-კონკურსში. აღნიშნული ნამუშევარი ექსპონირებუ-
ლი იყო არქიტექტურთა საერთაშორისო კავშირის VI კონგრესისადმი მიძღვნილ
